(22)9
ი-409

…თონიშვილი

# დვალეთის ისტორიის საკითხები მრუდე სარკეში

თბილისი 2002

ვახტანგ ითონიშვილი

# ᲓᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲛᲠᲣᲓᲔ ᲡᲐᲠᲙᲔᲨᲘ

(როლანდ თოფჩიშვილის სუროგატის გამო)

თბილისი – 2002

902 7(94 672)

УДК 947.922
ი 406

ი-406.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

K 237267
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რედაქტორისაგან

ვახტანგ ითონიშვილს (1958-2000) გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია და სამეცნიერო ორგანოებში დაბეჭდილი 40-ზე მეტი გამოკვლევა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალრიცხოვანი წერილები მტკივნეულ ეროვნულ პრობლემებზე, ინტერვიუები, ისტორიული შინაარსის პლაკატები და კალენდრები. ვახტანგის გამოკვლევებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დვალეთის ისტორიის ნარკვევებს, რომლის ნაწილი სტატიების სახით დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულებში, ხოლო ვრცელი გამოკვლევა – "დვალთა ეთნიკური ვინაობისა და დვალეთის ეთნოგეოგრაფიის საკითხები (I XVI სს-ის წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით)" შევიდა წიგნში "აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან" (თბ: 1992წ.). ამ ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა კომპეტენტურ მეცნიერთა წრეში, მაგრამ მან მოსვენება დაუკარგა ვახტანგის მიმართ დაუფარავი სიძულვილითა და უსაფუძვლო მტრობით დამუხტულ რ. თოფჩიშვილს. თავისი ეს დამოკიდებულება მან მანიაკური ბოღმითა და გესლით გამოხატა წიგნში – "საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები" (1997წ.), რის გამო ვახტანგი იძულებული გახდა ემხილებინა სიცრუესა და ცილისწამებაზე დაფუძნებული ფალსიფიკაცია. ვ. ითონიშვილის ეს ნაშრომი სცილდება პოლემიკის ფარგლებს, ვინაიდან მასში მოცემულია არაერთი საკითხის მეცნიერული ინტერპრეტაცია და ობიექტური კვალიფიკაცია. ვახტანგის კვლევის შედეგებს მკითხველი მომავალში გაეცნობა საფუძვლიანი გამოკვლევით დვალებისა და დვალეთის შესახებ.

**ვალერიან ითონიშვილი**



1997 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფით გამოქვეყნდა რ. თოფჩიშვილის წიგნი – "საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები" (გამომცემლობა "ლოგოსი", გამოცემული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების), მისი რედაქტორია აკად. დავით მუსხელიშვილი, ხოლო რეცენზენტები – აკად. მარიამ ლორთქიფანიძე და პროფ. ჯონდო გვასალია. წიგნის შედგენილობა ასეთია: შესავლის მაგიერ, დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორიოგრაფია, ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორია, ძირითადი დასკვნები და ბოლოსიტყვა. ხოლო 1998 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და გელათის მეცნიერებათა აკადემიის გრიფით გამოსცა ბროშურა – "მოხეური გვარსახელები" (გამომცემლობა "მემატიანე"), რომლის რედაქტორია გელათის აკადემიის აკადემიკოსი მიხეილ ქურდიანი, ხოლო რეცენზენტები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარინე კანდელაკი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიული ალასანია.

პირველი ნაშრომისაგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს დვალეთისა და ოსეთის ისტორიის საკითხებს, მეორე ნაშრომი ამ საკითხებს ნაწილობრივად ეხება და მასში გარკვეულწილად პირველი ნაშრომის თხრობა მეორდება. ჩემს ამოცანას შეადგენს პირველი წიგნის მიმოხილვა მასში დახვავებული შეცდომებისა და ჩემდამი უსაფუძვლო ბრალდებათა მხილების მიზნით, ხოლო ბროშურის მიმართაც იგივე დამოკიდებულება რჩება დვალთა და ოსთა ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. მომავალში კი ეს ბროშურაც სათანადოდ უნდა შეფასდეს.



1997 წ. გამოცემული წიგნის პირველი თავი ფაქტიურად იმის მტკიცებას შეიცავს, რომ ჩემი წიგნის ("აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან", თბ; 1992წ.) გამოქვეყნებამდე მის თავისი "ნაშრომი ხელნაწერის სახით, კარგა ხნის დაწერილი ჰქონია" (გვ. 46) და ტენდენციურად განიხილავს ზემოხსენებული წიგნის გამოცემით. ეს განცხადი იმის მანიშნებელია, რომ მხოლოდ გამოქვეყნების თარიღით დამისწრია, თორემ ყველაფერი ჩემზე ადრე უთქვამს. "დასანანია", რომ მისი ხელნაწერი, როგორც "დვალოლოგიური კვლევის ნიმუში", ჩემთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. მაგრამ რეალურ ვითარებას რომ თვალი გავუსწოროთ რა შეიძლება ითქვას? – რ. თოფჩიშვილი თავის პოლემიკურ ნაცოდვილარში თავგამოდებით ცდილობს ჩემი კვლევის შედეგების სავსებით უარყოფას და დიდი გულმოდგინებით იყენებს მხოლოდ დამამცირებელ ფრაზებს.

იდიოტობამდე მისული მისი ცილისმწამებლური გამოხტომა თავისი არსით თავსდება ფორმულაში – "მიზანი ამართლებს საშუალებას". ეს არის ტვინის დაჩლუნგების ერთ-ერთი ქრესტომათიული მაგალითი. იგი ისეთ რამეებს წერს და "ამტკიცებს", რომ მკითხველს უნებლიედ ეჭვი შეეპარება მის ფსიქოლოგიურ მდგრადობაში. მისი სუროგატის უდიდესი ნაწილი უჭირავს უბინძურესი ხერხებით ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას. საკმარისია ეს ამოვიღოთ, რომ მისი "ნასიბრძნი" განახევრდეს. საკითხავია, რაღა ჰქონდა დაწერილი ჩემი წიგნის გამოქვეყნებამდე დვალეთის შესახებ ისეთი, რომ ეს მონაპოვრად წარმოიდგინა. ერთიცაა საკითხავი – მე შევუშალე ხელი მის გამოქვეყნებაში? – როგორც ჩანს, ის სწორედ რომ კმაყოფილი დარჩა ჩემი წიგნის გამოცემით, რათა ბოღმა და შხამი გად-

ადგე იმის კითხვა – ეს ზემო წელი ანუ თრუსო რა-
ტომ არის "თერგის ხეობის ძირითადი ნაწილი"?
შემდეგ თხრობა გრძელდება იმის შესახებ,
რომ არაბებთან ბრძოლის შემდეგ წანარები აიყარ-
ნენ და კახეთში ჩამოსახლდნენ, მაგრამ თუ წანა-
რები მხოლოდ თრუსოდან წამოვიდნენ და ამის
შემდეგ მათი სამშობლოს ეს ნაწილი გაუკაც-
რიელდა, რა მოხდა საკუთრივ ხევში – წანარეთის
ქვემო ნაწილში, იქ წანარებმა ცხოვრება შეინარ-
ჩუნეს თუ ისინიც კახეთში გაიხიზნენ. ეს რ. თოფ-
ჩიშვილის თხზულებიდან არ ჩანს, მაგრამ იმის
თქმა, რომ "სწორედ IX ს-ში უნდა მომხდარიყო
წანართა მასიური ჩამოსახლება კახეთის მთისწინეთ
ბარში" (გვ. 17), ალბათ გვაგულისხმებინებს წანართა
მიგრაციას ხევიდანაც, ე. ი. თერგის ხეობის ქვემო
წელიდანაც. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ წანართა
მასობრივი მიგრაცია აშკარად ჩანს თვით რ. თოფ-
ჩიშვილის წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი ინფორ-
მაციიდან (ერთ შემთხვევაში მხოლოდ თერგის ხე-
ობის ზემო წელიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში
ცნობიდან წანართა მასობრივი გადასახლების შესა-
ხებ), ხოლო ესოდენ დიდი დემოგრაფიული ცვლი-
ლებების მიზეზი იყო არაბთა აგრესია, თხრობაში
გვხდება აღნიშნულ ვითარებასთან სრულიად შეუსა-
ბამო წინადადება: "მთიელი წანარები არ ემორჩი-
ლებიან უცხო დამპყრობლებს" (გვ. 16). როგორ გავი-
გოთ ყოველივე ეს – წანარები მტერს არ ემორჩი-
ლებიან, მაგრამ მაინც ტოვებენ თავიანთ მიწა-
წყალს? – ვითარების ამ აბსურდული შეფასების
ნაცვლად ლოგიკური იქნებოდა იმის თქმა, რომ არა-
ბების წინააღმდეგ ბრძოლის მიუხედავად მცირერიც-
ხოვანმა წანარებმა მარცხი განიცადეს და იძულე-
ბული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო.
ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შექმნილი მძიმე მდგო-



მარეობის შედეგად მოსახლეობისაგან დაცლილიყო
არა მარტო თერგის ხეობის ზემო ნაწილი (თრუსო),
როგორც ეს კვალიფიცირებულია რ. თოფჩიშვილის
მიერ, არამედ მისი ქვემო წელიც (ხევი). აღნიშნული
ვითარების გამორიცხვის შემთხვევაში გაუგებარი იქ-
ნებოდა იმის თქმა, რომ კახეთში მასობრივი ჩასახ-
ლების შედეგად "წანარები, როგორც ისტორიულ-
ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქრებიან ისტორიის სარბი-
ელიდან. წანარებს თერგის ხეობაში რომ კომ-
პაქტური დასახლება შეენარჩუნებინათ, მათი სახელი
არ გაქრებოდა და სხვა მთიელებთან (ტომებთან)
ერთად სახელდებული იქნებოდნენ. ბარში ჩამოსახ-
ლებული მთიელები (წანარები) კი ფაქტია, რომ
ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ" (გვ. 17).
როგორც ვხედავთ, წანართა მიგრაციას, წანა-
რეთში მათი კომპაქტური დასახლების მოშლას და
კახეთის მოსახლეობაში შერწყმას რ. თოფჩიშვილი
უკავშირებს არაბთა აგრესიას, მაგრამ ეს "ნაფიქ-
რალი" სრულიად მოულოდნელად აბსოლუტურად
განსხვავებული "მოსაზრებით" შეცვალა. მისი შეხე-
დულებით, "წანართა ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი
მიზეზი ხომ ის იყო, რომ ჩამოენაცვლათ მტრისაგან
გაპარტახებულ და გავერანებულ კახეთის დაბლობ-
ში" (გვ. 17). ეს "დებულება" ნამდვილ "აღმოჩენად"
იმსახურებს შეფასებას. თურმე წანარების მიზანს
შეადგენდა არა თავდაცვა არაბთა აგრესიისგან, არა-
მედ ბრძოლა კახეთში გადასახლებისათვის. რ. თოფ-
ჩიშვილს აღარაფერი უთქვამს – წანარებმა კახეთი-
საკენ ხმლით გაიკაფეს გზა, თუ სხვა საშუალებით,
მაგრამ ახლა მან გადასახლების მიზეზის სხვა ვა-
რიანტი შემოგვთავაზა: "გამრავლებულ წანარებს
საარსებო საშუალება სჭირდებოდათ. სჭირდებოდათ
კახეთის ბარი არსებობისათვის და იწყებენ ბრძო-
ლას, სათავეში უდგებიან ბრძოლას არაბთა წინა-



აღმდეგ და ბოლომდე მიყავთ საქმე. ცხადია, მთიელი
წანარები კახეთის მთისწინეთსა და ბარში ესახ-
ლებიან თანდათან" (გვ. 16).
დამოწმებული სტრიქონების მიხედვით, მიზანი
კახეთში ჩასახლებისა ყოფილა გამრავლებული
წანარების მიერ საარსებო საშუალებათა მოპოვება.
ამიტომ ისინი კახეთში "თანდათან ესახლებიან". ე. ი.
სახეზეა ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე
მიგრაციის პროცესი, მთის ნამატი მოსახლეობის
ბარში გადანაცვლება, რაც საერთოდ დამახასიათე-
ბელი იყო მთისა და ბარის ურთიერთობისათვის და
რაც უმთავრეს შემთხვევაში მშვიდობიანი გზით
ხორციელდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით
ძალაუნებურად გამოირიცხება წანარეთის გაუკაცრი-
ელების მიზეზად არაბთა აგრესია.
კახეთში წანართა ქმედებისა და როლის შესა-
ხებ რ. თოფჩიშვილმა ნათქვამით როდი ამოწურა თა-
ვისი რესურსები. იმის მტკიცებასთან დაკავშირებით,
რომ წანართა ბრძოლის უმთავრესი მიზანი იყო
კახეთში საცხოვრებელი პირობების შექმნა, თურმე
"მოხდა როგორც პოლიტიკური, ისე ეთნიკური ექ-
სპანსია. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. რა თქმა
უნდა, წანართა პოლიტიკურ ექსპანსიას მათი ეთნი-
კური ექსპანსია ანუ ჯგუფური გადასახლებანი მოჰ-
ყვებოდა ბარში. სხვანაირად გამორიცხულია" (გვ. 17).
როგორ წარმოუდგენია ამ სტრიქონების ავტორს –
წანართა პოლიტიკური ექსპანსია უსწრებდა ეთნი-
კურ ექსპანსიას? ე. ი. წანარებმა ეს ე. წ. "პოლიტი-
კური ექსპანსია" განახორციელეს კახეთში დასახ-
ლებამდე. საიდან–წანარეთიდან? რანაირად შეიძ-
ლება ექსპანსია და ისიც პოლიტიკური უწოდოთ
საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობისათვის
საერთოდ დამახასიათებელ დემოგრაფიულ პროცესს,
დაკავშირებულს ცხოვრების პირობებთან. ამ აბსურ-



დული აზრის განზოგადების შემთხვევაში პოლი-
ტიკური და ეთნიკური ექსპანსია ყოფილა ხევსუ-
რების, ფშავლების თუ მოხევეების ნამატი მოსახ-
ლეობის ბარად ჩამოსახლება. ამგვარი "ექსპანსია"
კიდევ უფრო აშკარად გამოკვეთილა კახეთის ბარში
თუშების სოფლების წარმოქმნის გამო. ბოლოს და
ბოლოს პოლიტიკური თუ ეთნიკური ექსპანსია ფაქ-
ტიურად ყოფილა მთიელთა ბრძოლა ბარელთა წინა-
აღმდეგ, მთის შეტევა ბარზე, რაც არავითარ კავ-
შირში არ არის მთისა და ბარის კანონზომიერ ურ-
თიერთობასთან.
მტკიცება იმისა, რომ თერგის ხეობის ზემო
ნაწილი (თრუსო) გაუკაცრიელდა, ანდა ჩვენება იმი-
სა, რომ კახეთში წანართა მასობრივი ჩამოსახლება
მოხდა (ე. ი. თერგის ხეობის ქვემო წელიც – ხევიც
მოსახლეობისგან დაიცალა) მთელი თერგის ხეობის
უმოსახლეობოდ დარჩენის მაუწყებელია. მაგრამ
ესოდენ დრამატულ ვითარებას არბილებს ერთ წინა-
დადებაში ჩასმული ვარაუდითაც და კატეგორიული
მტკიცებითაც. "მთლიანად არ უნდა მომხდარიყო წა-
ნარების აყრა-გადასახლება (ეს ვარაუდია – ვ. ი.).
მათი გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა" (ეს კა-
ტეგორიული განაცხადია – ვ. ი.) (გვ. 17). ნათქვამი
შემაგრებული არ არის რაიმე წყაროზე დაყრდნო-
ბით. ეს არის ავტორის ზეპირი განცხადება. მაგრამ
ცდილობს ნათქვამის ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნოს
იმ მოტივით, რომ "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში ნახ-
მარია "წანარეთისა ჰევისა". მისი წარმოდგენით,
წყაროში წანარეთის ხევის ხსენება წანართა ნაწი-
ლის იქ დარჩენის მაუწყებელია, მაგრამ სრულიად
მოულოდნელად ავტორი დემოგრაფიაზე მსჯელო-
ბიდან ამოვარდა და ადგილის ეტიმოლოგიაში გადა-
ვარდა, როდესაც იქვე განაგრძო: "დროთა განმავ-
ლობაში "წანარეთის ჰევიდან" "წანარეთი" დაიკარგა

და მივიღეთ "ხევი", რადგან ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად წანარეთი (წანარეთის ხევი) და ხევი (დღევანდელი გაგებით) უკვე აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს, წანართა ეთნოგრაფიული ჯგუფის აქედან გადასახლების გამო" (გვ. 17-18).

ტექსტის ჭყლეტვით მიღებული ქაოსიდან მაინც უნდა დავსვათ რამდენიმე საკითხი: 1) თუ წანარების ნაწილი ადგილზევე დარჩა, წანართა სამოსახლომ რატომ არ შეინარჩუნა პირვანდელი სახელწოდება – "წანარეთისა ჴევი"; 2) ახსნის უპრიმიტიულეს ფორმად მიმაჩნია თქმა იმისა , რომ დროთა განმავლობაში სახელწოდებიდან "წანარეთისა ჴევი" "წანარეთი" დაიკარგა და მივიღეთ "ხევი". საინტერესოა, რატომ არა გვაქვს ერთი ანალოგიური მაგალითი მაინც საქართველოს სხვა კუთხეების (ქსნის ხევი, ხადის ხევი, გუდამაყრის ხევი, ხანდოს ხევი, კორტწრის ხევი, ნალმის ხევი, ფშავის ხევი, ლიქოკის ხევი და ა.შ.) ნომინაციაში ასეთი ცვლილებებისა, რომ აღნიშნულ აღწერილობითი ხასიათის სახელწოდებებში წინა სიტყვა დაკარგულიყო და მხოლოდ "ხევი" დარჩენილიყო.

გულუბრყვილობის ნიმუშად მისაჩნევია კიდევ ერთი "არგუმენტი". წანარეთის ხევისადმი ხევის შერქმევა თურმე განაპირობა იმან, რომ "ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად წანარეთი (წანარეთის ხევი) და ხევი (დღევანდელი გაგებით) უკვე აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს, წანართა ეთნოგრაფიული ჯგუფის აქედან გადასახლების გამო" (გვ. 18).

იმის მიზეზად, რომ "ეთნიკურ–ეთნოგრაფიულად" წანარეთი და ხევი აღარ იყო იდენტური, მიჩნეულია წანარების სხვაგან გადასახლება, მაგრამ თუ წანარები ქართული ტომი იყო და თანაც მათი ნაწილი, როგორც ეს რ. თოფჩიშვილმა აღნიშნა, თერგის ხეობაში დარჩა, "ეთნიკურ–ეთნოგრაფი-



ულად" წანარეთი და ხევი რატომ "აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს"? ეს ძალზე უხერხული და უშინაარსო გამონათქვამი იქნებ ხომ არ გვეუბნება, რომ წანარები და მოხევეები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ტომები იყვნენ. ასეთ ვითარებაში მათი ქართველობაც ძალაუნებურად ეჭვქვეშ დგება. და თუ მეორე გამონათქვამს მივიღებთ მხედველობაში წანარების დედა–ბუდიანად გადასახლების შესახებ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც თამარის ისტორიკოსის ცნობით უკვე ხევი ეწოდება და მის მკვიდრთ – მოხევე, წანარების წასვლისთანავე დასახლებულან აქ ახალი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახით. ამგვარი დამოკიდებულება უცაბედი დემოგრაფიული ცვლილებებისადმი და ეთნიკურ–ეთნოგრაფიული დამთხვევა-არდამთხვევისადმი მხოლოდ დამთხვეულის აზროვნების ადეკვატურია. რაც შეეხება წანარეთის ხევის ნაცვლად ხევის შერქმევას, რა კავშირშია ეს წანარეთისა და ხევის ეთნიკურ–ეთნოგრაფიულ ფაქტორთან. და თუ ამ ფაქტორმა განაპირობა თერგის ხეობის ქვემო ნაწილისადმი ხევის წოდება, როგორი ახსნა მოეძებნება თერგის ხეობის ზემო წელში "თრუსოს" შერქმევას და როდიდან?

რ. თოფჩიშვილი წანართა ენასაც ეხება. მისი ცნობით, ნ. მარი, ს. კაკაბაძე და ჯ. გვასალია წანარებს სვანურენოვან ტომად თვლიდნენ, განსხვავებით ნ. ვოლკოვასაგან, რომელმაც წანარები გენეტიკურად ვაინახებთან დააკავშირა (გვ. 18). ავტორი მხარს უჭერს პირველ შეხედულებას, მაგრამ რითი მტკიცდება წანართა სვანურენოვნება, ამაზე პასუხი არ არსებობს. სვანურთან წანარების კავშირის შესაძლებლობას არბილებს იმ მოტივით, რომ "შესაძლოა წანარები დღევანდელ სვანთა სრულიად იდენტურნი არ იყვნენ, არამედ სვანებთან ახლოს მდგომი ქარ-



თველური ტომი" (გვ. 18). სრულიად იდენტურნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ წანარები იგივე სვანები იქნებოდნენ. მაგრამ სვანებთან წანარების ახლო დგომის საბუთად მიაჩნია სიმღერის მსგავსება (ნ. მაისურაძე). მუსიკალური ფოლკლორით სიახლოვე საერთოდ დამახასიათებელი იყო ქართველ ტომთათვის, მაგრამ ჯერ ერთი რა მონაცემები გაგვაჩნია წანართა ხალხური შემოქმედების შესახებ და მეორეც, "წანარული სიმღერა" კიდევაც რომ შემოგვრჩენოდა, ეს რა საფუძველს შექმნიდა მათი ენობრივი მონათესაობის მტკიცებისათვის.

* * *

ქართლის მთიანეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ერთ-ერთ ეტაპად რ. თოფჩიშვილს მიაჩნია დვალთა ჩამოსახლება. ამასთან დაკავშირებით იგი კომენტარს უკეთებს ვ. გამრეკელის შეხედულებას: "ვ. გამრეკელი უშვებდა იმას, რომ არაბთა შემოსევების დროს შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მაღრან–დვალეთის რეგიონი არსებობდა, რომ არაბთა შემოსევებამდე დვალები დვალეთიდან უკვე მიგრირებული და დასახლკარებულნი იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში" (გვ. 24). იქვე შენიშნავს: "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის დამადასტურებელი არავითარი საისტორიო წყარო არ გაგვაჩნია" (გვ. 24).

რ. თოფჩიშვილისთვის ვ. გამრეკელის ნათქვამი დაუჯერებელია სათანადო წყაროს უქონლობის მოტივით, მაგრამ, საინტერესოა, თვითონ რა ისტორიულ წყაროებს ფლობდა იმის მტკიცების საფუძვლად, რომ დვალთა ჩამოსახლება თრუსოში XIII სა-



უკუნიდან ხორციელდება. ამ შემთხვევაში ვ. გამრეკელის ვარაუდს ცვლის რ. თოფჩიშვილის ვარაუდი და არა წყაროებზე დაფუძნებული დასაბუთება.

რ. თოფჩიშვილის ვარაუდით, თრუსოში დვალთა დამკვიდრება თერგის ხეობიდან წანართა მიგრაციის მომდევნო ეტაპია, რაც შემდეგნაირად წარმოუდგენია: "დაახლოებით XIII ს-დან წანარეთის ქვეყნის ნაწილს – თრუსოს მნის ხევამდე – წანარეთის (თუ წანარების?–ვ. ი.) მონათესავე სხვა ქართველური ტომი – დვალები იკავებენ. დვალებს, ნამატის გამო, თავისთავად სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო. ამასთანავე დვალებს მონღოლთაგან შევიწროებული ოსები ავიწროვებდნენ. ისინიც აღარ აყოვნებენ და სახლდებიან წანარეთის ამ ნაწილში – თრუსოში, რომელიც მთლიანად დაცლილია მოსახლეობისგან. ამავე პერიოდს ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს მაღრან-დვალეთის წარმოქმნა დიდი ლიახვის სათავეში. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ ნაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება" (გვ. 17).

იმის შესახებ, თუ რა პრიმიტიული მეთოდით შეცვალა სახელწოდება "წანარეთისა ჴევი" სახელწოდება "ჴევით", ზემოთ უკვე ითქვა. ციტირებულ ადგილთან დაკავშირებით პირველ რიგში საკითხავია – რომელი წყაროს მიხედვით ჩანს, რომ თრუსოში დვალები XIII ს-დან ჩამოსახლდნენ. ვიმეორებ, რომ ეს არის ავტორის ვარაუდი, ისევე როგორც მაღრან-დვალეთის წარმოქმნის თარიღიც. ასე ხომ ყველაფერი ვარაუდზე და არა დოკუმენტურ დასაბუთებაზე შეიძლება დავამყაროთ. დასაბუთების ნორმებს არ ექვემდებარება თრუსოში დვალთა ჩამოსახლების მიზეზების დასახელებაც. ჯერ ნათქვამია, რომ დვალთა ნამატ მოსახლეობას "სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო", ხოლო შემდეგ სხვა მიზე-

თეულური ტომი" (გვ. 18). სრულიად იდენტურნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ წანარები იგივე ხევსურები იქნებოდნენ, მაგრამ ხევსურებთან წანარების ახლო დგომის ხასიათზე მიანიშნებს ხალხურის მსგავსება (ნ. მაისურაძე). მუსიკალური ფოლკლორით სიახლოვე საერთოდ დამახასიათებელი იყო ქართველ ტომთათვის, მაგრამ ჯერ ერთი რა მონაცემები გაგვაჩნია წანართა ხალხური შემოქმედების შესახებ და მეორეც, "წანარული ხალხური" კიდევაც რომ შემოგვრჩენოდა, ეს რა საფუძველს შექმნიდა მათი ენობრივი მონათესაობის მტკიცებისათვის.

* * *

ქართლის მთიანეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ერთ-ერთ ეტაპად რ. თოფჩიშვილს მიაჩნია დვალთა ჩამოსახლება. ამასთან დაკავშირებით იგი კომენტარს უკეთებს ვ. გამრეკელის შეხედულებას: "ვ. გამრეკელი უშვებდა იმას, რომ არაბთა შემოსევების დროს შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მაღრან–დვალეთის რეგიონი არსებობდა, რომ არაბთა შემოსევებამდე დვალები დვალეთიდან უკვე მიგრირებული და დასახლებულნი იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში" (გვ. 24). იქვე შენიშნავს: "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის დამადასტურებელი არავითარი საისტორიო წყარო არ გაგვაჩნია" (გვ. 24).

რ. თოფჩიშვილისთვის ვ. გამრეკელის ნათქვამი დაუჯერებელია სათანადო წყაროს უქონლობის მოტივით, მაგრამ, საინტერესოა, თვითონ რა ისტორიულ წყაროებს ფლობდა იმის მტკიცების საფუძვლად, რომ დვალთა ჩამოსახლება თრუსოში XIII საუკუნიდან ხორციელდება. ამ შემთხვევაში ვ. გამრეკელის ვარაუდს ცვლის რ. თოფჩიშვილის ვარაუდი და არა წყაროებზე დოკუმენტური დასაბუთება.

რ. თოფჩიშვილის ვარაუდით, თრუსოში დვალთა დამკვიდრება თერგის ხეობიდან წანართა მიგრაციის მომდევნო ეტაპია, რაც შემდეგნაირად წარმოუდგენია: "დაახლოებით XIII ს-დან წანარეთის ქვეყნის ნაწილს – თრუსოს მნის ხევამდე – წანარეთის (თუ წანარების?–ვ. ი.) მონათესავე სხვა ქართველური ტომი – დვალები იკავებენ. დვალებს, ნამატის გამო, თავისთავად სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო. ამასთანავე დვალებს მონღოლთაგან შევიწროებული ოსები ავიწროვებდნენ. ისინიც აღარ აყოვნებენ და სახლდებიან წანარეთის ამ ნაწილში – თრუსოში, რომელიც მთლიანად დაცლილია მოსახლეობისგან. ამავე პერიოდს ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს მაღრან-დვალეთის წარმოქმნა დიდი ლიახვის სათავეში. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ ნაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება" (გვ. 17).

იმის შესახებ, თუ რა პრიმიტიული მეთოდით შეცვალა სახელწოდება "წანარეთისა ჴევი" სახელწოდება "ჴევით", ზემოთ უკვე ითქვა. ციტირებულ ადგილთან დაკავშირებით პირველ რიგში საკითხავია – რომელი წყაროს მიხედვით ჩანს, რომ თრუსოში დვალები XIII ს-დან ჩამოსახლდნენ. ვიმეორებ, რომ ეს არის ავტორის ვარაუდი, ისევე როგორც მაღრან-დვალეთის წარმოქმნის თარიღიც. ასე ხომ ყველაფერი ვარაუდზე და არა დოკუმენტურ დასაბუთებაზე შეიძლება დავამყაროთ. დასაბუთების ნორმებს არ ექვემდებარება თრუსოში დვალთა ჩამოსახლების მიზეზების დასახელებაც. ჯერ ნათქვამია, რომ დვალთა ნამატ მოსახლეობას "სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო", ხოლო შემდეგ სხვა მიზეზი ალმოჩნდა – მონღოლთაგან შევიწროებული ოსების დვალებზე მიწოლა. საკითხავია – საცხოვრებელი გარემო მარტოოდენ დვალებს სჭირდებოდა და თანაც თრუსო, რაც წანარებს მიუტოვებიათ როგორც უვარგისი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ დვალებისათვის ის მიმზიდველი აღმოჩნდა? აქვე დგება მეორე კითხვაც – მონღოლები მხოლოდ ოსებს ავიწროვებდნენ და დვალებს არა – თრუსოში ჩამოსახლებით დვალებს აცდებოდათ მონღოლთაგან შევიწროვება თუ მონღოლები მაინცდამაინც ოსებს სდევნიდნენ? მონღოლებმა დვალებს ეგების უსაფრთხოების გარანტია მისცეს – ოღონდ თრუსოში ჩამოსახლდით და ხელს არ დაგაკარებთო?

იმის მიუხედავად, რომ არაბთა შემოსევის შედეგად წანარები კახეთში გადაიხვეწნენ და "თერგის ხეობის ძირითადი ნაწილი (ზემო წელი) მოსახლეობისაგან თავისუფალი ხდება" (გვ. 16-17), იქ ქართული მოსახლეობა კვლავ თურმე აგრძელებდა ცხოვრებას, რაზედაც მიგვანიშნებს უპასუხისმგებლო განაცხადი: "თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა XIV ს-ის მიწურულში თემურ–ლენგის შემოსევების დროს უნდა მომხდარიყო" (გვ. 13). ეს გამონათქვამი ფაქტიურად კვლავ ვარაუდის სახით კვალიფიცირდება, ვინაიდან დამოწმებული არ არის ამის მიმანიშნებელი ისტორიული წყარო. მითუმეტეს, არც იმის დამამტკიცებელი საბუთია გამოყენებული, რომ თემურ–ლენგმა თრუსოდან "ქართველები" გამოაძევა. და თუ ნათქვამის მიხედვით"ქართველებად" (და არა ქართველურ ტომად) დვალები იგულისხმებიან, თრუსოდან მათი აყრის საბუთის დამოწმებაც ხომ საჭირო იყო. სავსებით ბუნებრივია აქვე დაისვას კითხვა – სად წავიდნენ თრუსოდან გამოდევნილი "ქართველები"? – პასუხიც უმალ გამოინახა: "საფიქრებელია, რომ თერგის ხეობის (თრუსო, ხევი) აღრიცხული მოსახლეობა (თერგის ხეობის ხიერციდან "უნებლიედ" ამოვარდა ე.წ. "მნის ქვეყანა" – ამის შესახებ ქვემოთ – ვ. ი.) თემურ–ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად ძალიან შემცირდა და ამ შემცირებულმა რაოდენობამ მთლიანად ხევში მოიყარა თავი და თავისთავად ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა XVII ს-ის I ნახევარში ქურთაթის ხეობის ოსთა თრუსოში მიგრაცია–დამკვიდრებას" (გვ. 13-14).

წყაროების დაუმოწმებლად, უფრო ზუსტად რომ ითქვას, არარსებული წყაროებისა და საკუთარი ფანტაზიის მიხედვით, "ქართულ" მოსახლეობას თრუსო მიუტოვებია; როგორც ჩანს, "თრუსოელმა ქართველებმა" ოსების აქ დასახლებისათვის "იზრუნეს" და ხევში გამოიხიზნენ. და თუ ქურთათელი ოსები თრუსოში XVII საუკუნის I ნახევარში დასახლდნენ, რატომ არ მოხდა ეს თემურ–ლენგის დროიდან? – გამოდის, რომ თემურ–ლენგის ეპოქიდან XVII საუკუნემდე თრუსო გაუკაცრიელებული იყო. გაუთვალისწინებელია ერთი გარემოებაც – თუ თრუსოში აღარ ედგომებოდა ე.წ. "ქართულ მოსახლეობას", განა ხევი მყუდრო და უსაფრთხო ზონა იყო მათი გამოხიზნვა – დასახლებისათვის?

ახლა ვნახოთ რა "არგუმენტებს" გვთავაზობს რ. თოფჩიშვილი იმის დასამტკიცებლად, რომ "თრუსოელი ქართველები" ხევში გამოსახლდნენ:

"არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ხევში დღეს მცხოვრები ქართული გვარების თავდაპირველად თრუსოში მკვიდრობა–მოსახლეობის შესახებ. შეიძლება დავასახელოთ: ზაქაიძე – ზაგაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები, ბადაშვილები, კობიაშვილები, ტუჩაშვილები... ხაზი უნდა გაესვას, რომ დღევანდელი ხევის მომიჯ-



K 237267 3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავ თრუსოს ნაწილი XVIII ს-შიც ქართველებით იყო დასახლებული (სოფ. მნა 1774 წლის ხევის აღწერაშია შეტანილი). ამაზე მიუთითებენ ტოპონიმებიც (შევარდენი, ოქროყანა). დღევანდელ ტოპონიმ "ადოს მინდორის" ადგილას კი "გერგეტის სულთა მატიანეში" მოთითებულია სოფელი ადო, რომელშიც ცისკარიშვილებს უცხოვრიათ ("მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30; თბ; 1954, გვ. 272). ამ მხრივ მხარდასაჭერია გ. ჩიქოვანის მოსაზრება, რომ თრუსო მოიცავდა ტერიტორიას თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ ყაშა-რა/კასარამდე. ეს მოსაზრება მყარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზეა დაფუძნებული. აქ, ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ "ძეგლი ერისთავში" თრუსოელნი და მნაელნი დაპირისპირებულნი არიან ერთმანეთისადმი. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეულნი. ხოლო თრუსოში ოსთა დასახლებამდე, აშკარაა, რომ დვალები ცხოვრობდნენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, თრუსო არასოდეს შედიოდა დვალეთში, როგორც ეს მიაჩნიათ" (გვ. 14).

ციტირებულ ადგილთან დაკავშირებით დგება რამოდენიმე საკითხი: 1) ხევის მომიჯნავე თრუსოს ნაწილად დასახელებულია სოფელი მნა იქვე იმის მითითებით, რომ ეს სოფელი 1774 წლის ხევის აღწერაშია შესული. შემდეგ "ძეგლი ერისთავთა"-ს დამოწმებით აღნიშნულია, რომ "მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეულნი". რა არის აქედან სწორი? – გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სწორი იქნებოდა მხოლოდ იმის თქმა, რომ მნა ხევის სოფელი იყო და არა თრუსოს ნაწილი. ამ მხრივ სანდოა "ძეგლი ერისთავთა"-ს ჩვენება, მაგრამ გაუგებარია გამოთქმა "მნის ხეობელნი", რამდენადაც მნა, როგორც ამის შესახებ ქვემოთ გამოჩნდება, იყო მდინარის (ხევის) პირად მდებარე სოფე-



ლი, მაგრამ ამ ხევის მიხედვით არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მნის ხეობისა და შესაბამისად მნის ხეობელთა არსებობა.

2) საბუთად იმისა, რომ თრუსოში თავდაპირველად "ქართველები" ცხოვრობდნენ, დამოწმებულია თანამედროვე ქართული გვარები, რომელთა მიგრაცია ხევში თრუსოდან მომხდარა. ეს პროცესი XVIII საუკუნის იქით აღარ მიდის, რის გამო მათი ჩამოთვლით შეუძლებელია თემურ-ლენგის ეპოქის დროინდელ თრუსოში "ქართული" მოსახლეობის არსებობის მტკიცება.

3) რ. თოფჩიშვილის მიერ თრუსოს ნაწილშია განთავსებული აგრეთვე ხევის სოფლები: შევარდენი, ოქროყანა და ადო. ეს უკანასკნელი, მნასთან ერთად, ხევის სოფლად იხსენიება როგორც "გერგეტის სულთა მატიანეში (გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში)", ისე 1774 წლის აღწერაში. სოფ. ადო მდებარეობს სოფ. ალმასიანიდან (გაღმა კობიდან) 1 კმ-ზე, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე და დღეს მას ეწოდება "ნოგყაუ" (ოსურად "ახალი სოფელი"), შერქმეული აქ დასახლებული ოსების მიერ. ეს ის სოფელია, რომლის მიდამოებში – ე.წ. "ადოს მინდორზე" გენერალი ტოტლებენი შეხვდა ერეკლე მეორეს. გაუგებარია, საერთოდ რატომ წამოიჭრა თრუსოს ნაწილისადმი ამ სოფლების მიკუთვნების საკითხი – მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სოფლებში ოსები დასახლდნენ? – ოსები ასევე დასახლდნენ ხევის სხვა სოფლებშიც (ხევის სათავეებში: კობი, ალმასიანი, თოლგოთი, უხათი; ხევის ქვემო ზონაში: აჩხოტი, თოთი, ქობი), მაგრამ ამის მიხედვით ხომ არ შეიძლება მათი მიჩნევა თრუსოს ნაწილად. ასეთი მარჩიელობა შეუსაბამობაშია თუნდაც რ. თოფჩიშვილს მიერ დამოწმებულ ნაშრომთან (გ. ჩიქოვანი, თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, "მაცნე",



ისტორიის... სერია, 1985, №2), რომელშიც მითითებულია, რომ მდ. თერგის აყოლებით თრუსო იწყებოდა ყაშარას (კასარას) კარიდან (ვიწროებიდან). და თუ რ. თოფჩიშვილს მიაჩნია, რომ გ. ჩიქოვანის ეს მოსაზრება "მყარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზეა დაფუძნებული", რატომ არ გაითვალისწინა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები გ. ჩიქოვანის ნაშრომის მიხედვითაც ხევის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. გაუთვალისწინებლობის შედეგია ისიც, რომ რ. თოფჩიშვილს შევარდენიც (შავარდენი, რომელიც მნის ქვემოთ მდებარეობს და ხევის ერთ-ერთ სოფელს წარმოადგენდა), თრუსოს სოფლადაა მიჩნეული (გვ. 28). აშკარა დაუფიქრებლობის ნიმუშად გამოდგება წინააღმდეგობა ლოკალიზაციის საკითხში. ჯერ იყო და ზემოხსენებული სოფლები თრუსოს მიაკუთვნა. იქვე "გაიზიარა" გ. ჩიქოვანის მოსაზრება, რომელიც სავსებით გამორიცხავს კასარას ქვემოთ არსებული ხევის სოფლების თრუსოსადმი მიკუთვნებას, მაგრამ შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, გ. ჩიქოვანს ხელიდან უცხადებს და იქვე წერს: "აქ, ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ "ძეგლი ერისთავთაში" თრუსოელნი და მნაელნი დაპირისპირებულნი არიან ერთმანეთისადმი. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეული". თუ ეს ასე იყო, რაც მოულოდნელი ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორღა შეეთავსება ეს ვითარება გ. ჩიქოვანის მოსაზრებასთან, რომელსაც თითქოს იზიარებს?

4) წინათქმულთან აშკარად წინააღმდეგობრივია კატეგორიული განცხადება: "თრუსოში ოსთა დასახლებამდე, აშკარაა, რომ დვალები ცხოვრობდნენ. მაგრამ ჩვენი აზრით, თრუსო არასოდეს შედიოდა დვალეთში, როგორც ეს მიაჩნიათ" (გვ. 14). ამ შემთხვევაში მეცნიერული არგუმენტის მნიშვნე-



ლობა არ ენიჭება გარიცულს ("ჩვენი აზრით" – თუ უაზრობით). ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით, მაგრამ აქ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ასე აქამდე ბული გამონათქვამები მარჩიელობის კატეგორიას განეკუთვნებიან. აქვე გაოცების იწვევს მეორე ფაქტორი, რ. თოფჩიშვილს დაავიწყდა მე-13 გვერდზე ნათქვამი, რომ თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ "ქართულმა მოსახლეობამ" თრუსო მიატოვა და ხევში გამოიხიზნა. მე-14 გვერდზე კი წერს, რომ თრუსოში ოსთა დასახლებამდე (XVIIს.) დვალები ცხოვრობდნენ. ასეთი ინფორმაციის მიხედვით აღბათ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თემურ-ლენგმა თრუსოდან "ქართველები" გამოდევნა და დვალები შეიწყალა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რ. თოფჩიშვილი თრუსოს ძველ მოსახლეობად თვლიდა არა "ქართველებს", არამედ დვალებს. მაგრამ თუ რ. თოფჩიშვილისათვის დვალი იგივე ქართველია, ბოლოს და ბოლოს როგორ გავიგოთ მისი ნათქვამი – თემურ-ლენგის მიერ "ქართული" მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ თრუსო გაუკაცრიელდა და XVII ს-ის I მეოთხედში ოსები დაცარიელებულ ადგილზე დასახლდნენ, თუ თემურ-ლენგმა "ქართველები" გამოაძევა და დვალები ადგილზევე დატოვა. ერთი სიტყვით, მკითხველისათვის ისევე ძნელია ამ ქაოსში გარკვევა, როგორც უღრან ტყეში უკომპასოდ სიარული.

ისტორიული წყაროების დაუმოწმებლად რ. თოფჩიშვილმა თავისი "ნააზრევი" გაიმეორა ბროშურაშიც – "მოხეური გვარსახელები" (1998წ.): "თრუსო თავდაპირველად ქართველთა სამოსახლო იყო". იქვე ამ "არგუმენტს" უმატებს, რომ "თრუსოში ოსური მოსახლეობის გაჩენამდე აქ ძირითადად ქართველური (დვალური) მოსახლეობა მკვიდრობდა" (გვ. 11).

როგორც იქნა აღმოთქვა, რომ თრუსელ “ქართველად” დვალებს მიიჩნევდა. ამ შემთხვევაშიც გაიგივებულია ორი ეთნიკური ცნება: “ქართველი” და “ქართველური”. როგორც ჩანს, ცნებების ასე აღრევას, მათი შინაარსობრივი დატვირთვის მიუხედავად, რ. თოფჩიშვილისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ციტირებული ადგილიდან ყურადღებას იქცევს ცნობაც, რომ “აქ ძირითადად ქართველური (დვალური) მოსახლეობა მკვიდრობდა”. საკითხავია, ამ “ძირითადს” გარდა არაძირითად მოსახლეობად ვინ იგულისხმებოდა?

ისეთ შემთხვევაშიც, თუ რ. თოფჩიშვილი ოსთა ჩამოსახლებამდე თრუსოში ქართველებად სახელდებულ მოსახლეობაში დვალებს გულისხმობს, რამდენად გამართლებული იქნებოდა დვალთა სამოსახლოს არმიჩნევა დვალეთად. მაგრამ საქმე სხვაგვარად ყოფილა. XVII საუკუნეში ოსთა დასახლებამდე “თრუსო დვალთა მიგრაციის ობიექტად იქცა (XIII-XIVსს.) და დვალთა ასიმილაცია ოსებმა, საკუთრივ დვალეთის გარდა, თრუსოშიც მოახდინეს. გამოდის რა – თრუსო “ქართველებისაგან” დაცლილა თემურ–ლენგის შემოსევების შედეგად (XIVს.), მაგრამ ამავე პერიოდში აქ დვალები დასახლებულან. ამასთან დაკავშირებით აქვე დგება საკითხი – თუ დვალთა მიგრაცია თრუსოში XIII-XIV საუკუნეებში მოხდა, მანამდე თრუსო გაუკაცრიელებული იყო? – და თუ ასე არ იყო, ვინ ცხოვრობდა აქ – ქართველები (და არა დვალები?). აქვე შეინიშნება ერთი ულოგიკობაც: თუ თემურ–ლენგის შემოსევების შედეგად თრუსო დაიცალა ქართული (თუ დვალური) მოსახლეობისგან და ოსები კი ჩამოსახლდნენ XVII საუკუნის I მეოთხედში, რანაირად მოახდინეს ოსებმა თრუსოში უკვე არარსებულ



დვალთა ასიმილაცია? – ამ კურიოზულ “მტკიცებასთან” დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის ცნობა, რომ თრუსოს მოსახლენი არიან ოსნი და დვალნი. ეს ცნობა სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ვახუშტის დროს თრუსოში ცხოვრობდნენ როგორც ოსები, ისე დვალები და არა გაოსებული დვალები, როგორც ეს რ. თოფჩიშვილს წარმოუდგენია. ცხადია, ამ მორიგი სიყალბის შეთხზვა მას სჭირდებოდა იმის სათქმელად, რომ თრუსო დვალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არ იყო (ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით).

* * *

ბურუსითაა მოცული თერგის ხეობის სამ რეგიონად დაყოფის პროცესი. იგი დასაშვებად თვლის წყაროს მიუთითებლად, უფრო სწორედ კი არარსებული წყაროების “საფუძველზე”, ე. ი. საკუთარი ფანტაზიით დაგვაჯეროს, რომ “ერთიანი წანარეთი (წანარეთის ხევი) X ს-ის შემდგომ სამ პატარა “ქვეყნად” დაიშალა: თრუსოდ, მნად და ხევად” (გვ. 18). მისი “ლოგიკით”, ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც ეს მხარე გაუკაცრიელდა, ე. ი. ახალი “ქვეყნები” შეიქმნა მოსახლეობის გარეშე. მაგრამ “გამოსავალს” იმაში ხედავს, რომ “მთლიანად არ უნდა მომხდარიყო წანარების აყრა – გადასახლება. მათი გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა” (გვ. 17), თუმცა მისივე სიტყვებით, “ სწორედ IX ს-ში უნდა მომხდარიყო წანართა მასიური ჩამოსახლება კახეთის მთისწინეთ ბარში” (გვ. 17). ე. ი. არაბობის ხანაში მომხდარა თრუსოს დაცლაც და ხევიდან წანარების მთლიანად ან ნაწილობრივ წასვლა (ორივე დასაშ-



ვებად მიაჩნია) IX საუკუნიდან XIII საუკუნემდე თრუსო უკაცრიელ ხეობად ქცეულა და, მისივე ვარაუდით თუ სიცრუესთან შეგუებით, XIII საუკუნიდან აქ დვალები ჩამოსახლებულან. ასეთ ვითარებაში თერგის ხეობაში შექმნილა სამი “ქვეყანა” (მთლიანად ან ნაწილობრივად გაუკაცრიელებული ხევი, მოსახლეობისგან დაცლილი თრუსო და მნა). როგორც ჩანს, რ. თოფჩიშვილი ფიქრობს, რომ X საუკუნეში სამ “ქვეყნად” დაშლილი თერგის ხეობა დროთა განმავლობაში კვლავ ერთ ქვეყნად აღსდგა. და თუ ასე არ მოხდა, მაშინ გაუგებარია როგორ დაიშალა ეს ხეობა სამ “ქვეყნად” ახლა უკვე XIV საუკუნეში. მისი განცხადებით, “ძეგლი ერისთავთა”-ს მიხედვით აშკარაა, რომ თერგის ხეობაში XIV ს-ში გამოიყოფა სამი ქვეყანა” – თრუსო, მნა და ხევი” (გვ. 15). ამის მთქმელს არ ეუხერხულება, რომ “ძეგლი ერისთავთა”-ში მსგავსი რამ არ ამოიკითხება. სხვათაშორის, მე-15 გვერდზე ნაჩვენებია ეს “დაშლა” XIV საუკუნეში, ხოლო X საუკუნეში “მომხდარი დაშლა” აღნიშნულია მე-18 გვერდზე. მკითხველი ამას ისე აღიქვამს, რომ პირველადი დაშლა მომხდარა XIV საუკუნეში, ხოლო მეორადი – X საუკუნეში (ეს უკუღმართი ქრონოლოგია ძველი წელთაღრიცხვის წესს მოგვაგონებს). მაგრამ რ. თოფჩიშვილს მარტო დაშლაზე არ უზრუნია და დაშლილი “ქვეყნების” კვლავ გაერთიანებაზედაც გარჯილა, როდესაც აღნიშნა: “გერგეტის მატიანეს” (1439წ.) მიხედვით აშკარაა, რომ ხევის სალოცავი – გერგეტის სამება თავის უფლებამოსილებას, გარდა ხევისა, ავრცელებდა მნასა და თრუსოზეც, ე. ი. XV ს-ში თერგის ხეობა მთლიანად (თრუსო+მნა+ხევი) ერთ ერთეულს წარმოადგენდა” (გვ. 16).

თერგის ხეობის დაშლა-აღდგენის გამომგონებელი იმასაც კი ვერ მიმხვდარა, რომ “გერგეტის



ხუცესთა მატიანის” მიხედვით ხევი, თრუსო და მის მიერ “აღმოჩენილი” “მნის ქვეყანა” ერთ მთლიან ერთეულს კი არ წარმოადგენდა, არამედ თერგის ხეობაში არსებობდა და დღემდე არსებობს ორი კუთხე – ხევი და თრუსო. რაც შეეხება გერგეტის სამების ეკლესიის მათზე უფლებამოსილების გავრცელებას, ეს ორივე კუთხის მიმართ ერთნაირი არ ყოფილა. სამება იყო და არის ხევის მთავარი სალოცავი და მისი უფლებამოსილებაც ხევის ფარგლებში ვრცელდებოდა. თრუსოსადმი კი მისი დამოკიდებულება განისაზღვრებოდა “მოკიდებულის” სტატუსით, რაზედაც წარმოდგენისათვის უნდა გავითვალისწინოთ ნ. ბერძენიშვილისა და ქ. შარაშიძის გამოკვლევები.

თერგის ხეობის დაშლა–აღდგენასთან დაკავშირებით, თავი იჩინა კიდევ ერთმა კურიოზულმა გაუგებრობამ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თერგის ხეობის დანაყოფებს შორის რ. თოფჩიშვილმა დაასახელა არარსებული “მნის ქვეყანა” ისე, რომ არ აჩვენა მისი ტერიტორია და მასში შემავალი სოფლები. თუმცა ამას როგორ შეძლებდა, როდესაც მნა ფაქტიურად იყო ხევის ერთ-ერთი სოფელი და არა “ქვეყანა”. ეს ნათლად ჩანს “გერგეტის ხუცესთა მატიანედან”, 1774 წლის აღწერიდან და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან. ერისთავის შეტევის დროს მნაველთა ბაქიობა, რომ ისინი ამ ძალას წინ აღუდგებოდნენ, რ. თოფჩიშვილმა მნაველთა სიძლიერის ფაქტორად წარმოიდგინა. ეს არ იკმარა და იმ აბსურდამდეც კი მივიდა, რომ მნა თრუსოზე დიდ და მძლავრ ქვეყნად გაგვაცნო. იმასაც კი ვერ დაუფიქრდა, რომ ვახუშტის ათვლით თრუსო 8 სოფელს აერთიანებდა და რანაირად უნდა ყოფილიყო ერთი სოფელი მნა 8-სოფლიან თრუსოზე უფრო დიდი და ძლიერი. სრულ გაუგებრობაზეა დაფუძნებული იმის მტკიცებაც, რომ ე. წ. “მნის ქვეყანა” ეთნოგრაფიულად “ხევის ქვეყ-

ნას" თითქმის მსგავსი და ანალოგიურია" (გვ. 15). ერთი წუთით შევრიგდეთ მნის გამოცხადებას "ქვეყნად", რა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით უნდა ვუწოდოთ "მნის ქვეყანა" ხევის ანალოგიურად. ეთნოგრაფიული მონაცემების რა მოგახსენოთ, მაგრამ ხევთან მნის ანალოგიურობა ბუნებრივად მისაჩნევია, ვინაიდან ის ხევის ერთ-ერთი სოფელი იყო. მაგრამ რ. თოფჩიშვილს ნათქვამის "დასაბუთების" სხვა "არგუმენტი" გააჩნია, სახელდობრ ერთ-ერთი ცნობა "ძველი ერისთავთა"-დან: "მაშინ წამოვიდა თრუსოს და მიუგზავნეს თრუსოელნი მრავლითა ძღვნითა და ერთგულებისა ჩვენებითა და [illegible] შეულად მტერთა მათთა ზედა მნას" (გვ. 15). ეს არის ხევისა და "მნის ქვეყნის" ეთნოგრაფიული ანალოგიურობის მაჩვენებელი?

გარდა იმისა, რომ გამოგონილია "მნის ქვეყანა", რ. თოფჩიშვილი თვით სოფელ მნის ლოკალიზაციაშიც სრულ ქაოსს ქმნის. ამ სოფელს ვერაფრით ვერ გამოუნახა ადგილი – ხან ხევში განათავსა და ხან თრუსოში. ხევის სოფლად მოხსენიებისას მხედველობაში აქვს წერილობითი წყაროების ჩვენებანი ("გუჯრების სულთა მატიანე", 1774 წლის აღწერა), მაგრამ როგორც წიგნში, ისე ბროშურაში მნა თრუსოს მიაკუთვნა. მაგალითად, ბროშურაში მიუთითებს, რომ 1774 წლის აღწერაში ხსენებული გვარის ბაბეურის შთამომავლობა (ბაბაშვილები) და ფაჯიშვილები თრუსოს სოფ. მნიდან გამოსულან და სოფ. ხურთისში და სოფ. სიონში დამკვიდრებულან (გვ. 34-35,42). შეცდომაა დაშვებული არა მარტო იმ მხრივ, რომ ხევის სოფელი მნა თრუსოს მიაკუთვნა, არამედ იმ მხრივაც, რომ სოფ. ხურთისში გვარი ბაბეური (ბაბაშვილი) არ ცხოვრობდა. მისივე ცნობით, კობიაშვილები, ზაგაშვილებთან ერთად, მამა-პაპათა საცხოვრისში თრუსოს სოფელ მნაში დადიოდნენ



სალოცავად (ბროშურა, გვ. 11) რაც "[illegible]" მეორე მცდარი ცნობით: "კობიაშვილები ხევში თრუსოს სოფ. მნიდან გამოსულან (იქვე, გვ. 37). [illegible]გიური შეცდომაა 42-ე გვერდზე "თრუსოს სოფ. მნიდან არიან მიგრირებული ფაჯიშვილები, [illegible]ნაშვილები, ბაბაშვილები... 38-ე და 53-ე გვერდებზე კი წერს, რომ მნა ხევისაა. ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ "მნა თრუსოსა და ხევს შორის მდებარეობს" (წიგნი, გვ. 15).

თავგზააბნეულობის კიდევ ერთი მაგალითია იმის მტკიცება, რომ მნა თრუსოს გამოეყო. [illegible] გვაუწყებს, რომ მნა თრუსოში შედიოდა და იქვე თავდაჯერებით აცხადებს: "ჩვენ შევეცადეთ თრუსოს რეგიონის მიახლოებითი მოხაზვა და მისგან ამ დროს აშკარად "მნის ქვეყნის" გამოყოფა" (გვ.15). ეს რომ შესაძლებოდა, საწადელს მიაღწევდა, მაგრამ რა შუაშია თრუსოსგან არარსებული "ქვეყნის" გამოყოფა მაშინ, როდესაც მნა მხოლოდ ხევის ერთ-ერთი სოფელი იყო. რაც შეეხება თრუსოს მიახლოებით მოხაზვას, მისგან დამოუკიდებლად ისედაც ცნობილია, რომ თრუსო მოიცავდა ტერიტორიას კასრის კარიდან თერგის სათავემდე (იხ. თრუსოს რუკა). კასრის ქვემოთ კი ხევია, რომლის ზემო ნაწილში მნასთან ერთად განლაგებულია შემდგომში ოსებით დასახლებული სოფლები: ოქროყანა, შავარდენი, აგენი, ადო (ოსთა მიერ წოდებული ნოგყაუ=ახალი სოფელი), ალმასიანი, კობი, თოლგოთი, უხათი (იხ. რუკები: ხევი, არაგვის (თერგის) ხეობა). როგორც ჩანს, ერისთავის ლაშქრობის დროს მნაველთ დაეხმარნენ ხევის ზოგიერთი აქ ხსენებული სოფლების მცხოვრებნიც. ამიტომ გაჩნდა "ძველი ერისთავთა"-ში ცნობა, რომ ერისთავის ლაშქარმა მოკლა მრავალი, შეიპყრეს მრავალნი და დაანგრია ციხეები და სოფლები "ქუეყანისა მათისანი", მაგრამ მეზობელი



სოფლების თანადგომა არ არის იმის საფუძველი, რომ ხევის სოფელი მნა ცალკე ქვეყნად გამოვაცხადოთ.

დასახლებათა მცდარ ლოკალიზაციასთან ერთად მცდარია მისი ცნობა იმის შესახებაც, თითქოს სოფ. მნაში ადრე მოსახლე ზაგაშვილების განაყრები იყვნენ ყანობელი კობიაშვილები (ბროშურა, გვ.11). ხევში ეს არ დასტურდება. ამასთან ერთად, თუ მნა თრუსოს სოფელი იყო, ძალაუნებურად ზაგაშვილები თრუსოს ხეობიდან გამოსულად უნდა მივიჩნიოთ და "თრუსოელ ქართველებს" თუ ქართველურ დვალებს მივაკუთვნოთ. ამ შემთხვევაშიც რ. თოფჩიშვილისთვის სულერთია – ზაგაშვილი ქართველი იყო თუ ქართველური.

განუსაზღვრელია ზაგაშვილების ჯერ სოფ. გველეთში, ხოლო შემდეგ სოფ. ცდოში დამკვიდრების თარიღი. 1781 წლის აღწერით ცდოში მხოლოდ 2 კომლი ზაგაშვილი ცხოვრობდა, მაგრამ ფიქრობს, რომ ეთნოგრაფიული მასალებით, ზაგაშვილები ხევში უფრო ადრე დამკვიდრებულან. ამის საბუთად მოჰყავს გადმოცემა, თითქოს ზაგაშვილები და ქისტები გველეთში ერთმანეთს ებრძოდნენ (ბროშურა, გვ. 12). რანაირად შეიძლება ამ გადმოცემის დაკავშირება XVIII საუკუნის წინარე ხანასთან, როდესაც ქისტები აქ მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დასახლებულან. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ 1774 და 1781 წწ აღწერაში სოფ. გველეთი საერთოდ არ იხსენიება. სოფლად მის არსებობას აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვახუშტის შემდეგ ეს სოფელი მოსახლეობისაგან დაიცალა და ამიტომ არ მოხვდა 1774 და 1781 წწ აღწერაში. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ქისტები დასახლებულან გაუკაცრიელებულ სოფელში. თვითონ რ. თოფჩიშვილიც ხომ წერს, რომ "XIX ს-



ში გველეთში, როგორც აღვნიშნეთ (გვ. 5 [illegible]) რომ XIX ს-ის აღწერებით გველეთში მხოლოდ [illegible]ნობით (ცხოვრობდნენ ქისტები) ქისტები მოსახლეობდნენ" (ბროშურა, გვ. 44). რანაირად მოხდა, რომ XIX საუკუნეში დასახლებული ქისტები გველეთში XVIII საუკუნის წინა პერიოდში ზაგაშვილებს ებრძოდნენ.

თრუსოსთან და მნასთან დაკავშირებით შეინიშნება კიდევ ერთი გაუგებრობა. რ. თოფჩიშვილმა რაკი "დაამტკიცა", რომ" ერთიანი წანარეთი" (წანარეთის ხევი) X ს-ის შემდეგ სამ პატარა "ქვეყნად დაიშალა: თრუსოდ, მნად და ხევად", იქვე დაუმატა: "XVII ს-ის დასასრულს მნაც თრუსომ გადაფარა, რაც შედეგი იყო ამ პერიოდში თრუსოში მცხოვრები ოსების წინ წამოწევისა, მნაში ქართული მოსახლეობის ოსურით შეცვლისა" (წიგნი, გვ.18). XVII საუკუნეში მნა როგორ "გადაფარა" თრუსომ, როდესაც ის 1774 წლის აღწერით კვლავ ქართველური გვარებით დასახლებულ ხევის სოფლად ითვლებოდა. სულ სხვაა უფრო მოგვიანებით ოსების იქ ჩასახლება, რაც ასევე მოხდა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებშიც, მაგრამ მოსახლეობის შეცვლა არ ნიშნავს თრუსოს მხრიდან ხევის ზემო ნაწილის გადაფარვას.

როგორც დავინახეთ, თავგზააბნეული მოგზაურის თერგის ხეობაში უთავბოლო ხეტიალის შედეგად მივიღეთ ლოკალიზაციისა და ქრონოლოგიის უნიკალური სუროგატი, რაც აბსოლუტურად შეუთავსებელია ისტორიკოსისათვის სავალდებულო აზროვნების მინიმალური ნორმებისათვის.

"ორიგინალურია" რ. თოფჩიშვილის ხედვა სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიც, რომლის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ მისი "ანალიტიკური აზროვნების" ნიმუში: "მნაველების დახმარება მოხევეებს გადაუწყვეტიათ. რატომ? იმიტომ

ხომ არა, რომ ისინი მათ თანამოძმეებად ითვლებოდნენ? იმიტომ ხომ არა, რო თრუსოს მხრიდან დვალთა მოწოლის ბურჯად, შემჩერებლად მნაველები იდგნენ? იმიტომ ხომ არა, რომ მნაველებთან ერთად მათაც არ უნდოდათ ფეოდალური უღლის დადება"? (გვ. 16).

კუთხური კუთვნილების გამო სავსებით ბუნებრივია, რომ მოხევეები ხევის სოფელს დახმარებოდნენ, მაგრამ აქ რა შუაშია ფეოდალური უღლის დადების შიში? დვალთა მოწოლა ქმნიდა ამის საშიშროებას? ამის მიხედვით ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დვალები იბრძოდნენ ფეოდალური რეჟიმის დამყარებისათვის?

მნის შესახებ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია რ. თოფჩიშვილმა ზემოთქმულით არ იკმარა და კვლავ დამგესლა უსაფუძლო ბრალდებით: "ვ. ითონიშვილმა XIV ს-ის საქართველოში ერთ-ერთი ოსური დასახლებაც "აღმოაჩინა" და ფაქტიურად გაიზიარა გ. თოგოშვილის აზრი "ძეგლი ერისთავთაში" დასახელებული მნაველების შესახებ (წიგნი, გვ.61). იქვე განაგრძო, რომ გ. თოგოშვილს მნის მოსახლეობა ოსებად მიაჩნია სახელების (ფარეჯან, ამსაჯან, სუნდუ, ბაღათარ) მიხედვით"... "ვ. ითონიშვილს ჰგონია, რომ ძეგლში ჩამოთვლილი მნაველთა სახელები ალან-ოსური იერსახისაა" (მითითებულია ჩემი წიგნი, გვ. 169). რ. თოფჩიშვილს მიაჩნია, რომ "ისინი ძირითადად მონგოლური სახელებია" (გვ. 61). ამის საილუსტრაციოდ იშველიებს ონომასტიკურ მასალებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამასთან დაკავშირებით სისრულისათვის საჭიროდ ვთვლი ჩემი ნათქვამის ციტირებას: "ერთი შეხედვით ვირშელ ერისთავის ლაშქართან მებრძოლ მნაველთა ლაშქრის მეთაურების საკუთარ სახელთა ალან-ოსური იერსახე მიგვანიშნებს... თუმცა ანალო-



გიურ ანთროპონიმთა ფართოდ გავრცელება XIII–XIV სს-ის საქართველოს ზოგიერთ მის კუთხეში, პირველ რიგში კი სვანეთში, სადაც XIII–XIV სს-ის წერილობითი წყაროების მიხედვით სისტემატურად ვაფიქსირებთ [illegible] ფრიად პოპულარულ საკუთარ სახელებს: "ამსაჯან", "ფარეჯან", "სანდურ", ბაღათარ", (ან "ბაღათარ" – "ბაღავთურ"), "არღუნ", "თათარხაუ", "ოზბეგ", "თემზარ" და ა.შ. (ხოლო ზოგიერთ საბუთში [illegible] ბის განსაზღვრული ჯგუფის აღსანიშნავად [illegible] ტურებთ თანმიმდევრულად მოცემულ ანთროპონიმებს: "ბაყათარ, ურუსყან, თათარხაუ, [illegible], ფარეჯან" ან კიდევ "იდგარ, არღუნ, ამსაჯან, ხამიჯ"), შესაძლოა აღნიშნულ სავარაუდო იდენტიფიკაციასაც სადავოს ხდიდეს და "მნაველებში" არა იმდენად ალან-ოსების, რამდენადაც თურქულ–მონღოლური და ალან-ოსური იერსახის საკუთარი სახელებით უხვად აღმკული დვალების ამოცნობის სასარგებლოდ ლაპარაკობდეს (საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ნაშრომში "მნაველნი" სწორედ დვალებად არიან მიჩნეულნი გ. არახამია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, 1988, გვ. 113). მაგრამ, თუ კი განხილული ონომასტიკური მასალის შუქზე "მნაველთა" მიღმა მაინცდამაინც ალან – ოსებს დავინახავდით, რითაც ცალკეულ მკვლევართა მტკიცებასაც დავუჭერდით მხარს (გ. თოგოშვილი, საქართველო – ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. 1958, გვ. 219), XIV ს-ის მიწურულისათვის თრუსოსა და ხევის სასაზღვრო ზონაში უცხო ეთნიკური ელემენტის დამკვიდრების ფაქტი ნიადაგ იოლად შეფასდებოდა როგორც XIII ს-ის II ნახევრიდან დაწყებული იმიგრაციული პროცესების (ჩრდილო კავკასიის ბარის რაიონებიდან გამოდევნილი და ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებს შემოხიზ-



ნული ალან-ოსების ცალკეული ჯგუფების საქართველოს მთიან მხარეებში სპორადული ინფილტრაციის) კანონზომიერი რეზულტატი" (ჩემი წიგნი, გვ. 159-170).

სად არის აქ იმის კატეგორიული მტკიცება, რომ მნა ოსური დასახლება იყო, ხოლო მნაველთა სახელები მაინცდამაინც ოსურ-ალანური. დაშვება იმისა, რომ სახელების ალან-ოსური იერსახის გამო სავარაუდოა მნაში ოსთა შემოსახლება, განა იმას ნიშნავს, რომ გ. თოგოშვილისადმი მხარდაჭერით მნა ოსურ სოფლად მივიჩნიე? – პირიქით, გ. თოგოშვილის მოსაზრება ეჭვქვეშ დავაყენე, ხოლო აღნიშნული თათრულ-მონგოლური იერსახის სახელები საქართველოში ფართოდ გავრცელებული ონომასტიკური მასალის რიგში ჩავაყენე და დვალთა ფუძის არსებობის შესაძლებლობას დავუკავშირე.

რ. თოფჩიშვილი უარყოფს მნაველთა დვალობის შესაძლებლობას: მისი აზრით, "გამორიცხულია, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ხალხი (თრუსოელები და მნაველები) ასე დაპირისპირებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისადმი. ისინი ერთმანეთის მტრები არიან (გვ. 62). გამოდის, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის მტრობა შესაძლებელი არ იყო. ვინ მოახსენა რ. თოფჩიშვილს, რომ ერთი ჯგუფის შიგნით მტრობა საერთოდ გამორიცხული იყო? – ურთიერთშორის დაპირისპირების საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიც, მესისხლეობაც და სხვა ასეთი ფაქტორებიც. დოკუმენტის მიხედვით კი მტრობის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო ლოკალური ინტერესები – ერთი დასახლების (მაგალითად თრუსოს) დაპირისპირება სოფ. მნისადმი, შექმნილი სიტუაციის მიხედვით – გადახრა და ღალატი თავისი ინტერესებისათვის. განა არ უნდა



ეცოდეს, რომ მტრობა შეიძლებოდა წარმოქმნილიყო თვით ერთი სოფლის ან კუთხის ჯგუფთა შორისაც.

მნაველთადმი თრუსოელთა მტრობის საფუძვლად რ. თოფჩიშვილს მიაჩნია ის, რომ "ძეგლი ერისთავთას" მიხედვით მნის "ქვეყანა" [illegible] ულად ხევის "ქვეყნის" თითქმის მიჯნაზე [illegible] გიურია. მნაველების [illegible] ყვეტიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ [illegible] თანამოძმეთ ეხმარებოდნენ. [illegible] ვითვალისწინებთ იმასაც, რომ "[illegible]" მიხედვით მნაველები ისევე [illegible] ხევის [illegible] თო სალოცავს – გერგეტის სამებას, [illegible] ხევეები. მნაველების ოსობას [illegible] მოხევეობას ადასტურებს) 1439 წლის საბუთში [illegible] სოფელში აბიაურთა გვარის [illegible] აბიაური, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ხევმა [illegible] ლად მისცა გერგეტის საყდრიშვილებს ([illegible] ტირებული ლექსიკონი, I, თბ; 1991. გვ. 56). [illegible] "გერგეტის მატიანეს" მიხედვით [illegible] ბადაისძეები (ქართველები), რომელთა [illegible] ნი (ბადაშვილები) დღეს ხევის სოფ. [illegible] ცხოვრობენ" (გვ. 62).

დამოწმებული ადგილის ხელახალი ციტირებით კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას ხევის ერთი სოფლის მნის ცალკე "ქვეყნად" [illegible] სახოთირო აზრს და გერგეტის სამების [illegible] ისადმი ხევის, თრუსოს და ე.წ. "მნის ქვეყნის" [illegible] ბარი უფლებით დაქვემდებარების შეცდომას, რასთან დაკავშირებითაც გაუგებრობას იწვევს აგრეთვე ანოტირებული ლექსიკონის მიხედვით იმის მტკიცება, რომ "მნაველი აბიაური, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ხევმა მძევლად მისცა გერგეტის საყდრიშვილებს". მე კი ანოტირებული ლექსიკონის ამ მტკიცების განმარტების ნაცვლად მიმაჩნია დაუმოწმებელი [illegible]

თვით პირველი წყარო – "გერგეტის სამების მატიანე მოსაჴსენებელი სულთაჲ"-ში შეტანილი "გერგეტის საყდრისშვილთა საბუთი" ("მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30, თბ; 1954, გვ. 271-273), რომელშიც წერია: "დიდებაი წმინდისა სამებისა, ერთარსებასა და ერთ–ღთეებასა. შევიყარენით ჩვენ ჭურით – კობით და გუწლეთამდი. მზევლები მოგვეცით თქვენ, გერგეტელთა საყდრიშვილთა"... ხევის სოფლებიდან გამოყოფილი მძევლების ჩამონათვალში აღნიშნულია: "და მნაველთაცა მათ მოიკიდესა ჭურთაშვილი: ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური და სედუვათძე, ყანობით ვალარდოიშვილი და რაჲსძე. თრუსოელთაჲცა–ჭურთიელ ყანობელთა მოიკიდეს" (გვ. 272).

აქ ის არის აღნიშნული, რომ მნაველთა "მოკიდება" დაკისრებიათ ჭურთაშვილს, ჩიტურას, ბაჩხისძეს, აბიაურს, სედუვათძეს (ამათში ამოიცნობიან სოფ. ხურთისის მკვიდრნი), აგრეთვე ყანობელ ვალარდოიშვილსა და რაჲსძეს, ასევე ჭურთიელთა და ყანობელთ "მოუკიდებიათ" თრუსოელნიც. შემდეგ ცალკეა ხსენებული სოფ. მნიდან ("მნით ბადაჲსძე") და არა აბიაური, როგორც ეს რ. თოფჩიშვილს მიაჩნია. აქვე უნდა ითქვას, რომ მძევალი მნიდან ალექსანდრე მეფის ბრძანებით კი არ გამოყვეს, არამედ ხევის სათემო ყრილობის გადაწყვეტილებით. მეფე ყოველი მძევლის გამოყოფას კი არ ბრძანებდა, არამედ მისი ინიციატივით იქნა მოწვეული ხევის ყრილობა. სიტყვამ მოიტანა და შესწორებას მოითხოვს ძეგლის გამომცემლის ქ. შარაშიძის განმარტებაც: "ამ საბუთით "მოკიდებული" – "მნაველ–ყანობელნი" და "თრუსოელ–ჭურთიელნი" გერგეტელი საყდრისშვილების მიმართ ხევის სოფლებთან შედარებით უფრო იოლს, მაგრამ მაინც გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობენ" (ქ. შარაშიძე,



გვ. 247). აქ მოცემული განმარტება "მოკიდებულის" სტატუსის შესახებ მისაღებია, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ მოკიდებულთა შორის ფიგურირებენ მნაველნი და თრუსოელნი და არა ყანობელნი და ხურთიელნი.

* * *

რ. თოფჩიშვილზე ალერგიულად იმოქმედა ძირითადი ანუ ისტორიული დვალეთის სახელწოდებად ჩემს მიერ "ბუდე დვალეთის" შემოტანამ. მისი პოზიცია ასეთია: "მიუღებლად მიგვაჩნია დვალეთის აღსანიშნავად "ბუდე დვალეთის" დამკვიდრება, რადგან ამ ტერმინის შემოტანა გულისხმობს სხვა დვალეთის არსებობასაც. სხვა დვალეთს კი, გარდა მაღრან-დვალეთის მცირე ტერიტორიული რეგიონისა, ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობენ და ლიახვის ხეობის სათავეში დვალთა მიგრაცია XII-XIII სს-ში იმას არ ნიშნავს, რომ მათი განსახლების ახალი ტერიტორიები დვალეთად გამოვაცხადოთ" (გვ. 52).

ძირითადი დვალეთისადმი ბუდე დვალეთის წოდება რ. თოფჩიშვილს მოსწონს თუ არ მოსწონს, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ეს ისეთივე მორგებული სახელწოდებაა ისტორიული დვალეთისადმი, როგორიცაა ხევსურეთის ძირითადი ნაწილის მიმართ ბუდე ხევსურეთი ან ისტორიული ფშავისადმი – ბუდე ფშავი. რაც შეეხება მის ჯახირს იმ შეხედულების უარყოფის მიზნით, რომ დვალების სამოსახლო ტერიტორიები შიდა ქართლის მთიანეთშიც გაფართოებული დვალეთის რეგიონადაა სახელდებული, ეს ჩემი გამონაგონი კი არ არის, როგორც ამას მიყიყენებს ჩემი ოპონენტი,



არამედ ლოკალიზებულია ისტორიულ–ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ვახუშტის ცნობები, რასაც ქვემოთ შევეხები. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ თვით რ. თოფჩიშვილი იძულებულია აღიაროს, რომ ქვემოქვე არსებობდა "მაღრან-დვალეთის მცირე ტერიტორიული რეგიონი".

რ. თოფჩიშვილის განცხადებით, არამც თუ მიუღებელია ძირითადი დვალეთისადმი პირობითად "ბუდე დვალეთის" წოდება, მსგავსად "ბუდე ხევსურეთისა" და "ბუდე ფშავისა", არამედ მე არ მქონია იმის უფლება, რომ ანტიკური წყაროების ანალიზისა და ვახუშტის მონაცემებზე დაყრდნობით მეთქვა, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე დვალთა სამოსახლოს წარმოადგენდა მაღრან–დვალეთი და თრუსო. ჩემთვის ეს აკრძალული ყოფილა და ვახუშტიზე დაყრდნობით ვ. გამრეკელს კი აუგად არ ეთვლებოდა დვალეთში მოექცია როგორც ნარის ქვაბის დვალეთი, ისე მაღრან–დვალეთი და თრუსო. უფრო მეტიც, მისთვის მისაღები ყოფილა დვალეთის გამრეკელისეული ლოკალიზაცია: (Двалетия помимо Нарской котловины, включала первоначально еще ущелья Трусо и Хеви и некоторую территорию севернее Нарской котловины (**В. Гамрекели**, Двалы и Двалетия в I-XV вв н.э. Тб; 1961, с. 21). რატომ არ არის ამაზე რ. თოფჩიშვილის რეაგირება – ვ. გამრეკელმა რა მონაცემების საფუძველზე გააფართოვა დვალეთის ტერიტორია მისი ჩრდილოეთი მხარის მიმატებით ან რა ნიშნის მიხედვით მოაქცია დვალეთის ფარგლებში ხევი? რ. თოფჩიშვილი აციტირებს ვ. გამრეკელის ნათქვამს, რაც მე დაუჯერებლად მიმაჩნია, და მის მითვისებას მაბრალებს. იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ "ზუსტად იგივეს იმეორებს ვ. ითონიშვილი, ოღონდ



ისე, რომ პირველწყაროს რიგში თვითონ [illegible] ლინება და არა ვ. გამრეკელი" (გვ. 51). ეს ყალბი განცხადებაა და ჩემთვის "ამბიციურის" წოდება გადმოსროლილია ზედმეტად, ჩემი ნაშრომის [illegible] ლის მიუთითებლად, საიდანაც გამომდინარეობს ვ. გამრეკელის მცდარი ლოკალიზაციის "მითვისება". მაგრამ ვერ მიუთითა იმიტომ, რომ ვ. გამრეკელის ამ მიუღებელი თვალსაზრისის მითვისების დამადასტურებელი ადგილი ჩემს წიგნში ვერ მონახა.

ასეთი ბინძური ბრალდების შემდეგ რ. თოფჩიშვილი უნდობლობას გვიცხადებს მეც და ვ. გამრეკელსაც. მისი მტკიცებით, "მართალია, ვახუშტი ბაგრატიონის წყალობით, გვეძლევა საშუალება გავარკვიოთ შიდა ქართლის მთიანეთის ისტორიის ბევრი კარდინალური საკითხი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია, რომ ის XVIII ს-ის ავტორია. მის დროს თერგის სათავე – თრუსო და დიდი ლიახვის სათავე მაღრან–დვალეთი (ისევე როგორც თვით დვალეთი) გაოსებული დვალებით იყო დასახლებული და ავტორმა მიიჩნია, რომ ეს ორი რეგიონიც ფართოდ გაგებულ დვალეთს წარმოადგენდა" (გვ. 51). მაგრამ არსებითად ისიც არ მიაჩნია დვალეთად იმ მოტივით, რომ ის ძირითადი დვალეთიდან დვალთა მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი რეგიონი იყო და საისტორიო წყაროებში პირველად XIII ს-დან იხსენიება. როგორც ჩანს, დვალეთის თემად მის აღიარებას ხელს უშლის მისი მცირე მოცულობაც (გვ. 11). ე. ი. მაღრან–დვალეთის მიჩნევა დვალეთად მიუღებელი ყოფილა XIII ს-დან მისი არსებობისა (თითქოს ისტორიისათვის ეს ისე მცირე დრო იყოს) და მცირე მოცულობის გამო. ასეთი მიდგომის საფუძველზე შეიძლება ასევე უარვყოთ წოვათის, პირიქითი ხევსურეთის, ხანდოს და სხვა პატარა ტერიტორიული ერთეულების არსებობა. ნათქვამს

ემატება მასვე განაცხადი, რომ ორი ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდას და ფრონეების ხეობაში "ისტორიულად დვალები არ მკვიდრობდნენ" (გვ. 12). ამის მიხედვით ქართლის მთიანეთში, თუ უფრო ადრე არა, XII-XIII ს-დან მაინც რომ მაღრან–დვალეთი არსებობდა და სხვა ხეობებიც დვალებით იყო დასახლებული, ეს "ისტორიულად" მათ მკვიდრობას გამორიცხავს? გამოდის, რომ XII–XIII სს-ის აქეთ საქართველოს ისტორიას წერტილი დაესმის.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე დვალური რეგიონების ლიკვიდაციის მიზნით რ. თოფჩიშვილს "ძეგლი ერისთავთა"-დან მოჰყავს კიდევ ერთი ცნობა: ქსნის ერისთავმა და მისმა ლაშქარმა "მოწუნეს და მოაოჴრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე" ("ძეგლი", გვ. 348). იქვე იმოწმებს ჯ. გვასალიას, რომელმაც "დამაჯერებლად აჩვენა, რომ "ყოველნი ჴევნი დვალეთისანი" არ მოიცავს თრუსოსა და აჩაბეთს"... თავის მხრივ რ. თოფჩიშვილს მიაჩნია, რომ "ადგილი აქვს ტექსტის არასწორ წაკითხვას" და "გვასწავლის" როგორ გავუგოთ "ძეგლის" ეს ნათლად დაწერილი ფრაზა. აი, მისი რეკომენდაცია: "დააკვირდით: "მაშინ მოწუნეს და მოაოჴრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი"– აქ აზრი მთავრდება და შემდეგ მოდის "და" კავშირი, ე. ი. დვალეთთან ერთად მოაოხრეს სხვა ტერიტორიაც, კერძოდ, "შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე. აზრი ნათელია" (გვ. 19).

"ძეგლის" ცნობა ნამდვილად ნათელია, მაგრამ ის დაბნელებული და გაბუნდოვანებულია მისი კომენტატორის უნიჭო მარჩიელობით. მისი სახით მოგვევლინა "სწორუპოვარი ტექსტოლოგი", ენის "რეფორმატორი", რომელიც თავს უფლებას აძლევს



თქვას, რომ ქართულ ტექსტურ წინადადებაში "და" კავშირი კი არ არის, არამედ ორი სხვადასხვა შინაარსის წინადადების გამყოფია. ასეთი მანიპულაციით "ძეგლის" წინადადების ხელოვნური გაწყვეტის შედეგად თურმე ისე უნდა გავიგოთ, რომ "პირველი წინადადების" მიხედვით ერისთავის ლაშქარმა დაწვა და მოაოხრა დვალეთის ყველა ხევი, ხოლო "მეორე წინადადებით" თრუსოდან აჩაბეთამდე მხოლოდ ციხეები დაანგრია. "ორი წინადადების" შინაარსობრივ სხვაობას "ტექსტოლოგი" ვეძიებს იმაში ხედავს, რომ "პირველ წინადადებაში" აღნიშნულია "მოწვა" და მოოხრება", ხოლო მეორეში მარტოოდენ ციხეების დანგრევა. მაგრამ საოცარნაც არ უნდა მიუდგეთ რ. თოფჩიშვილის "ტექსტოლოგიურ ძიებას", საბოლოოდ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ის ვერ თავსდება არამც თუ მეცნიერული ანალიზის, არამედ საერთოდ ნორმალური აზროვნების ჩარჩოებში.

ლოგიკის ნორმებს არ ექვემდებარება კომენტარი ვახუშტის, როგორც XVIII საუკუნის ავტორის შესახებ. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის ისტორიკოსის უნდობლობას უცხადებს იმის გამო, რომ მისი გაგებით თრუსო და მაღრან–დვალეთი ფართოდ გაგებულ დვალეთს წარმოადგენდა (გვ. 51) და თავის მხრივ XX საუკუნის ავტორი რ. თოფჩიშვილი მკითხველს უქადაგებს, რომ ეს რეგიონები, ბუდე დვალეთთან ერთად, გაოსებული დვალებით იყო დასახლებული.

რ. თოფჩიშვილის დაჟინებული აკვიატებით ვახუშტი დვალეთად ცნობდა მხოლოდ ბუდე დვალეთს, მაშინ როდესაც მას გამოკვეთილად აქვს შემოხაზული დვალეთის ყველა რეგიონი. მისი ლოკალიზაციით, გაფართოებული დვალეთის სივრცეში შედიოდა ქედსიქით მდებარე ბუდე დვალეთი,



ხოლო ქედსაქეთ მაღრან–დვალეთი და თრუსო. თრუსოს, როგორც კუთხის აღწერაში, მისი საზღვრების ჩვენებასთან ერთად, აღნიშნულია: "არს თრუსო სამ ჭალად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრან–დვალეთის კავკასსა მესამე ხოხის კავკასსა – არამედ ჭალანი ესენი, რომელნი აღვწერეთ მაღრან–დვალეთითურთ, არიან დვალეთი. და კუალად დიდის ლიახვსა, პატარას ლიახვსა, ქსნის ჴეობასა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე. ამ დუალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავე ურთიერთთა" (ვახუშტი, გვ. 647-648). ვახუშტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს: "არამედ თრუსო კუალად არს დუალეთისავე და ფრეთ საცნობი_ესეცა" (გვ. 634). ისტორიკოსი თვით ხევსაც კი დვალეთის ნაწილად თვლის: "არამედ ჴევი, რომელი აღვწერეთ ქართლსა ზედა, არს დუალეთისავე (გვ. 634). დამოწმებული ცნობების მიხედვით ნათლად ჩანს დვალეთის ეთნო–გეოგრაფიული სივრცე, რისი მიჩქმალვა ან შეუმჩნევლობა ისტორიკოსისათვის უკადრისი საქციელია. ვახუშტის მხედველობიდან არ გამორჩენია დვალეთისათვის ნიშანდობლივი სხვა ფაქტორებიც. მისი ცნობებით, ქედსაქეთა დვალეთის რეგიონებში – მაღრან–დვალეთისა და თრუსოში "მსახლობელნი არიან ოსნი, დვალნი".

დვალური რეგიონების ეთნო–გეოგრაფიული სივრცის ჩვენებასთან ერთად საყურადღებოა ვახუშტის დაკვირვება ყოფისა და სარწმუნოების შესახებაც. ზემოთ დავინახეთ, რომ მაღრან–დვალეთიდან და თრუსოდან ქართლის მთიან ხეობებში განსახლებული დვალები ერთნი იყვნენ მოდგმით, რჯულით, წესითა და ზნით. ეს იმის პირდაპირი მაჩვენებელია, რომ ვახუშტის ეპოქაში დვალები დვალობას ინარჩუნებდნენ, რაც მტკიცდება სხვა ცნო-



ბებითაც. ერთ-ერთი ამ ცნობის მიხედვით, "დუალნი უმდაბლესნი არიან გუარითა, გარნა თუ განდიდნენ ანუ გამდიდრდეს ოქსი ანუ დუალი, ანუ შეირთავს ორ-სამს ცოლსა, ანუ ადიდებს კოშკსა, ანუ მოკლავს კაცსა, და უკეთუ მძლევდეს ეჭმის მოსისხლეც თჳსი, შევალს კოშკსა შინა და არღარა გამოვალს სიკუდილამდე" (გვ. 640). ოსეთის აღწერაში და ოსთა ყოფის დახასიათებაშიც ჩართულია ცნობა დვალების შესახებ: "სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტეანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა, და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ, და სხვსა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან. თუნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან" (გვ. 638).

მოხმობილი ცნობებიდან თვალნათლივ ჩანს არა მარტო ის, რომ შიდა ქართლის მთიანეთში ვახუშტი დვალებით განსახლებულ ტერიტორიებს დვალეთის რეგიონებად წარმოგვიდგენს, არამედ ისიც, რომ XVIII ს-ის ისტორიკოსის დაკვირვებით ამ რეგიონებში მცხოვრები დვალები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ მამა–პაპური ცხოვრების წესსა და სარწმუნოებას. ამ კომპონენტების მიხედვით დვალი იყო დვალი და არა ოსი ან გაოსებული დვალი. ყოველივე ამის მიუხედავად რ. თოფჩიშვილმა შემოაგდო ფიქსირებული რეალობისათვის აბსოლუტურად შეუსაბამო ფრაზა: "ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების მიხედვით ჩანს, რომ მისი დროისათვის თრუსოში, მაღრან–დვალეთში და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში (დიდი ლიახვის ზემო წელი და მისი შენაკადი ხევები, პატარა ლიახვის მთიანი მონაკვეთი, ქსნის ხეობის სათავე – ჟამური

და მდ. ჯუჯორის სათავე – კუდარო) მცხოვრები ოსები არიან დვალეთიდან გადმოსახლებული გაოსებული დვალები". საილუსტრაციოდ იქვე მოჰყავს ვახუშტის სიტყვები: "და კუალად–დიდი ლიახვსა, პატარა ლიახვსა ქსნის ჴევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დუალეთიდან გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავე ურთიერთთა" (ვახუშტი, გვ. 648; რ. თოფჩიშვილი, გვ. 143).

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ისტორიის ფალსიფიკაციის უხამსი ნიმუში. ვახუშტის "აღწერის" გაყალბების პირველი მაგალითია ის, რომ მას არ უთქვამს, თითქოს ზემოხსენებულ ხეობებში მცხოვრები ოსები არიან ბუდე დვალეთიდან გადმოსახლებული გაოსებული დვალები. ვახუშტის ცნობა ეხება იმ დვალებს, რომლებიც ლიახვის ხეობაში, ქსანში და კუდაროში ჩამოსახლდნენ ქედსაქეთა დვალეთის რეგიონებიდან. მეორე სიყალბეა ის, რომ ვახუშტი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენიებს გაოსებულ დვალებს. რანაირად უნდა მოქცეულიყვნენ მაღრან–დვალეთში, თრუსოში და სხვა ხეობებში მცხოვრები დვალები გაოსებულნი, როდესაც ისინი იყვნენ "რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავე ურთიერთთა". ე. ი. ვახუშტის ეპოქაში დვალებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავისი ეთნიკური, ყოფითი და სარწმუნოებრივი ინდივიდუალობა. აღნიშნულ ვითარებასთან შეუთავსებელია იმის მტკიცება, ვ გამრეკელთან და ჯ. გვასალიასთან ერთად, რომ ქართლის მთიანეთში დვალთა ასიმილაციის პროცესი XVIII ს-ის დასაწყისში დასრულდა (გვ. 47-48). ვიმეორებ, ვახუშტის ცნობა, რომ მის ეპოქაში აქ ოსები და დვალები ცხოვრობდნენ, ეს პროცესი კი არ დასრულდა, არამედ მიმდინარეობდა.



ვახუშტისეული [illegible] ბას ემატება კიდევ ერთი სიცრუე. ვახუშტის [illegible] ლებს, რომ მან დვალეთში მცხოვრებ ოსებსა და გაოსებულ დვალებს "ოსნი–დვალნი" უწოდა. [illegible] სახეზეა ვახუშტის ნათქვამის დამახინჯება ოსსა და დვალს შორის თვითნებურად ჩასმული ტირე–თი. სინამდვილეში ვახუშტი ყველა [illegible], სადაც კი ოსებისა და დვალების შერეულ მოსახლეობას ახსენებს, ოსსა და დვალს მძიმით გამოყოფს. მაგალითად, მისი ცნობით, თრუსოში ცხოვრობდნენ ოსნი, დვალნი, ე. ი. ოსები და დვალები და არა "ოსნი–დვალნი". ვახუშტის ცნობის ამგვარი "კორექტურა" კვლავ იქითკენ არის მიმართული, რომ საქართველოს მთიანეთში გაოსებული დვალები წარმოგვიდგინოს, ე. ი. ვახუშტის დვალეთად მიჩნეული უდვალებო ქვეყანა.

რ. თოფჩიშვილის მორიგი შეცდომა ეხება თრუსოს ლოკალიზაციას ხევთან მიმართებაში. იმ მიზნით, რომ თრუსო დვალეთს ჩამოაშოროს, წერს: "დიდად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ თრუსო ვახუშტის ხევის აღწერაში აქვს შეტანილი" (გვ.14). სინამდვილეში ვახუშტიმ თრუსო ცალკე რეგიონად აღწერა (ვახუშტი, გვ. 647-648) და ხევისგან ის საზღვრითაც გამიჯნა: "ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლეთ თრუსოსა და ჴევის საზღვარი"... (გვ. 635). რაც შეეხება აღწერაში თრუსოს ხსენებას, ეს მხოლოდ საორიენტაციოდ დასჭირდა, რათა ეჩვენებინა მდ. თერგის დინების მიმართულება აღმოსავლეთისაკენ ჩასავალამდე (ჩასავალი ვახუშტიმ უწოდა ჯვრის უღელტეხილის დაღმართს მდ. "მთის წყლამდის" დაყოლებით, ე. ი. ხევის ტერიტორიის სათავეს (იხ. ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ; 1971), ხოლო ჩასავალი რომ აჩვენოს წერს: "ამ ჩასავალს ზეით



არს თრუსო სამ ჴევად... მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი" (ვახუშტი, გვ. 357).

ხევის აღწერაში ჩართული ეს დეტალი თავისთავად საყურადღებოა როგორც თრუსოს საზღვრისა და მისი ხევების ჩვენებით, ისე მოსახლეობის შემადგენლობის აღნიშვნით, მაგრამ ამ ცნობის საორიენტაციო მნიშვნელობა როდი ნიშნავს, რომ ვახუშტიმ თრუსო ხევის აღწერაში შეიტანა. ვახუშტიმ გარკვევით აღნიშნა, რომ თრუსო და ხევი ერთმანეთის მომიჯნავე ორი კუთხეა, რომელთა საზღვრად დასახელებულია "მთა თრუსოსა და ჴევს შორისი" (გვ. 648).

აქ განხილული მონაცემების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ ვახუშტი დვალეთად მიიჩნევდა არა მარტო ბუდე დვალეთს, არამედ შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარე დვალურ რეგიონებსაც – მაღრან–დვალეთსა და თრუსოს. გამომდინარე აქედან, რ. თოფჩიშვილის ბრალდება, თითქოს ვ. ითონიშვილმა ხელოვნურად გააფართოვა დვალეთის გეოგრაფიული სივრცე, მტკნარი სიცრუეა. ამის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ რ. თოფჩიშვილმა ვახტანგ ითონიშვილის "ფსევდონიმით" ვახუშტი გაასამართლა.

რ. თოფჩიშვილი ვერ შერიგებია ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ შეხედულებას: "ფართოდ გაგებული დვალეთის ქვეყნის ფარგლებში შესაძლებელი ხდება ორი "უმთავრესი ერთეულის გამოყოფა "თეთრი დვალეთის" (სამხრეთი, პირაქეთი დვალეთის") და "შავი დვალეთის" ("ჩრდილოეთი, პირიქითი დვალეთის") სახით, რითაც ჯეროვანი წარმოდგენა გვექმნება საკვლევი კუთხის გაცილებით უფრო მასშტაბური შიდატერიტორიული დაყოფის ადრინდელ ტრადიციაზე, ვიდრე ეს პირაქეთი დვალეთის "მაღრან–დვალეთად ("ზემო



დვალეთად", "მთიან დვალეთად") და "ქვემო დვალეთად შედარებით ლოკალური ხასიათის დაყოფის მაგალითზე გამოჩნდა " (ჩემი წიგნი გვ. 117). რ. თოფჩიშვილს ასევე აოცებს თრუსოს, [illegible] და მაღაროს ხსენებაც (ჩემი წიგნი, გვ. 59). ამასთან დაკავშირებით აქვე დავიმოწმებ ჩემს ნათქვამს: "თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ "ძეგლი ერისთავთა"-ში "შავდვალნი" შიდა [illegible] მიერ დვალთა წინააღმდეგ თრუსოდან დაწყებული სამხედრო ოპერაციების აღწერასთან დაკავშირებით ფიგურირებენ, მათი გააზრება სწორედ თრუსოსა და, რასაკვირველია, თავად "ბუდე დვალეთის" მოსახლეებად და შესაბამისად "შავი დვალეთის" შემადგენელ ერთეულებად "ბუდე დვალეთის" და თრუსოს მიჩნევა, ვფიქრობთ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რის კვალობაზე "თეთრი დვალეთის" განსახლების არეალის შეფარდება დიდი ლიახვის ხეობის მთიან ზოლთან (მაღრან–დვალეთისა და ქვემო დვალეთის ტერიტორიებთან) მით უმეტეს იოლია ჩვენთვის. ასევე არ უნდა ჭირდეს იმის დადგენაც, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელდების ტრადიცია XIII ს-ის მიწურულისათვის უკვე საკმაოდ მყარ ნიადაგზე იდგა, რასაც მოწმობს "შავდვალთა" მოხსენიება "ძეგლი ერისთავთა"-ში XIV ს. დასაწყისის ამბებზე თხრობის დროს" (გვ. 116-117).

რა არის სადავო იმაში, რომ თრუსო შავდვალთა სამოსახლოდ გავიაზროთ იმ მოტივით, რომ ერისთავი შავდვალთა წინააღმდეგ ბრძოლას თრუსოდან იწყებს და ამ ბრძოლის აღწერაში შავდვალნი თრუსოს მოსახლეებადაც არიან სახელდებულნი. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ბუდე–დვალეთთან ერთად თრუსოც ქედსგადაღმა მდებარე რეგიონია. შესაცხადებელი არც იმის აღნიშვნაა, რომ "ქვემო დვალთა სამოსახლო რაიონშივე სა-

გულვებული "ქვეყანაი მთაშალეთისა" (გვ. 118). რაც შეეხება "მთიულის", საქართველოს სხვა კუთხეებში ანალოგიური ტოპონიმების განხილვასთან კავშირში, ანალოგიური დვალეთთან მიმართებაში აღვნიშნე: "მარტოოდენ დვალეთთან მიმართებაში აღვნიშნე: "მაყვალი" ახლაც არ ქრემდებარება რამდენამდე ზუსტ ლოკალიზაციას, თუმცა "ძეგლი ერისთავთა"-ს იმ ცნობაზე დაყრდნობით, სადაც მაღარო მაღალმთიან და ყინვიანი მხარედ არის დახასიათებული, ის უნდა ყოფილიყო მაღრან–დვალეთის ტერიტორიაზე უნდა იყოს საძებნი" (გვ. 143).

ნაშრომში დამოწმებული და განხილული მაქვს მრავალი ქვეყნის პარალელები ცალკეული ხალხების თუ ტომების ფერებით სახელწოდების შესახებ. შესაბამისად ამისა იქმნებოდა ტერიტორიული ერთეულების სახელწოდებანიც. საკითხის ამ ჭრილში განხილვასთან დაკავშირებით დვალეთი არ წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის მკვიდრთა აღსანიშნავადაც გვხდება შავდვალნი თუ თეთრი დვალები. სხვა ქვეყნებისა და ხალხების ანალოგიების შესაბამისად დვალეთთან მიმართებაშიც შესაძლებლად მიმაჩნია ჩრდილოეთი ნაწილისადმი შავი დვალეთის, ხოლო სამხრეთი ნაწილისადმი თეთრი დვალეთის წოდება. ამასთან ერთად, ფიქსირებული მაქვს ორივე ძირითად დვალეთში შემავალი ხეობების თუ სოფლების სახელწოდებანი. აღნიშნული საკითხები დეტალურადაა განხილული ჩემს ნაშრომში (გვ. 109-119...), რომლის გაცნობა მკითხველს დაარწმუნებს, თუ რაოდენ შეზღუდულია რ. თოფჩიშვილის თვალსაწიერი.

შეზღუდულობასთან ერთად თვალშისაცემია გაბნეულობა წყაროთა ჩვენებასთან და ჩემს მიერ მოცემულ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. როგორც ჩემი ნაშრომიდან დამოწმებული ადგილის მიხედვით გამოჩნდა, შავდვალეთად კვალიფიცირე-



ბულია ჩრდილო დვალეთი ანუ ბუდე-დვალეთი. ულოგიკო კამათით გაბრუებული რ. თოფჩიშვილიც ადასტურებს, რომ შავდვალნი ბუდე-დვალეთში მოსახლეობდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად წინა გვერდზე აბსოლუტურად საწინააღმდეგო "ნაფიქრალს" გვთავაზობს: "ქრონიკაში დვალების პარალელურად ნახსენები არიან "შავდვალნი", რომლებიც ეთნიკურ–ეთნოგრაფიულად, რა თქმა უნდა, იგივე დვალები იყვნენ. მაგრამ დვალებისაგან მაინც გამოცალკევებულად მოიხსენიებიან ძირითადი დვალებისაგან ტერიტორიული გამოცალკევების გამო. ხანს, შავდვალნი შიდა ქართლის მთიანეთში, დვალეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. საგულისხმოა, რომ ძეგლში არსად ქვეყანა "შავდვალეთი" არაა დასახელებული. ლაპარაკია მხოლოდ შავდვალებზე. აშკარაა, რომ "ძეგლი ერისთავთას" ავტორისათვის შავდვალეთის ქვეყანა არ არსებობდა. დვალთა გარკვეული ნაწილის კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე გადმოსახლებამ ახალი ქვეყნის წარმოქმნა არ გამოიწვია და შავდვალებით დასახლებული დვალეთის მომიჯნავე ლიახვის ხეობის სათავეები შავდვალეთად არ იქცა. ის თავისთავად იმაზეც მიუთითებს, რომ იმდროისათვის (XIII ს.) შავდვალნი დვალეთიდან დიდი ლიახვის სათავის შენაკად ხეობაში ახალი გადმოსახლებულნი იყვნენ" (გვ. 41).

როგორც ამ ნაბოდვარიდან ჩანს, მისი შემომქმედი შავდვალებს ძირითადი დვალეთიდან XIII საუკუნისათვის გადმოსახლებულ მიგრანტებად თვლის და ამის გამო "გამოცალკევებულად მოიხსენიებიან ძირითადი დვალებისგან ტერიტორიული გამოცალკევების გამო" (სტილი დაცულია). ეს "გამოცალკევებული" ქვეყანა ყოფილა "ლიახვის ხეობის სათავეები", ოღონდ იმ პირობით, რომ ის "შავდვალეთად



არ იქცა". საკითხავია, როგორ უნდა შექმნილიყო შავდვალთა "გამოცალკევებული ტერიტორია" "დიდი ლიახვის ხეობის შენაკად ხეობაში", როდესაც "ძეგლი ერისთავთა" შავდვალეთად გვაცნობს მხოლოდ ბუდე-დვალეთისა და თრუსოს მკვიდრთ. ისე, რომ რ. თოფჩიშვილმა ბუდე–დვალეთიდან ლიახვის ხეობაში, ანუ "გამოცალკევებულ ტერიტორიაზე" XIII საუკუნისათვის ჩამოასახლა შავდვალნი, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და ისინი კვლავ ძირითად დვალეთში დააბრუნა (გვ. 58-59). ყოველივე ამის გამო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული წყაროების მონაცემებისადმი ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და "ახალი არგუმენტების" გამოჩორკვნას არავითარი კავშირი არა აქვს ობიექტურ მეცნიერულ კვლევა–ძიებასთან.

* * *

ვახუშტის მონაცემების განხილვამ, რაც ჩემთვის ერთ-ერთი რეალური საფუძველია, ცხადყო, რომ დვალეთი არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ ბუდე-დვალეთის ტერიტორიით. მაგრამ, ამის მიუხედავად, რ. თოფჩიშვილის კვალიფიკაციით, ვ. ითონიშვილს მიაჩნია, რომ "ძეგლი ერისთავთა"-ს ავტორისათვის დვალეთის ქვეყანას წარმოადგენდა არა დვალეთი, ვახუშტისეული გაგებით (რ. თოფჩიშვილის მტკიცებით, ვახუშტის გაგებით დვალეთი იყო მხოლოდ ბუდე-დვალეთი და არა მასთან ერთად თრუსო და მაღრან–დვალეთი – ვ. ი.), არამედ დიდი ლიახვის ხეობის მთა მთისწინეთი. ვ. ითონიშვილის აზრით, XIV–XV სს-სთვის დვალეთი კავკასიონის



ქედის გადმოღმა იყო" (ითონიშვილი, ჩემი წიგნი გვ. 95; რ. თოფჩიშვილი გვ. 56).

ამ უხამსი ყალბისწამებისათვის კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რ. თოფჩიშვილმა ვახუშტის მიაწერა, თითქოს მისი გაგებით ერთადერთი დვალეთი არსებობდა ბუდე–დვალეთის სახით. ამ შემთხვევაშიც ურცხვად ჩქმალავს პირიქით დვალური რეგიონების (მაღრან–დვალეთი, თრუსო) ვახუშტისეულ ლოკალიზაციას. შესაბამისად კიდევ უფრო დიდ უსინდისობამდე მიდის, როდესაც აცხადებს, თითქოს მე დვალეთად მიმაჩნია მხოლოდ ქედისაქეთა დვალური რეგიონები.

"ძეგლი ერისთავთა"-ს და ვახუშტის მონაცემების დამახინჯებისა და ჩემდამი არაკაცური ცილისწამების გასაქარწყლებლად იძულებული ვარ ვრცელი ამონაწერი დავიმოწმო ჩემი წიგნიდან: "ზემოთგანხილული მონაცემებით შემაგრებულ დებულებას დვალთა ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ინდივიდუალობისა და ოვსთაგან სრულიად დამოუკიდებლად მათი ფუნქციონირების შესახებ კიდევ უფრო განამტკიცებს ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკაში – "ძეგლი ერისთავთა"-ში (XV ს.) დაცული ცნობები დვალებსა და დვალეთზე. რომელთაც უდავოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი მხარის ეთნოგეოგრაფიისა და დვალთა ეთნიკური ატრიბუციის საკითხების გაშუქებისათვის.

როგორც მათი თანმიმდევრული ანალიზი ცხადყოფს "ოვსეთის ქვეყანა"–სთან შეპირისპირებაში განხილული და "თრუსოით არაგვთამდის" გავრცობილად წარმოჩენილი "დვალეთის ქვეყანა" XIV ს-ის დამდეგიდან ვიდრე XV ს-ის დასაწყისამდე უკვე დიდი ლიახვის ხეობის მთიან ზოლსა და "იქითა არაგვის" (გვიანდელი თერგის) ხეობის საწ-

ყის მონაკვეთს მოიცავს, რომლის ფარგლებში რამდენიმე ურთიერთმომიჯნავე შიდატერიტორიული ქანაყოფი ლოკალიზდება: 1. მაღრან–დვალეთის (მთ. დიდი ლიახვის ხეობის განსაზღვრული მონაკვეთი ს. ზღუბერიდან ს. ხოჯამდე), 2. "ქუემო დვალთა" სამოსახლო მხარის (დიდი ლიახვის ხეობის გარკვეული მონაკვეთი ს. კოშკადან ვიდრე ს. ზღუბერამდე) და 3. თრუსო (თერგის ხეობის ერთი ნაწილი სათავიდან ვიდრე ს. მნამდე) სახით (ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 102, 105-106, 110-117).

ამდენად, ჩემს მიერ უკვე განხილული წერილობითი წყაროებისაგან განსხვავებით, რომელთა თანახმად ტოპონიმი "დვალეთი" (ან "დუალეთი") უწინარეს ყოვლისა ნარა–მამისონის ქვაბულთან, ანუ ისტორიული დვალეთის ("ბუდე დვალეთის") ტერიტორიასთან იმსახურებს შეფარდებას და ორ ღირსშესანიშნავ ორიენტირს ("კასრის კარი" და "დვალეთის გზა") შორის თავსდება, ქსნის ერისთავთა ქრონიკა პირველ ჩვენებას შეიცავს შედარებით უფრო ფართო გაგებით ხმარებული "დვალეთის" შესახებ, რომლის გავრცელების არეალში საკუთრივ "ბუდე დვალეთის" გარდა მომიჯნავე მხარეებიც ("მაღრან–დვალეთი", ქვემო დვალთა სამოსახლო რაიონი, "თრუსო") ექცეოდა. მართალია, საკუთრივ ისტორიულ დვალეთზე "ძეგლი ერისთავთაში" არაფერია ნათქვამი და მატიანეში ხსენებული "ზაჯის მთის" გადაღმა მდებარე მიწა-წყალი, ვითარცა დვალთა ტომის პირველსაცხოვრისი, ამჟერად ერგადმოცემის საერთო კალაპოტიდან, მაგრამ ეს გარეუვლებას, რომ აღნიშნული ტერიტორია (ე. ი. "ბუდე დვალეთი"), "დვალეთად" სახელდებას უკვე აღარ ექვემდებარებოდა, ძირძველი ტოპონიმი "დვალეთი"



აქ "ოვსეთით" იყო შენაცვლებული, ხოლო "დვალეთისა" და "ოვსეთის" ქვეყნების საზღვარს წარმოადგენდა მაინცდამაინც ზაჯის მთა. ასეთი ნაჩქარევი დასკვნების ნაცვლად კი უფრო [illegible] განიმარტოს, რომ ჯერ ერთი, "ძეგლი ერისთავთა" ბოლომდე სდუმს ოვსეთისა და დვალეთის ქვეყნების მიჯნის შესახებ და მხოლოდ ზოგადად მიუთითებს სამეფო ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ოვსეთის ქვეყნიდან გამოდევნილ ემიგრანტთა მოზრდილი ჯგუფის დამკვიდრებაზე ზაჯის მთის გადმოღმა მდებარე დვალეთის ქვეყანაში (". . . ამათ ჟამთა იქმნა ფრიადი შფოთი ქუეყანასა **ოვსეთისასა** და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევაჲ მეფეთა შორის მათთა. მაშინ მძლე ექმნნეს შვილნი უხუცესისა ძმისანი და გარდამოიყვანნეს მთასა **ზაჯისასა** შვილნი უმრწემესისანი – როსტომ, ბიბილაჲ, წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა კეთილითა და მოიყვანნეს **ქუეყანასა დვალეთისასა** (ქსძ. II, გვ. 102), რაც თავისთავად არ გამორიცხავს თავდაპირველად სწორედ "ბუდე დვალეთში" მათი მისვლის, ხოლო მერმე უკვე იქიდან ფართოდ გაგებული დვალეთისავე პირაქეთ ნაწილში გადმოსვლის შესაძლებლობას. აკი ძველთაძველი დვალეთის ("ბუდე დვალეთის") გვიანდელ მოსახლეობაში (ე. ი. ოსებში) გავრცელებული ვ. პფაფის მიერ ადგილზე გამოკითხვით ფიქსირებული ხალხური თქმულება ზაჯის ხეობაში ოდესღაც მცხოვრები სახელგანთქმული პირების – როსტომისა და წითლოხანის შესახებ (В.Б. Пфаф, Материалы для истории осетин «Сборник сведений о кавказских горцах, вып. V, Тифлис, 1871, с. 10). შესაძლოა წარმოადგენდეს კიდეც სწორედ ზაჯის ხეობაში (ე. ი. "ბუდე დვალეთის" ერთ-ერთ ხევში) ცხრაზმის ერისთავთა წინაპრების თავდაპირველი



დამკვიდრების იმ ფაქტის რეალურ ანარეკლს, რომელმაც ვერ ჰპოვა ასახვა "ძეგლი ერისთავთა"-ში ამ თხზულების ავტორის მიერ ჩვენთვის საინტერესო ემიგრაციული მარშრუტის არასრულფასოვანი ცოდნის მიზეზით. მეორეც, "ძეგლი ერისთავთა" გადმოსცემს ცხრაზმის ერისთავების –ქვენიფნეველთა საგვარეულოს ისტორიას VI საუკუნიდან XV საუკუნის დასაწყისამდე, რის კვალობაზე დვალები მხოლოდ იმდენად იმსახურებენ მემატიანის ყურადღებას, რამდენადაც მათ უშუალოდ ცხრაზმის ერისთავებთან უხდებათ კონტაქტირება. ვინაიდან, ამ უკანასკნელთა ძალაუფლება ზაჯის მთის გადაღმა მდებარე დვალეთზე ("ბუდე დვალეთზე") ეტყობა არ ვრცელდებოდა, ქვენიფნეველ ერისთავთა შესახებ თანმიმდევრული თხრობით გატაცებული ავტორის თვალსაწიერში სავსებით კანონზომიერად ექცევა მარტოოდენ ის ნაწილი ფართოდ გაგებული დვალეთისა, რომელიც ხსენებულ ერისთავთა მიერ ხელდებულ მხარეს წარმოადგენდა.

მაშასადამე "ძეგლი ერისთავთა" საგრძნობლად აღრმავებს ჩვენს ცოდნას დვალეთად წოდებული ქვეყნის მოცულობაზე და თვალნათლივ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ "წარმატებით" ვემდებარა ერთხანს მარტოოდენ ნარ–მამისონის ქვაბულში ლოკალიზებული ისტორიული დვალეთი (დვალთა ტომის ფორმირების უძველესი კერა) ტერიტორიული გაფართოების საკმაოდ ინტენსიურ პროცესს მეზობელი კუთხეების (თრუსო; დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზონა) "ჩაყლაპვის" ხარჯზე, რაც საერთოდ ტიპიური მოვლენაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ–ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. ამ თვალსაზრისით ხომ დვალეთს მეტად ნიშანდობლივი პარალელები მოეძებნება თუნდაც ფშავისა და ხევსურეთის – თავდაპირველად



შედარებით მცირე მიწა–წყალზე (ხევსურეთის არაგვის ხეობასა და ფშავის არაგვის სათავეში) ლოკალიზებული, ხოლო შემდეგ მიგრაციული პროცესების ძალით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაფართოებული ამ ორი "მთის ალაგის"– სახით, რომელთა ტერიტორიის თითქმის ორგზის გაზრდის ფაქტის უყოყმანო კონსტატაციის ფონზე ნამდვილად მომგებიანად გამოიყურება საორიენტაციო მიზნით სამეცნიერო მიმოქცევაში თავის დროზე შემოტანილი და ხსენებული ისტორიულ–ეთნოგრაფიული ქვეყნების პირვანდელ მოცულობასთან შეფარდებული სახელწოდებანი, როგორიცაა **"ბუდე ფშავი"** (ან "ძირითადი ფშავი") და "ბუდე–ხევსურეთი" (მითითებულია ლიტერატურა) (ჩემი წიგნი, გვ. 94-96).

დაე მკითხველმა განსაჯოს – ციტირებულ ამონაწერში, თუნდაც მინიშნებით, მიწერია, რომ დვალეთის ქვეყანას წარმოადგენდა არა **ბუდე** დვალეთი (თითქოს ვახუშტისეული გაგებით ერთადერთი დვალეთი), არამედ ლიახვის ხეობის "მთა მთისწინეთი"? სრულიად აშკარად გამოჩნდა, რომ ჩემი ნაშრომიდან აქ ციტირებული ამონაგლეჯების მოხედვით იდეაფიქსით შეპყრობილი ვაიკრიტიკოსი კვლავ დაჟინებით იმეორებს მრავალგზის წამოყენებულ ბრალდებას: "წიგნის ავტორის მიზანია დვალეთის რეგიონის საზღვრები გააფართოვოს შიდა ქართლის მთიანეთის რეგიონის ხარჯზე. ავტორი საკუთარ წარმოსახავს და ფანტაზიას რეალურ მოვლენად ასაღებს" (გვ. 59).

ამ ზღვარდაუდებელი ფალსიფიკაციის საპასუხოდ კვლავ იმის განმეორება მიწევს, რომ ფართო გაგებით დვალეთში შედიოდა როგორც ბუდე დვალეთი, ისე კავკასიონის გადმოღმა მდებარე მაღ-

რან–დვალეთი, თრუსო თუ ქვემო დვალთა სამოსახლო ტერიტორია.

დეზინფორმაციით გაგულისებული რ. თოფჩიშვილი ვახუშტის ამოეფარა და მას მიაწერა დვალეთის რეგიონად მხოლოდ ბუდე დვალეთის მიჩნევა. ამასთან დაკავშირებით იგი გ. თოგოშვილსაც ედავება იმის გამო, რომ მას დვალეთად ესახება ბუდე დვალეთთან ერთად ქვემო დვალეთი და მაღრან–დვალეთი (გ. თოგოშვილი საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 221). თურმე ამით გ. თოგოშვილი "ცდილობს რევიზია გაუკეთოს ვახუშტი ბაგრატიონს. ასე რომ ვ. ითონიშვილი ამ საკითხში ორიგინალური სრულიად არაა. იგი სიტყვა–სიტყვით იმეორებს გ. თოგოშვილის მცდარ თეზას" (გვ. 92).

რანაირად შეიძლება ვახუშტის რევიზია ეწოდოს იმის თქმას, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე დვალთა სამოსახლოს წარმოადგენდა მაღრან–დვალეთი, ქვემო დვალეთი და თრუსო. ქვემო დვალეთის არსებობას როდი გამორიცხავს ის, რომ წყაროში იხსენიებიან მხოლოდ ქვემო დვალნი. ვინ იყვნენ ეს ქვემო დვალნი თუ არა ქვემო დვალეთის მკვიდრნი. რაც შეეხება ვახუშტის, მისი მონაცემები ზემოთ დავიმოწმე და აქ აღარ გავიმეორებ. განა ყოველივე ამის გათვალისწინება და რეალობის ჩვენება ვახუშტის რევიზიას ნიშნავს?

კაპას დიაცხავით გაწიწმატებული ჩემი თავქარიშხლიანი ოპონენტი ყოველნაირად ცდილობს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ნომინაციიდან როგორმე ამოაგდოს ქედსაქეთა დვალური რეგიონები (ბარემ ეთქვა – "დაიხუროს თრუსო და მაღრან–დავალეთი") და უბინძურეს ცილისწამებათა კორიანტელს აყენებს. მისი მკრეხელობა იქამდე მიდის, რომ ოსი ისტორიკოსების თანამოაზრედაც კი გამომაცხადა



მაშინ, როდესაც ოსებს თავის რეალურ მოწინააღმდეგე ძალად სწორედ მე მთვლიდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ კრებულში – "ოსთა საკითხი" გამოქვეყნებულ ჩემს ნაშრომს მათ "მაინ კამპფი" უწოდეს.

მორიგი "არგუმენტის" საფუძვლად, რომ დვალეთი მხოლოდ ქედსგადაღმა არსებობდა, რ. თოფჩიშვილი იმოწმებს 1503 წლის დოკუმენტს ("წიგნი ალექსანდრე მეფისა ხვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლო გადასახადზე"), რომელიც გვაუწყებს საჯამაგიროდ ხვანთა წასვლას დვალეთის გავლით. რაკი მათ სამოგზაურო მარშრუტში ხსენებულია დვალეთი, რ. თოფჩიშვილმა აიკვიატა, რომ "ხვანებისა და რაჭველებისათვის დვალეთი კავკასიონის ქედის გადაღმა იყო და არა შიდა ქართლის მთიანეთში. გლოლასა და ჭიორას გზით გადასახვლელია სწორედ დვალეთის ქღელეს ხეობაში. ხვანები შიდა ქართლის მთიანეთით ანუ დიდი ლიახვის ხეობით (რომელიც დვალეთად მიაჩნია ვ. ითონიშვილს) რომ წამოსულიყვნენ, ისინი ლეჩხუმსა და ზემო რაჭას (და არა მთიან რაჭას) გაივლიდნენ; გაივლიდნენ ონს და ჯეჯორას ხეობას" (გვ. 60).

ასეთი კურიოზული "ნააზრევი" უაზრობათა ნიმუშად კვალიფიცირდება. დოკუმენტში გარკვევით არის ნაჩვენები, რომ ხვანები გლოლასა და ჭიორას გავლით ისტორიულ დვალეთში გადავიდნენ. საინტერესოა, რა შუაშია აქ დიდი ლიახვის ხეობის გავლა – არგავლის ვარიანტი. რაკი ხვანებმა მგზავრობის მაშრუტი არ გაამრუდეს და დიდი ლიახვის ხეობა კი არ გაიარეს, არამედ ბუდე დვალეთის გზით იარეს, ეს თურმე დამამტკიცებელია იმისა, რომ "ხვანებისა და რაჭველებისათვის დვალეთი კავკასიონის ქედის გადაღმა იყო და არა ქართლის მთიანეთში". ამ აბსურდული წინადადებიდან გამო-



დის, თითქოს საშოვარზე წასული ხვანებისა და რაჭველების მიზანს შეადგენდა ისტორიულ – ეთნოგრაფიული კვლევა დვალეთის ლოკალიზაციის მიზნით. ბოლოს და ბოლოს რ. თოფჩიშვილის მიერ დამოწმებულ დოკუმენტში ხომ მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ მგზავრებმა ბუდე–დვალეთზე გამავალი გზა გაიარეს. მათ ეს მხარე ჭირდებოდათ და ამიტომ არ იქნებოდა მგზავრობის მარშრუტში ნაჩვენები – არსებობდა თუ არა მაღრან–დვალეთი. განა ამგვარი მიდგომა რაიმე კავშირშია ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის მსჯელობასთან?

"ძეგლი ერისთავთა"-ს თუ ვახუშტის მონაცემებზე დაყრდნობით ზემოხსენებული ლოკალიზაციის უარყოფასთან ერთად რ. თოფჩიშვილი არ ცნობს უფრო ადრინდელი წყაროების მონაცემებსაც, რის საფუძველზედაც ჩემს წიგნში აღნიშნულია: "მაშასადამე, განხილულ მასალებზე დაკვირვება გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ახ. წ. I-II- სს-ში დვალთა ტომის ტერიტორიული დისლოცირების* ძირითად რეგიონს ნარ–მამისონის ქვაბული (– კასრის, ქღელეს, ზროგოს, ზრამაგას, ზაჭას და ნარას ხევები) ანუ ისტორიული დვალეთის (ბუდე–დვალეთი) მიწა–წყალი წარმოადგენდა, თუმცა ასეთნაირი ლოკალიზაცია სრულებითაც არ უშლის ხელს იმ ვარაუდის დაწინაურებას, რომ აღნიშნულ პერიოდში დვალთა განსახლების არეალი შესაძლოა

* რ. თოფჩიშვილი მიუთითებს უცხო სიტყვების უადგილოდ ხმარებას, რაც მისი გაუნათლებლობით აიხსნება. ამის მაგალითად ასახელებს განსახლების შესატყვისად ხმარებულ "დისლოცირებას". პასუხად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერულ კვლევაში საყოველთაოდ მიღებულია საერთაშორისო მნიშვნელობის ტერმინების გამოყენება და თუ ეს მისთვის გაუგებარია, მათ შინაარსში გარკვევის მიზნით ეგების შესაბამის ლექსიკონებში ჩაიხედოს.



მოიცავდა ხსენებული ისტორიულ–ეთნოგრაფიული ქვეყნის მომიჯნავე ცალკეულ მხარეებსაც (მაგ. თრუსოს, მაღრან–დვალეთს) ანუ იმ რაიონებს, რომელთაც მოგვიანებით სავსებით კანონზომიერად განიცადეს ფორმირება რამდენადმე უფრო ფართოდ გაგებული დვალეთის (ბუდე – დვალეთი + თრუსო + მაღრან – დვალეთი) შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებად და ასევე დვალეთად სახელდებას დაექვემდებარნენ" (გვ. 78).

ჩემი ნაშრომის ამ ადგილს რ. თოფჩიშვილი აციტირებს (გვ. 49) და ბოლოს შენიშნავს, რომ "ასეთი დასკვნების არავითარი საფუძველი არ არსებობს" (გვ. 46).

ესოდენ ხისტი და ტენდენციური განაცხადით რ. თოფჩიშვილი მკითხველს უტიფრად უმტკიცებს, თითქოს ჩემი ეს მოსაზრება წყაროების ანალიზს არ ემყარებოდეს, მაშინ როდესაც ამ შეხედულების საფუძველია არა მარტო "ძეგლი ერისთავთა", ვახუშტის "აღწერა" თუ სხვა დოკუმენტები, არამედ ანტიკური ეპოქის ავტორთა (პლინიუს უმცროსი – 24-79 წწ; პტოლემეოსი – ახ. წ. II ს.) მონაცემები. აღნიშნული მაქვს ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში წყაროები ჯეროვან დონეზე არ იყო შეფასებული (იხ. ჩემი წიგნი, გვ. 74-78) და მხოლოდ ყოველივე ამის შეჯერების შედეგად არის ჩამოყალიბებული ზემოთ ციტირებული დასკვნა. რ. თოფჩიშვილმა შეგნებულად მიჩქმალა ჩემი მტკიცებულება და ბრალდება წამომიყენა ჰაერზე დაკიდებული განცხადების სახით.

მისთვის ასევე მიუღებელია სომხური "გეოგრაფიისა" (VIIს.) და სტრაბონის მონაცემები. მისი განცხადებით, ვ. ითონიშვილი დვალეთის, მისი სიტყვით, ისტორიული ანუ ბუდე–დვალეთის" და სხვა დვალეთის (თრუსო+მაღრან–დვალეთი) ლოკალიზა-

ციისა და დროის განსაზღვრისას თავისი კვლევის შედეგების გადმოცემისას ეყრდნობა არა არსებით და არა პირველხარისხოვან წყაროს (ვახუშტი ბაგრატიონი), არამედ სომხურ გეოგრაფიას და სტრაბონის მონაცემებს (რომლებიც ამ თვალსაზრისით ფაქტიურად არაფერს იძლევიან)" (გვ. 51).

ამ შემთხვევაში მას ვახუშტი მიაჩნია "არსებით და პირველხარისხოვან" წყაროდ, მაგრამ ზემოთ ხომ უკვე დავინახეთ, რომ ვერც ვახუშტის დამოწმებით დავაჯერეთ ის ქედსაქეთა დვალური რეგიონების არსებობაში. აქვე არ შეიძლება გაოცებას არ იწვევდეს ჩემს მიერ ვახუშტის იგნორირების ბრალდება. ეს იმდენად ბილწი სიცრუეა, რომ მასზე მსჯელობის გაგრძელება არც ღირს. რაც შეეხება სტრაბონისა და სომხური გეოგრაფიის მონაცემებს, რასაც ჩემი ღრმა რწმენით არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ფრიად დიდი ღირებულების ცნობების გამო, გაანალიზებულია ჩემი წიგნის 79–83 გვერდებზე. რისი ხელაღებით უარყოფის საფუძველია აღნიშნული წყაროების მნიშვნელობის შეუფასებლობა, ბლაგვი აზროვნება, ან ჩემი კვლევის შედეგების მიჩქმალვის დაუოკებელი სურვილი. ამასთან ერთად თავი იჩინა კიდევ ერთმა გაუგებრობამ. რ. თოფჩიშვილი ძალაუნებურად აღიარებს მაღრან–დვალეთის არსებობას, მაგრამ იქვე უარყოფს თრუსოში დვალთა განსახლების შესაძლებლობას არა თუ I–II სს-ში, არამედ "მომდევნო დროშიც". ეს თურმე იმიტომ არის დაუშვებელი, რომ აქ IX–X სს-მდე წანარები მკვიდრობდნენ (გვ. 52). მე კი მიმაჩნია, რომ არ არის გამორიცხული წანართა სამოსახლო ტერიტორიაზე დვალთა ინფილტრაცია I–II სს-ში დაწყებულიყო. რაც შეეხება "მომდევნო დროს", მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების ჩვენება საერთოდ შეუძლებელია.



საყურადღებოა ერთი ფაქტორიც. მე ვივარაუდე და არა აქსიომად ჩავთვალე, რომ შესაძლებელია I–II სს-ში ქართლის მთიანეთში დვალთა განსახლება დაწყებულიყო, მაგრამ თუ ეს ახეთი ალიაქოთის საფუძვლად მიიჩნია, მომდევნო საუკუნეებში მაინც რატომ გამორიცხა დვალთა განსახლება ქართლის ტერიტორიაზე. რანაირად შეიძლება "მომდევნო დროში" დვალთა სამოსახლოდ არ წარმოვიდგინოთ მაღრან–დვალეთი ან თრუსო, სადაც ვახუშტის ეპოქაშიც შერეული მოსახლეობა იყო დვალებისა და ოსების სახით. თვით მისივე ნათქვამიც, რომ "მაღრან–დვალეთის რეგიონი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, დიდი ლიახვის სათავეში პირველად ქართულ საისტორიო წყაროებში XIII ს-ის ამბების თხრობასთან დაკავშირებითაა ნახსენები" (გვ. 11) არ გულისხმობს ვ. წ. "მომდევნო დროში" დვალური რეგიონების არსებობას შიდა ქართლის მთიანეთში?

* * *

იმისათვის, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით დვალეთი და ოსეთი ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა, საჭირო ყოფილა იმის აღნიშვნა, რომ ამ წყაროებს იყენებდა ვ. გამრეკელიც. გამოდის, რომ ნებისმიერი წყაროს მოხმობა გვავალდებულებს ყველა იმ ნაშრომის დამოწმებას, სადაც ეს წყაროა გამოყენებული. ამ გზით მივიღებდით ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ცნობარს და არა წყაროებზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ კვლევას. იგი ჩემს საპირისპიროდ ასახელებს ჩემს ნაშრომში მითითებულ წყაროებს, რომელთა გამოყენების უფლება არ მქონია, ვ. გამრეკელის მიერ მათი დამოწმების



გამო. რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს ჩემს წიგნში მეორდება ვ. გამრეკელის კვლევის შედეგები, ამასთან დაკავშირებით საჭიროა დავიმოწმოთ ჯერ ვ. გამრეკელის თვალსაზრისი, ხოლო შემდეგ ჩემი ინტერპრეტაცია. ვ. გამრეკელი წერს: "В результате ознакомления со сведениям античных писателей мы пришли, с одной стороны, к позитивному выводу, что со значительной степенью вероятия тал-валл-уалов, т. е. двалов можно причислить к аборигенно-кавказским племенам, родственным горцам Иберии и вейнахам, а с другой стороны, пришли к негативному выводу, что нет никакого основания для причисления тал-валл-уалов, т. е. двалов к пришлим аланским племенам"(**В. Н. Гамрекели**, Двалы и Двалетия в I–XV вв. н.э. Тб; 1961, стр. 63).

იმის "საბუთად", რომ მე ვ. გამრეკელის ნათქვამი გავიმეორე, რ. თოფჩიშვილმა ნაცად ხერხს მიმართა და ჩემი მჯელობიდან ერთი ფრაგმენტი ამოგლიჯა, სადაც აღნიშნულია, რომ დვალები კავკასიური წარმომავლობისანი იყვნენ (რ. თოფჩიშვილი, გვ. 54). მაგრამ იმისათვის, რომ მკითხველმა არსებითი განსხვავება დაინახოს ჩემსა და გამრეკელის მსჯელობას შორის, იძულებული ვარ დავიმოწმო ჩემი ნაშრომის შესაბამისი ადგილი:

"ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები მარტოოდენ დვალთა ტომის ოდინდელი ლოკალიზაციის თვალსაზრისით არ იქცევს ჩვენს ყურადღებას. ზემოთ დამოწმებული წერილობითი წყაროები განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათი საგულდაგულო ანალიზის წყალობით ჯეროვანი დამაჯერებლობით ხერხდება დვალთა ტომის გამიჯვნა ირანული მოდგმის ვრცელი ეთნიკური მასივის ცალკეული კომპონენტებისაგან ("სარმატები", "აორსები", "ასიები", "ალანები", "როქსოლანები" და სხვ.), რაც თავისთავად საკმარისად



მყარი არგუმენტია ეთნონიმ "დვალი"-ს მიღმა მოიაზრება მაინც სარმატულ–ალანური ძირის (ან ძველთაგანვე ირანიზირებული) ტომის ამოცნობის ფუძენებით სტიმულირებულ მტკიცებათა საპირისპიროდ. მართალია, ესოდენ ნიშანდობლივი დიფერენციაციის ფონზე პლინიუს უფროსისა და პტოლემეოსის თხზულებათა გარკვეული მონაკვეთები აშკარად სცოდავს სკვითურ თუ სარმატულ ტომთა სიაში ზოგიერთი არაირანული მოდგმის ხალხის თუ ტომის (მაგ; ჯიქების, უდიების, დაკების, ჰუნების და სხვ.) მექანიკური ჩართვის, ხოლო "სარმატის" შემადგენელ ნაწილად თითქმის მთელი ჩრდილო კავკასიისა და ნაწილობრ ამიერკავკასიის მიწა–წყლის (მათ შორის წანარების, თუშების, სვანოკოლხების დისლოცირების არეალის) წარმოდგენის თვალსაზრისით, მაგრამ ბერძნულ–რომაული ისტორიოგრაფიისათვის ერთობ დამახასიათებელი ამ რიგის ელემენტარული შეცდომისადმი კრიტიკული მიდგომის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს ახ. წ. I–II სს-ის ავტორთა ნაშრომებში ხსენებულ დვალთა ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ინდივიდუალობის ფაქტის უყოყმანოდ აღიარებისა და მათი კავკასიური წარმომავლობის ვერსიის დომინირების საჭიროებაზე" (ჩემი წიგნი, გვ. 78-79).

ჩემი და ვ. გამრეკელის ნათქვამის განსხვავებისა და რ. თოფჩიშვილის თაღლითობის დანახვა ობიექტურ მკითხველს არ გაუჭირდება. განსხვავება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ბევრად სრულია ჩემი ანალიზის დიაპაზონი სხვა ტომებისგან დვალთა გამიჯვნისა და სარმატულ ტომთა სიაში ზოგიერთი არაირანული მოდგმის ხალხის თუ ტომის ჩართვის შესახებ, არამედ არსებითია განსხვავება საკუთრივ დვალთა ვინაობის კუთვნილების

შესახებაც. ჩემი ინტერპრეტაციით, დვალები კავკასიური წარმომავლობის ტომია. ვ. გამრეკელის შეხედულებით კი დვალები ენათესავებიან იბერიის მთიელებსა და ვაინახებს. აქ არც არის რაიმე მოულოდნელობა, ვინაიდან ვ. გამრეკელის წიგნი მთლიანად დვალების ვაინახურ ტომად მიჩნევის მტკიცებას მიეძღვნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. გამრეკელისა და ჩემი ნაშრომის ზემოთ ციტირებული ადგილების წყაროებიც სხვადასხვაა. საკითხავია, მაშ რა საფუძველი გააჩნდა რ. თოფჩიშვილს, რომ ჩემთვის დაებრალებინა ვ. გამრეკელის მსჯელობის დუბლირება, მსჯელობისა, რაც დვალთა ვაინახობაზეა აგებული და ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

მორიგი ცილისწამება ეხება ისევ ვ. გამრეკელის შრომის ერთი ადგილის მითვისებას. ბრალმდებელს ამოუგლეჯია ჩემი ორიოდე წინადადება: "როგორც მოტანილ ამონაწერზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, ამჯერად დვალთა ტომი იბერიელ მთიელთა განსახლების რეგიონში იგულისხმება" (ჩემი წიგნი, გვ. 80; რ. თოფჩიშვილი, გვ. 54). აქ არ არის მითითებული რა წყაროსა თუ ამონაწერს ვეყრდნობი და ჩემს მიერ ვ. გამრეკელის შეხედულების მითვისების საილუსტრაციოდ იქვე აციტირებს ვ. გამრეკელის ნაშრომის შესაბამის ადგილს, მაგრამ ამოუღია თავისთვის არასასურველი საორჭოფო წინადადებები. ამიტომ სისრულისათვის ვიმოწმებ თვით ვ. გამრეკელის ნაშრომს: "У Страбона мы не нашли ничего конкретного непосредственно относящегося именно к двалам; но посколку двалы являлись непосредственнимы соседями Иберии с севера, населяли северные склоны и предгорья Кавказа, все сказанное о «народцах у Кавказа», их принадлежности к сарматам и родстве с горцами Иберии со значительной



долей вероятия может быть распространено и на двалов (хотя, конечно, полной абсолютной уверенности в правильности такого обобщения нет), и тогда двалы оказываются племенем родственным опяттаки грузинским или веинахским племенам" (ვ. გამრეკელი, გვ. 58).

რ. თოფჩიშვილმა ამ ამონაწერში შეგნებულად არ შეიტანა ვ. გამრეკელის მიერ ფრჩხილებში ჩასმული საჭოჭმანო სტრიქონები და ბოლო წინადადება ქართველებთან ან ვაინახებთან დვალების ნათესაობის შესაძლებლობის შესახებ.

ჩემი კომპრომიტირებისათვის ეს მას ხელს აძლევდა, ვინაიდან ვ. გამრეკელის სრული ციტირების შემთხვევაში გამომჟღავდებოდა ორჭოფული მსჯელობაც და ჩემთვის მიუღებელი შეხედულებაც ვაინახებთან დვალების ნათესაობის შესახებ. ამიტომ, იმის გამო, რომ მკითხველს რეალური წარმოდგენა შეექმნას აღნიშნული საკითხის შესახებ, დავიმოწმებ ჩემი წიგნიდან ზემოთ ციტირებული ადგილის (გვ. 78-79) გაგრძელებას: "სხვათა შორის, წინთქმულთან დაკავშირებით უპრიანია შეინიშნოს, რომ ანალოგიური ხასიათის ხარვეზებისგან თავის დროზე არ აღმოჩნდა დაზღვეული სტრაბონის სახელგანთქმული "გეოგრაფიაც", სადაც პლინიუსის ნაშრომისაგან განსხვავებით, მართალია კონკრეტულად არაფერია ნათქვამი დვალების შესახებ და იქ ოქროს მომპოვებელ ტომად მარტოოდენ სვანები ფიგურირებენ, მაგრამ სამაგიეროდ ავტორის ამგვარი დუმილი დვალებად წოდებულ მთიელებზე ერთგვარად კომპენსირებულია ზოგადად იბერიის მთიანი მხარის მკვიდრთა დახასიათებით: "დაბლობზე ცხოვრობენ იბერთგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის,



უქირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ვაკეზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან. თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც და როცა [illegible], თავისი და მათი (ე. ი. სკვითებისა და სარმატების, გ. ა.) [illegible] მრავალი ათასი მეომარი"[1].

როგორც მოტანილ ამონაწერზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, ამჯერად დვალთა ტომი იბერიულ მთიელთა განსახლების რეგიონში იგულისხმება. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ტერიტორიულად მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში ლოკალიზებული ისტორიული დვალეთისა ("ბუდე დვალეთის") და მისი მომიჯნავე იმ ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნების (თრუსო, ხევი) მიწა-წყალსაც, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. IV ს-ის მიწურულიდან ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენელ მონაპირე მხარეებად ("ნაპირის ალაგებად") წარმოგვიდგება (ვახუშტი, გვ. 633-634; 654-655). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იბერიულ მთიელებს ჩრდილო კავკასიის ტრამალებზე დამკვიდრებული სკვითებისა და სარმატების

---

[1]სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 128.
შენიშვნა: სტრაბონის ნაშრომის ამ ცნობის [illegible] (იხ. **В. Б. Виноградов**, Сарматы Северо-Восточного **Кавказа**, Грозный 1963, С. 152-154), [illegible]



მეზობლებად და ნათესავებად აცხადებს, ბერძენი სწავლულის აღნიშნულ ცნობას ხელიც არ გააჩნია ქართლის (იბერიის) სამეფოს ფარგლებში მცხოვრები მთიელების (მათ შორის დვალთა ტომის) უსათუოდ ირანული წარმომავლობის მანიშნებელი უტყუარი საბუთის ღირებულება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროს პირველწყაროს ნაბისმიერი ჩვენებისადმი სრული ნდობით განწყობილმა არაკომპეტენტურმა მკითხველმა. საქმე ისაა, რომ სტრაბონის "გეოგრაფიაში" დამოწმებულ "სკვითსა" და "სარმატში" მარტოოდენ ირანულენოვანი მოსახლეობის აღმნიშვნელი ტრადიციული ეთნონიმების კონკრეტული შინაარსი არაა ნაქსოვილი და მთელ რიგ შემთხვევებში ისინი კავკასიური მოდგმის ტომებსაც ფარავს. ასე, მაგალითად, სტრაბონის ნაშრომის ერთ ადგილას სახეზე გვაქვს შემკრებლობითი მნიშვნელობით ხმარებული სახელწოდებების "სარმატისა" და "კავკასიელის" ურთიერთშენაცვლების ფაქტი (დიოსკურიაში . . . "თავს იყრის 70 ტომი... ყველა ტომი განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს... უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან", სტრაბონი, გვ. 123), ხოლო სხვაგან ლეკები სკვითურ ტომად არიან მიჩნეულნი ("... ამაძონებსა და ალბანებს შორის სკვითები – გელები და ლეკები – ცხოვრობენ", სტრაბონი, გვ. 136). ამასთან, აქვე ხაგასასმელია საგანგებოდ განიმარტოს, რომ ჩვენთვის საინტერესო თხზულებაში ასახული მტკიცება იბერიელ მთიელთა "ნათესაობის" და ირანულენოვან მომთაბარეთა მხარეთა შესახებ დაწინაურებული ჩანს ხსენებულ მხარეთა შეპიროვითი კულტურის მაპროფილებელ ნიშანთა შეპირისპირებისა და მათ შორის რეალური მსგავსების ფიქსაციის პრაქტიკით შემაგრებული ნაჩქარევი დასკვნების ბაზაზე, რითაც ის ბევრ საერთოს პოულობს

ანტიკურ ლიტერატურაში დადასტურებულ ზოგიერთ სუბიექტურ, არაიშვიათად ამა თუ იმ ავტორის შესაშური ფანტაზიით ნასაზრდოებ შეხედულებებთან" (ჩემი წიგნი, გვ. 79-81).

შედარება ააშკარავებს, რომ ჩემს მიერ მოცემული დასაბუთება იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც ვ. გამრეკელის ნაშრომში არც არის გამოყენებული, არსებითად განსხვავდება მისი ორჭოფული და თანაც ვაინახურობის თვალსაზრისის მქონე შეხედულებებისგან.

ვ. გამრეკელის წიგნიდან ციტირებული ადგილი მოიცავს იმ საკითხებს, რაც ჩემს ნაშრომშია განხილული? – სხვა რომ არაფერი, ვ. გამრეკელი არ შეხებია დვალეთის გაფართოებული ტერიტორიის ლოკალიზაციას, არ იძლევა სტრაბონის ცნობების ანალიზს კავკასიური, ქართველური თუ არაქართველური ტომებისა და მათი სახელწოდებების რეალური შინაარსის შესახებ და ა. შ. იგი მხოლოდ იმის თქმით დაკმაყოფილდა, რომ სტრაბონის ცნობები უშუალოდ არ ეხება დვალებს, მაგრამ რამდენადაც დვალები ჩრდილოეთიდან ემეზობლებიან იბერებს, ამდენად ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ შესაძლებელია დვალებზედაც გავავრცელოთ. ამ ფრაზის დამოწმება განა საფუძველია იმისა, რომ მისგან სრულიად განსხვავებულ ჩემს დასაბუთებაში პერიფრაზირება დავინახოთ?

რ. თოფჩიშვილი პერიფრაზირების ერთ-ერთ მაგალითად ასახელებს IV ს-ის შუა პერიოდში შედგენილი რომაული საგზაო რუკის – ე. წ. პეიტინგერის ტაბულის ან კარტორიუსის რუკის გამოყენებას "დვალის" ლოკალიზაციის საბუთად (გვ. 55-50). ე. ი. მისი აზრით, ამ დოკუმენტით სარგებლობის უფლება მე არ მქონია და უსათუოდ უნდა მიმეთითებინა ეს დოკუმენტი ვინ როდის გამოიყენა.



ამ შემთხვევაშიც ისტორიული წყაროს დამოუკიდებლად გამოყენების ნაცვლად უნდა მეყრდნო იმ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაზე, სადაც ეს წყარო დამოწმებული. ბოლოს და ბოლოს წყაროს მიხედვით ნაჩვენებია "დვალის" ლოკალიზაცია, რაც რაიმე სხვა შეხედულებისა და რაიმეს მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევა.

* * *

ეთნიკური ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით რ. თოფჩიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გვარსახელებს, მაგრამ როგორც კი ჯერი მიდგა ზ. ვანეევის შეხედულების შეფასებაზე გაქართველებული ოსების გვარსახელების შესახებ, დაუყოვნებლივ განაცხადა: "ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ გვარსახელები ამ მხრივ ვერც ერთ მკვლევარს ვერ გამოადგება, თანაც IV–XIII სს-ში ჩამოსახლებული ოსების შთამომავალთა საძებნელად. ასეთ ძველ გვარსახელებს, ჯერ ერთი, ჩვენამდე არ მოუღწევია და მეორე, გვარსახელთა ერთნაირი სახელები ამის დამადასტურებელი არაა" (გვ. 75).

ნათქვამის საწინააღმდეგოდ ამ სტრიქონების ავტორი ხშირად ეფუძნება გვარსახელების ძირის ფონეტიკურ მსგავსებას და ეტიმოლოგიური ვარჯიშის დონეზე "ადგენს" ოსთა გვარების უმრავლესობაში ქართულ წარმომავლობას. მაგალითისათვის დავიმოწმებ მის "მიგნებას" ბიგულოვების შესახებ. მოჰყავს გადმოცემა, რომ ყაბარდოდან მოსული კაცი დაქორწინებულა ბიგულოვის ქალზე – "აშკარაა, ბიგულოვები ადგილობრივი მკვიდრნი – დვალები იყვნენ. შეიძლება ეს გვარი შევადაროთ



დასავლურ ქართულ (მეგრულ) გვარს ბიგვას. "ბიგულოვსა" და "ბიგვას" ერთი ძირი აქვთ ("ბიგ") ოღონდ ადგილობრივ დვალურ გვარს – ბიგულოვს ფუძეზე ერთვის ქართული სუფიქსი –ულ. გვარის თავდაპირველი ფორმა იყო ბიგული" (გვ.204).

ჯერ ერთი, რითი მტკიცდება, რომ ბიგულოვი დვალი იყო და, მეორეც, ფონეტიკური მსგავსებით ძირის გამოყვანა და მეგრულთან მისი დაკავშირება რამდენად გამართლებულია? ან კიდევ, რითია დასაბუთებული, რომ გვარის თავდაპირველი ფორმა იყო "ბიგული"? ასე ხომ გაუთავებლად შეიძლება ფონეტიკური მსგავსებით ნებისმიერ გვარს რაღაც ძირები მოუნახოთ და ის მეგრულს დაუკავშიროთ. ასევე დაუსაბუთებელია ოსეთში ფიქსირებული პირადი სახელიდან – გოცი-დან გამოვიყვანოთ გვარი გოცაძე, ძიძა-დან-ძიძარია და ა. შ.

რ. თოფჩიშვილი საერთოდ თავდაჯერებული სითამამით ეპყრობა გვარის სახელწოდების წარმოების საკითხს და უმრავლეს შემთხვევაში პირთა სახელების შემთხვევითი მსგავსების მიხედვით წერს რეცეპტებს ამა თუ იმ გვარის ვინაობის თუ სადაურობის შესახებ. XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მიხედვით მას ზანებისადმი დვალების მიკუთვნების საფუძვლად მიაჩნია დასავლურ-ქართული სახელების და არა ქრისტიანული კანონიზებული სახელების გავრცელება ისტორიულ დვალეთში ანუ ბუდე დვალეთში. ამას იმით ხსნის, რომ დვალეთში ქრისტიანობა მტკიცედ ფეხმოკიდებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოშიც არ ყოფილა ქრისტიანობა ამაღლებულ მდგომარეობაში და ამიტომ მომხდარა დასავლურ–ქართული არაქრისტიანული სახელების შემოტანა დვალეთში. ერთ-ერთ ასეთ არაქრისტიანულ გვარ–სახელად დასახელებულია 1814 წლის



აღწერაში მოხვედრილი გეტო ბელელური, რასაც ახლავს შემდეგი სახის კურიოზული განმარტება: "გეტო დასავლურ–ქართული სახელია, ხოლო ბელელური ბელელა–დან წარმოებული მთური გვარია" (გვ. 26). ე. ი. ამ კომბინაციის მიხედვით ერთი და იგივე პიროვნება სახელით ყოფილა ზანი, ხოლო გვარით მთიელი. შემდეგ ჩამოთვლილია სახელები: ტუხია, ბიძინა, ჩინელი, ფრანგა, ბატია, ჩიჩო, ბაბა, ხუჭა, დოჩი, დოჩო, ჩოჩი, გოჩა... ასევე ამ სახელებიდან წარმოებული გვარები: ჩოჩოური, (ჩოჩიშვილი), ჩოჩივაძე, ჩოჩელი, ჩოჩოშვილი, ჯანაშვილი, ბერიშვილი, გუჩაშვილი//გუცაშვილი, თითქოს გუდიაურიდან მომდინარე გუდავა (ე. ი. მთიელის გვარიდან მომდინარეა მეგრული გვარი?), ჩაბაკაური და მრავალი სხვა. გვარ–სახელების ასე უხვად ჩამოთვლით რ. თოფჩიშვილი ერთ მიზანს ისახავდა – ეჩვენებინა ზანურიდან მათი წარმომავლობა, მაგრამ ამ ქაოტურ ჩამონათვალში მოხვდა უმეტესად აღმოსავლურ–ქართული გვარ–სახელები (გვ. 25-31).

ქართული ენის ოსურზე გავლენის საბუთად მასვე მოჰყავს ოსური გვარის ქართულად გაფორმება -ურ სუფიქსით, რაც თურმე იმით აიხსნება, რომ ოსთა გადმოსახლება მოხდა დვალეთში – ქართულ ენობრივ–ეთნიკურ სამყაროში (გვ. 37). ე. ი. მან არ იკმარა დვალების მიჩნევა ქართველურ ტომად და დვალეთი უცბად ქართულ ენობრივ–ეთნიკურ სამყაროდ გამოაცხადა. იგივე აზრია გატარებული მეორე გამონათქვამში: "დვალები დასავლურ–ქართული ჯგუფი იყო" (გვ. 127). ე. ი. დვალები დასავლურ–ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი კი იყო, მაგრამ მოსახლეობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მისივე მტკიცებით, "დვალეთში ქართველური ტომები მკვიდრობდნენ" (გვ. 124), ხოლო ვ-

გამრჯელის მონაპოვრად ჩათვალა, რომ მან "დვალები დახავლურ–ქართულ (ზანურ) და კავკასიურ ტომებად წარმოიდგინა" (გვ. 22). ორივე ეს ფრაზა კიდევ ერთ "აღმოჩენად" შეფასებას იმსახურებს, რომ დვალეთში რამდენიმე ქართველური ტომი მკვიდრობდა, ან დვალები ზანურ და კავკასიურ ტომებს აერთიანებდნენ. დასანანია, რომ დვალთა გაერთიანებაში შემავალი "ტომების" აღნუსხვა გამორჩენია.

ყოველივე ამის შემდეგ ანალოგიური მაგალითების მოხმობა არც ღირს, ვინაიდან მათი უმრავლესობა ლინგვისტის ამბიციებით შეპყრობილი მეცნების თვითნებური ეტიმოლოგიური "ჭვრეტის" პირდაპირ პროპორციულია.

ასეთივე ვითარება დასტურდება ქართული გვარებისა და პატრონიმიული დანაყოფების ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. მაგალითისათვის შეიძლება გადავხედოთ მის შეხედულებას მოხეური გვარის შესახებ. პირდაპირ შეიძლება ითქვას რომ გვარისა და პატრონიმიული ერთეულების ფორმაზე მსჯელობასთან დაკავშირებით მიუღებელია იმის მტკიცება, რომ მოხევური გვარის სუფიქსი ძე–ს თუ შვილი–ს ნაცვლად იყო **თი** (გვ. 37). სინამდვილეში შვილ–ზე, ძე–ზე თუ ურ–ზე გაფორმებულია გვარისსახელი საერთოდ, ხოლო გვარში შემავალი დანაყოფების (პატრონიმიების) აღსანიშნავად გამოყენებულია **ენ** და **ეთ** სუფიქსი. მაგალითად, ლუდუშაურების საგვარეულოდან გამოყოფილ გვარებთან (შიოლაშვილი, პაპიაშვილი, ვარძუკაშვილი, ყაშვილი...) ერთად პატრონიმიულ სახელწოდებებად ჯანუ-ფიგურირებენ: ყაზიენი, ლომნიენი, თათარენი, ყარაჯენი და ა. შ. რომლებიც გაფორმებული არიან **ენ** სუფიქსით. თითოეული მათგანისადმი პიროვნების კუთვნილების გამოსახატავად კი გამოიყენებოდა **ეთ**



სუფიქსი (მაგალითად, ლომნიეთ პავლე, ყარაჯეთ ვანო, ყაზიეთ გიორგი და ა. შ.). მაშასადამე, პატრონიმიული ერთეულის აღმნიშვნელი სახელწოდების სუფიქსია არა **თი**, არამედ **ენ**, ხოლო პატრონიმიისათვის პიროვნების კუთვნილების აღნიშვნაში გამოიყენებოდა **ეთ** სუფიქსი.

* * *

იმის თავგამოდებით მტკიცების შემდეგ, რომ დვალეთი მხოლოდ ნარას ტაფობი იყო, რომ დვალეთში არ შედიოდა მაღრან–დვალეთი, ქვემო დვალეთი და თრუსო, რ. თოფჩიშვილი მკითხველს ასეთ რამეს სთავაზობს: "ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაწერილმა ერთმა გადმოცემამ გვავარაუდებინა, რომ ისტორიულად დვალებს უფრო მეტი ტერიტორიები ეკავათ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, ისე საქართველოს მაღალმთიანეთში, უფრო სწორედ, საქართველოს ჩრდილოეთი პროვინციების ზოგიერთ იმ ნაწილში, რომლებიც პირიქით მდებარეობენ (გვ. 45).

მტკიცების საფუძველი ყოფილა გადმოცემები დევების შესახებ: "ფშავისა და ხევსურეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ დევები, რომლებიც აქ მცხოვრები ქართველი მთიელების მიერ გაძევებულ იქნენ" (გვ. 45). იქვე სპეციალური ლიტერატურაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ "დევებში არაქართული ეთნიკური ერთეულის, კერძოდ, ვაინახური ეთნოსის წარმომადგენლები უნდა იგულისხმებოდნენ (მითითებულია: თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ; 1967). ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას რიგი ეთნოისტორიული



მონაცემების ანალიზი იძლევა. მაგრამ, ამ ვარაუდს გამორიცხავს ვაინახებში ჩაწერილი მასალა, რომ ინგუშეთის ამ ხეობაში ოდესღაც უცხოვრიათ "დევებს" (**А. Н. Генко**, Из Культурного прошлого ингушей «Записки Коллегии Востоковедов», т. V Л; 1930, стр. 706). ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალა აქვს მოპოვებული, აგრეთვე, ისტორიკოსს ივ. წიქლაურს. თარგამის თემის სოფელ ერგიკალთან (ხევსურულად – "არგიჭალი") არის რამდენიმე ნამოსახლარი მსხვილი, მასიური ლოდებით მშრალად ნაგები კედლებით, რომლებსაც ადგილობრივი ინგუშური მოსახლეობა დევების ნამოსახლარად მიიჩნევდა. ეთნოისტორიული ხასიათის ეს გადმოცემები ეჭვქვეშ აყენებენ დევების ვაინახურ წარმომავლობას. როგორღა შეიძლება დევები ვაინახები ყოფილიყვნენ, როდესაც თვით ვაინახებით დასახლებულ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში უფრო ადრე დევებს უცხოვრიათ"? (გვ.45).

ამონაწერის მიხედვით, თ. ოჩიაურის კვლევის შედეგები ფხოვის ტერიტორიაზე დევების ცხოვრების შესახებ მხოლოდ ვარაუდის დონეს შეესატყვისება, ე. ი. თ. ოჩიაურს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ვარაუდისთვის მიუღია. თანაც ეს ვარაუდიც გამოირიცხება იმ მოტივით, რომ დევების ცხოვრებაზე მიუთითებენ საკუთრივ ინგუშეთშიც. ამ შინაარსის გადმოცემები ეჭვქვეშ აყენებენ დევების ვაინახურ წარმომავლობას იმის გამო, რომ ვაინახებამდე იქ დევებს უცხოვრიათ, ე. ი. ვაინახისათის დევი სხვა იყო და არა ვაინახი.

რ. თოფჩიშვილმა არ დააყოვნა და გამოსავალიც გამონახა. მან დევების ვაინახობა უარყო როგორც ფხოვში, ისე ინგუშეთში და თავის მხრივ შენიშნა: "ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მთასა და ინგუშეთში ოდესღაც მოსახლე დევები დვალები



უნდა ყოფილიყვნენ. ამის მტკიცების საფუძველს, ვფიქრობთ, იძლევა, ნ. ვოლკოვას მიერ ინგუშეთში მოპოვებული მასალა, რომ მთიელი ინგუშები დვალებს უწოდებდნენ "დევა"-ს (მრავლობით რიცხვში – "დვი"-ს – იხ. **Н. Г. Волкова**, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа; М; 1973, стр. 127). ისიც აღსანიშნავია, რომ მალხისტელებისათვის იგივე დვალები ცნობილი იყვნენ "დუვა"–ს სახელწოდებით (ნ. ვოლკოვა, გვ. 127-128)" (რ. თოფჩიშვილი, გვ. 45-46).

"ვარაუდით" თუ "მტკიცებით" ასე მარტივად გადაწყვიტა რ. თოფჩიშვილმა ფხოვსა და ინგუშეთში დვალთა განსახლების შესაძლებლობა. საკმარისად ჩათვალა იმის დადასტურება, რომ "დვალთან" მისადაგებული "დივა", "დუვა" თუ "დვი" ინგუშეთში დვალების ცხოვრების მაჩვენებელი ყოფილა. მას დაავიწყდა ერთი უდავო ჭეშმარიტება, რომ ერთი ხალხი მეორე ხალხს თავისი ლექსიკით მოიხსენიებს, მაგრამ ამა თუ იმ ხალხის შესატყვისი სახელწოდება უსათუოდ იმ ქვეყნის მკვიდრობის დამამტკიცებელი ხომ არ არის, საიდანაც ეს სახელწოდება მომდინარეობს. ამის მიხედვით იქნებ გვეფიქრა, რომ ფხოველები, რომლებსაც ვაინახები "ფხიას" უწოდებენ, ინგუშეთის ან ჩაჩნეთის მკვიდრნი ყოფილან. ვაინახურში ასევე მრავალი სხვა ხალხის სახელწოდებაც არსებობდა, მაგრამ ყველა მათგანი ჩაჩნეთ–ინგუშეთის მკვიდრი ხომ არ იყო.

როგორც დავინახეთ, დვალომანიით მონუსხული რ. თოფჩიშვილი დევებთან ალიანსში აღმოჩნდა და მათ დვალობა უწყალობა, ოღონდაც კი ნდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე დვალთა სინსილა გაეწყვიტა. ამგვარი დილეტანტობა და ზღვარდაუდებელი პარადოქსი მხოლოდ პათოლოგიურობით თუ აიხსნება.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ ხევსურეთს. იმის მტკიცების საფუძვლად, რომ ინგუშეთის გარდა ფხოვიც თავდაპირველად დვალთა სამოსახლოს წარმოადგენდა, რ. თოფჩიშვილმა მიიჩნია ხევსურეთის სოფ. გუდანში შემორჩენილი ერთ-ერთი ხალხური გადმოცემა კივკაზაურების (და არა კავკაზაურების) უძველეს მოსახლეებად არსებობის შესახებ. გ. ჩიტაიას შეხედულების დამოწმებით, რომ ეს კივკაზაურები ყოფილან "ქართლის ცხოვრებაში" ხსენებული კავკასიანნი (გ. ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, "ისტორიის ინსტიტუტის შრომები", I, 1955), რ. თოფჩიშვილმა კავკაზაურები დვალებად გამოაცხადა იმ მოტივით, რომ დვალეთი ცენტრალური კავკასიის რეგიონში მდებარეობს. მისივე მრწამსით, "ქართლის ცხოვრების" მიხედვით "კავკასიანნი" და ვაინახთა წინაპარი დურძუკები სხვადასხვა ეთნიკური ერთეულები იყო" (გვ. 46). ამის მიხედვით, დვალები "კავკასიანი" იყვნენ, ხოლო დურძუკები არა.

რ. თოფჩიშვილმა ვერ გაიაზრა, რომ გ. ჩიტაია კავკაზაურებს თუ კივკაზაურებს "კავკასიანებს" უკავშირებს, ხოლო კავკასიანთა განსახლების სივრცედ წარმოგვიდგენს ტერიტორიას დიდოეთიდან სვანეთამდე. სრულიად აშკარად ჩანს, რომ გ. ჩიტაიას განმარტება ეხება მეფე საურმაგის მიერ ჩამოსახლებულ დურძუკებს. რ. თოფჩიშვილის "მტკიცებით" კი კავკასიანნი იყვნენ არა დურძუკები, არამედ დვალები. საოცარია, რ. თოფჩიშვილი თუ კავკასიანებად დვალებს წარმოიდგენდა და არა დურძუკებს, რისთვის მოიხმო გ. ჩიტაიას სრულიად საწინააღმდეგო არგუმენტი?

ასეთი დაბნეულობის საპირისპიროდ და რეალური ვითარების წარმოსაჩენად მიზანშეწონილია გაიშიფროს ცნება "კავკასიანნი", მაგრამ მანამდე



საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნოთ, რომ 1987 წლის 15 აგვისტოს მეც მქონდა შესაძლებლობა დამეფიქსირებინა ხევსურთა ხსოვნაში შემორჩენილი გადმოცემები სოფელ გუდანის შესახებ (მთხრობელი გორგი ლვთისოს ძე ჭინჭარაული, დაბად. 1920 წ.). გადმოცემების შინაარსმა და უშუალო დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ამ სახელწოდებით აღინიშნებოდა როგორც სოფელი მთლიანად, ისე საკუთრივ მისი ქვემო ნაწილი – **ძველი გუდანი**. მის ზემო ნაწილს კი ეწოდება **ზენუბანი**. მე მივუსწარი მხოლოდ ჭინჭარაულების 9 კომლს; ამ დროისათვის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბარში იყო გადასახლებული.

გადმოცემის მიხედვით, სალვთო გუდანის ჯვარი თავდაპირველად აღუმართავთ **მუხათკარს**. შემდეგ მისთვის ადგილი გამოუცვლიათ და სოფლის თავზე მდებარე მთის წვერზე, რომელსაც ხანე ეწოდება, სალოცავად კოშკი აუშენებიათ (მისი აგება მიეწერება თამარ მეფეს). ბოლოს კი ეს სალოცავი სანედან გადმოუტანიათ იმ ადგილას, სადაც დღემდე გუდანის ჯვარი დგას. ამ ჯვართან ახლოს უცხოვრიათ **კივკაზაურებს**, ხოლო ზენუბნის ტერიტორიაზე – **ქიჩბარაულებს**. გადმოცემა იმაზედაც მოგვითხრობს, რომ კივკაზაურების ბაკში სამჯერ ამოსულა იფნის ხე და სამჯერვე მოუჭრიათ. მერმე ჟამი (შავი ჭირი) გაჩენილა და კივკაზაურები ამოწყვეტილან. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ქალი, ქერაულზე დანიშნული, რომელიც ავადმყოფობის მიზეზით ქერაულს ცოლად არ შეურთავს (ვახტ. ითონიშვილი, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, რვ. I, 1987 წ; გვ. 70-72).

კივკაზაურების შესახებ ძალიან მოკლე ცნობაა შეტანილი ვ. ბარდაველიძის ნაშრომში – "აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადი-



ციული საზოგადოებრივ–საკულტო ძეგლები", I, II, თბ. 1982: "სახმთო გუდანის ჯვარში წისქვილის ქვა იყო დაყუდებული. ეს ქვა დარჩენილი იყო კივკაზაურებისა და ქიჩბარაულებისაგან, როდესაც ისინი ჯვარმა აქედან აყარა" (გვ. 13).

გადმოცემის ვარიანტებისაგან განსხვავების მიუხედავად ერთი რამ ცხადია – არა კავკაზაური, არამედ კივკაზაური იყო სოფ. გუდანში მცხოვრები ერთ-ერთი გვარი, რომელმაც თავისი არსებობა გუდანშივე დაასრულა. მას მხოლოდ ფონეტიკურად მიემსგავსება გ. ჩიტაიას და რ. თოფჩიშვილის მიერ გამოგონებული ტერმინი "კავკაზაური", რაც ხევსურეთისათვის აბსოლუტურად უცნობია, მაგრამ იმისათვის, რომ "კავკასიანთან" კავშირი ეჩვენებინათ, მათ "კივკაზაურს" ჩაუნაცვლეს "კავკაზაური" და "კავკასიანს" მიაბეს, რითაც შეთხზეს ხევსურული გადმოცემის დღემდე უცნობი ახალი ვერსია. მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ძველი გვარი იყო "კავკაზაური". როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ადგილზევე ამოწყვეტილი თუ ჯვარისგან აყრილი გვარი "კავკასიანის" ტოლფას ტომობრივ ერთეულად, რომელიც განსახლებული იყო დიდოეთიდან სვანეთამდე.

"კავკასიანებთან" ე. წ. "კავკაზაურების" იდენტიფიკაციის შესახებ გ. ჩიტაიას შეხედულებას რ. თოფჩიშვილი იმოწმებს, მაგრამ "აკონკრეტებს", რომ "კავკასიანნი" და შესაბამისად "კავკაზაურები" "ძირად დვალები იყვნენ" (გვ. 46). აშკარაა, რომ ამ სიყალბეზე ახორხლილი ამ გაუგებრობის გასაფანტავად საჭიროა ცნება "კავკასიანნი"-ს გაშიფრვა.

იმის შესახებ, თუ რა შინაარსს იტევდა ცნება "კავკასიანნი", ნაჩვენები მაქვს გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში – "ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან", რომლის სათანადო ადგილას აღნიშნულია:



საინტერესოა, რომ **XI–XVIII** საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ასახული **კავკასნი//კავკასიანნი//კავკასელნი//კავკასიელნი** კონკრეტული ეთნიკური მისამართის გარეშე ხმარებული შემკრებლობითი ხასიათის ტერმინებია, რომელნიც შედარებით ვიწრო და შეიძლება ითქვას უფრო ტრადიციული გაგებით ფარავს: 1) მდ. თერგსა და კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთ კიდეს შორის ლოკალიზებულ იმიერკავკასიის მიწა–წყლის ეთნიკურად ჭრელ ავტოქთონურ მოსახლეობას (ე.წ. ხაზართა (=სკვითთა) ჩამომავლებად მიჩნეული ოსების გამოკლებით), ან კიდევ 2) დურძუკეთის (აწინდელი ჩაჩნეთ–ინგუშეთის) დასავლეთით მდებარე ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთის (უპირატესად კი აღნიშნული რეგიონის პირიქითი ხეობების) მკვიდრთ (საქართველოს მონაპირე მაღალმთიანი კუთხეების – დვალეთის, ხევის, ხევსურეთის, თუშეთის მცხოვრებთა ჩათვლით), ხოლო შედარებით ფართო და ალბათ უფრო გვიანდელი გაგებით "ჯიქეთიდამ გურგანის ზღუამდე" (ე. ი. ადიღედან კასპიის ზღვამდე) გადაჭიმული ჩრდილოეთ კავკასიის მთელ მოსახლეობას – იმიერკავკასიის მთიანეთის მთელ მოსახლეობას დაღესტნელების და ოსების ჩათვლით (**ლეონტი მროველი**, ცხოვრება ქართველთა მეფეთა– "ქც", I, გვ. 3, 6, 64; **ჯუანშერი**, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, "ქც", I, გვ. 179; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, "ქც", II, გვ. 19, 53; **ბერი ეგნატაშვილი**, ახალი ქართლის ცხოვრება, "ქც", II, გვ. 329, 343; **ვახუშტი ბაგრატიონი**, "აღწერა"... "ქც", IV, გვ. 71, 89, 141, 170, 268, 291, 370, 419, 651).

მართალია, ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკურ სქემაში ტერმინი "კავკასნი" ეპონიმურ ეთნონიმად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს საეჭვო შემეცნებითი ღირსების მქონე ფაქტი თავისთავად

არაგვის ლაპარაკობს აღნიშნული სახელწოდების ოდინდელი ტრანსონიმიზაციის და ეთნონიმის რანგში საბოლოოდ ამაღლების სასარგებლოდ, ვინაიდან წერილობითი წყაროების მკაფიო ჩვენებით "კავკასნი//კავკასიანნი" დაახლოებით ისეთივე სემანტიკური ხირის ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებაა, როგორიც, მაგალითად, ზოგადად "მთიელის" მნიშვნელობით ხმარებული "მთიული" // "მთეული". ის არა ეთნიკური, არამედ უფრო ეთნოგრაფიული შინაარსის ცნებაა.

ამდენად, "კავკასნი" // "კავკასიანნი"-ს მიჩნევა ერთ-ერთ უძველეს ეთნონიმად და ამ უკანასკნელის გააზრება მაინცდამაინც ჩაჩნეთ-ინგუშეთის დასავლეთით მდებარე ცენტრალური კავკასიონის ხეობების მოსახლეობაზე (ჩაჩნურ-ინგუშურ და მათ ახლო მონათესავე ტომებზე) მიმაგრებულ ეთნიკურ ტერმინად, რასაც ადგილი აქვს ვ. გამრეკელის ნაშრომში (**В. Н. Гамрекели**, Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб; 1961, с. 22-28), მიზანშეწონილი არ არის.

ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ, ტერმინი "კავკასნი" "კავკასიანნი" თავისი უძველესი და შეიძლება ითქვას, კლასიკური გაგებით უპირატესად ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანი ზოლის (მეტწილად კი მისი პირიქითი ნაწილის) მკვიდრთ არ მიესადაგებოდა, მაგრამ ამ ფაქტის ცალმხრივი უტრირების ნებისმიერი მცდელობა ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ეს მხოლოდ ცნება "კავკასნი"-ს სემანტიკური დიაპაზონის ხელოვნურ დავიწროვებას უწყობს ხელს.

აქ ძალაუნებურად იბადება ერთი კითხვა – მაინც რამ განაპირობა ტერმინ "კავკასნი"-ს უპირატესად ცენტრალური კავკასიის მოსახლეობის მისამართით გამოყენების ტრადიციის წარმოქმნა და ამ ტრადიციის მდგრადობა?



დასმულ კითხვასთან დაკავშირებით [illegible] ბულია ყურადღების აქცენტირება იმ საგულისხმო ფაქტზე, რომ ცენტრალური კავკასიაა სწორედ ის რეგიონი, სადაც ქართულმა სახელმწიფომ ძველთაგანვე განსაკუთრებით მყარად მოიკიდა ფეხი და ადგილობრივი მთიელი მოსახლეობაც თავისი პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში მოაქცია. აქი ამ კონსტატაციასთან დაკავშირებით ძალაუნებურად გვახსენებს თავს ფარნავაზის მჭიდრო ურთიერთობა დურძუკებთან (აწინდელ ჩეჩენ-ინგუშთა ეთნიკურ წინაპრებთან) და მისი მემკვიდრის – საურმაგის მიერ დურძუკთა მასობრივი გადმოსახლება საქართველოს "მთიულეთში" (მთიანეთში) "დიდოეთიდან სვანეთამდე" (ანუ ცენტრალური კავკასიის ქართულ სექტორში). მეტად სიმპტომატურია აგრეთვე ლეონტი მროველის აშკარად დურძუკოფილური პასაჟები, კერძოდ, "კავკასის ნათესავთა" შორის მათი პირველობის ფაქტის საგანგებო ხაზგასმა ("ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალი დურძუკ, ძე ტირეთისა"). რად ღირს იმის აღნიშვნაც, რომ სწორედ ცენტრალურ კავკასიაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის კომუნიკაციები (პირველ რიგში კი არაგვის გზა დარიალის კლდეკარით), რომლით სარგებლობა იმთავითვე ბევრ ქართველს უხდებოდა. ამავე გზით ხდებოდა იმიერ-ქართველს უხდებოდა. ამავე გზით ხდებოდა იმიერკავკასიიდან კავკასიელთა თუ ნომადთა ლაშქრის გამოყვანა და უკან გაბრუნება.

ვფიქრობთ, წინთქმულის გათვალისწინებით აღარაფერია გასაკვირი იმაში, რომ ძველი ქართველის ცნობიერებაში "კავკასის" ხსენება პირველ რიგში ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ასოციაციას ჰბადებდა, რამაც დროთა განმავლობაში "კავკასიანად" პირველ რიგში სწორედ აღნიშნული რეგიონის მკვიდრის წარმოდგენის და სახელდების



ეთნოგრაფიულ-ონომასტიკური სტერეოტიპების გამოხვეწას შეუწყო ხელი. ასე, რომ ცნება "კავკასიელის" შედარებით ვიწრო და უფრო ტრადიციული გაგებით დანერგვა-გამოყენების ისტორიული მოტივი ჩვენთვის საკმარისად ნათელი ხდება.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული ნომინაციური სტერეოტიპი ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვინაიდან მისი დაძლევა XVIII საუკუნის დიდ ქართველ სწავლულს ვახუშტი ბაგრატიონსაც არ ხელეწიფება. მის ნაშრომში – "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ცნებები "კავკასი" // "კავკასია" და "კავკასნი" // "კავკასიანნი" // "კავკასიელნი" უპირატესად ცენტრალური კავკასიის პირიქითა სანახებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან არის მისადაგებული.

XIX საუკუნიდან ტერმინი "კავკასიელი" საბოლოოდ განიცდის ფორმირებას მთელი კავკასიის მოსახლეობის აღმნიშვნელ კრებით სახელწოდებად, რის შემდეგაც მისი სემანტიკური კოდი აღარც იცვლება.

ამგვარად, "კავკასიანნი" ეთნიკური ერთეულის (ეთნოსის) აღმნიშვნელი ცნება კი არ არის, როგორც ეს რ. თოფჩიშვილს წარმოუდგენია, არამედ შემკრებლობითი შინაარსის ტერმინია, რომელიც მოიცავდა დვალებსაც და დურძუკებსაც. განსაკუთრებით საოცარი კი ის არის, რომ რ. თოფჩიშვილმა ჯერ უარჰყო თრუსოს, მაღრან-დვალეთისა და ქვემო დვალეთის დვალთა ქვეყნებად მიჩნევის შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ დღემდე უცნობი დვალური რეგიონებიც "აღმოაჩინა" ფშავ-ხევსურეთისა და ინგუშეთის სახით. ასეთია "სწორუპოვარი დვალოლოგის თუ დვეოლოგის" წინააღმდეგობრიობაზე დამყნობილი "არგუმენტები".



* * *

რ. თოფჩიშვილის მორიგი თეორიული ცდომილებების მიხედვით მე არ ვითვალისწინებ სპეციალური კვლევის შედეგებს არაგვის ხეობის კუთხეების (თემების) ლოკალიზაციასთან დაკავშირებით.

იმის შესახებ, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულება არსებული ლიტერატურისადმი, ნათლად გამოჩნდა ჯერ კიდევ 1983 წელს დაცულ წარდგენილი საკანდიდატო დისერტაციის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV–XVIII საუკუნეებში) შესავალ ნაწილში, რასაც ისტორიოგრაფიული სისრულისათვის აქვე ვაციტირებ:

არაგვის ხეობის იმ მონაკვეთში, რომელიც ჟინვალსა და ანანურს შორის მდებარეობს, ოთხი ძირითადი ტერიტორიული ერთეულია მოქცეული: მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი. ეს კუთხეები ისტორიულად ნამდვილად სახევთაშორისო საზღვრებით მტკიცედაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ჭართალი, ხანდო და, არაიშვიათად, გუდამაყარიც რატომღაც მთიულეთის შემადგენელ თემებადაა მიჩნეული, ხოლო ჭართლელები, ხანდოელები და გუდამაყრელები მთიულებთანაა გაიგივებული. ამიტომ, მთიულეთის და მისი მომიჯნავე მთის კუთხეების (გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) ლოკალიზაციის საკითხში სათანადო სიცხადის შეტანაა საჭირო.

სპეციალური ლიტერატურის შესწავლა ცხადყოფს, რომ მთიულეთის, გუდამაყარის, ხანდოსა და ჭართლის ლოკალიზაციის საკითხში დაშვებული შეცდომები მნიშვნელოვნად განპირობებულია ერთი მხრივ ისტორიული წყაროების და ეთნოგრაფიული

მასალების არამართებული ანალიზით, მეორე მხრივ კი ცნებების "მთიულეთის" და "მთიანეთის", აგრეთვე "მთიულის" და "მთიელის" ერთმანეთში არევის ფაქტორით.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ცნებების "მთიულეთის" და მთიანეთის", მთიულის" და "მთიელის" ერთმანეთში არევის ტრადიციას ბარში ჩაეყარა საფუძველი და მან აქ ისე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ დღესაც ბარის მკვიდრთა დიდი ნაწილი ტერმინ "მთიულს" "მთიელის" მნიშვნელობით ხმარობს, ხოლო ცნება "მთიულეთის" ქვეშ "მთიანეთს" გულისხმობს. როგორც ჩანს, ამ ტრადიციის ერთგულნი აღმოჩნდნენ ძველი ქართველი ისტორიკოსებიც, რომელთა ნაშრომებში ძლიერად იჩინა თავი აღნიშნული ცნებების ერთმანეთთან მექანიკური გაიგივების ტენდენციამ, რამაც დიდი დაბნეულობა შეიტანა მთიულეთის და მის მეზობლად მდებარე მთის კუთხეების ლოკალიზაციის საკითხში. პირველ რიგში, ალბათ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ("ქართლის ცხოვრების" ავტორთა თხზულებები, XIV-XVII სს-ის სამართლის ძეგლები და ისტორიული დოკუმენტები), ვახუშტი ბაგრატიონამდე, "მთიულეთი" (ან "მთეულეთი") ზოგადად მთიანეთის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს მთის რეგიონის მოსახლეობა, შესაბამისად, "მთიულების" (ან "მთეულების") ზოგადი სახელწოდებით არის ცნობილი.[1] საყურადღებოა, რომ XIII-

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა..., ქც, I, გვ. 27, 116; ჯუანშერი, ცხოვრება გორგასლისა, ქც, I, გვ 205, 217; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქც. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ; 1959, გვ. 111; მატიანე ქართლისა, ქც. I, გვ. 256; ჟამთააღმწერელი, ქც. II, გვ. 183; "ძეგლის დადება", ქსძ, I, გვ. 401-402; "ძეგლი ერისთავთა", ქსძ, II, გვ. 117;



XVII სს-ის წყაროებში არაგვის ხეობის იმ მონაკვეთზე, სადაც ვახუშტის მიერ ლოკალიზებული დღევანდელი მთიულეთი მდებარეობს, აღნიშნულია ხადისა და ცხავატის (ცხაოტის) არსებობა. ისინი ისეთსავე ცალკე თემებს წარმოადგენენ, როგორსაც მათთან ერთად ხსენებული ხევი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართლი, ხოლო ამგვარი დაყოფის კვალობაზე "ჴადელნი" და "ცხავატელნი" ეთნოგრაფიულ ჯგუფთა რიგს მიეკუთვნებოდნენ მოხევეების, გუდამაყრელების, ხანდოელებისა და ჭართლელების გვერდით.

ქართველ ისტორიკოსთა შორის ვახუშტი პირველი იყო, ვინც "მთიულეთი" ერთი კუთხის ლოკალურ სახელწოდებად წარმოგვიდგინა. მისი დამსახურებაა მთიულეთისა და მისი მეზობელი კუთხეების (გუდამაყარი, ხევი, ცხრაზმა, ხანდო) შემოფარგვლა გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით, მთიულეთის უკიდურესი სამხრეთი საზღვარი არ სცილდება იმ ადგილს, სადაც მთიულეთის არაგვს ("– უერთდება გუდამაყრის არაგვი ზეით, გუდამაყრის–ჴევის შესართავს შუა, არს მთიულეთი"[2]), დასავლეთ–ჩდილოს და ჩრდილო–აღმოსავლეთით ჩრდილოეთით

წიგნი სასისხლო საქმისა ბელასზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის 1490-1503 წლებში, "სვანეთის საისტორიო ძეგლები", პ. ინგოროყვას რედ. ნაკვეთი I, თბ. 1941, გვ. 31-34; წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი 1669 წ. ქსძ, III, გვ. 559; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც, II, გვ. 330; ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქც, II, გვ. 445.

[2] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 355.



მთიულეთს საზღვრავს კავკასიონის ქედი, რომელიც ამ კუთხეს გამოჰყოფს გუდამაყრისა და ხევისაგან ("ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჴევისაგან"[3]), ხოლო დასავლეთით მთიულეთი ცხრაზმისა და ლომისის მთებით გამიჯნულია ქსნის ხეობისგან ("...მთიულეთისა და კსანის–ჴევს განჰყოფს ცხრაზმასა და ჴანდოს ლომისის მთა"[4]).

დამოწმებული ადგილი ზუსტად გვაცნობს მთიულეთის მდებარეობას და მის მომიჯნავე კუთხეებს. ამასთან, ვახუშტი მთიულებს, როგორც ქართველ მთიელთა ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, განასხვავებს მათი მეზობელი მთიელებისაგან, მაგალითად, მოხევეებისაგან, როდესაც მათ ცალცალკე მოიხსენიებს ("...სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი და უმეტეს მოჴევე-მთიულნი"[5]).

ამრიგად, ვახუშტისთან მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართლი და ხევი ერთმანეთის მომიჯნავე ტერიტორიულ ერთეულებად წარმოგვიდგებიან და ცხადია, გეოგრაფიული გაგებით ხმარებული ზოგადი სახელწოდების – "მთიულეთის" ქვეშ უკვე აღარ არიან გაერთიანებულნი. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე XVIII–XIX სს-ის წერილობით წყაროებში, სადაც მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი ერთმანეთისაგან მტკიცედ გამიჯნულ და შესაბამისად მთიულებით, გუდამაყრელებით, ხანდოელებით და ჭართლელებით და-

[3] იქვე. გვ. 355.
[4] იქვე. გვ. 355.
[5] იქვე გვ. 31.



სახლებულ კუთხეებად იხსენიება[1]. სამწუხაროდ, დამოწმებული მონაცემების გაუთვალისწინებლობის ან მათი აშკარა იგნორირების მიზეზით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოხერხდა ზემოხსენებული კუთხეების მიჯნების დაზუსტება. მკვლევართა მიერ მთიულეთის და მის მეზობლად მდებარე კუთხეების ლოკალიზაციის საკითხში დაშვებული შეცდომები ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ისინი მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვრად მიიჩნევდნენ მთიულთ–კარს, მენესოს, ანანურს ან ჟინვალს, რაც იწვევდა ხანდოსა და ჭართლის მექანიკურ შეყვანას მთიულეთის შემადგენლობაში[2].

[1] 1733 мая 14 Б. М. Письма старшин горных провинции Гудамакари, Мтиулети, Кистети, Тагаури и Хеви к царю Вахтангу VI с изъявлением свой верноподапности, «Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в. 1968, с. 122-126; სამწყსოს განაწლების სიგელი ერეკლე II-ისა წილკნელ ქრისტეფორესადმი (1746წ.), ქსძ, II, გვ 396; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I გ. გელაშვილის თარგმანი გამოკვლევითურთ, თბ; 1962, გვ. 267-269; ...მასალანი, გვ. 428-472; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I გვ. 105-139; კათალიკოზის სამწყსო სოფელნი და ხელქვეშენი მღვდელმთავარნი ქართლსა და კახეთში (1788-1811 წწ.): ქსძ, III, გვ. 1114; записка Н. С. Чиляева о горских народах по Военно-Грузинской дороге, 1827, АКАК, VII, 1878 г; Тифлис, с. 347-350; Ф. Ланд, Гудамакарское ущелье, «Кавказский календарь на 1863 г». Тифлис, 1862, с. 332-337; Н. К. Никифоров, экономический быт государственных крестян Душетского уезда, Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V. Тифлис, 1887, с. 2-4; იოანე ბაგრატიონი, ქართლკახეთის აღწერა, კრ. "ტოპონიმიკა", II, თბ; 1980 და ა. შ.

[2] ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 5; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957, გვ. 24; ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960, გვ. 4; რ. ხარაძე, ალ.რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", III, გვ. 207; მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, "საქართველოს ისტორი-

ამასთან, მთიულეთის საზღვრების ასეთი ხელოვნური გაზრდა და ხანდო–ჭართლის, ვითარცა დამოუკიდებელი კუთხეების რეალური არსებობის ეჭვქვეშ დაყენება (ან ხელაღებით უარყოფა) ისეთივე სერიოზული ხასიათის შეცდომას წარმოადგენს, როგორც იმავე ხანდოსა და გუდამაყრის გაიგივება მთიულეთთან ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნებით მათი მსგავსების საფუძველზე, რასაც ადგილი აქვს ერთ-ერთ ნაშრომში[3].

ცხადია, ამ სახის უზუსტობანი მხოლოდ არსებული წერილობითი წყაროების, პირველ რიგში კი ვახუშტის ცნობების არასწორი ანალიზით შეიძლება აიხსნას. უდავოა, რომ ხსენებული კუთხეების ისტორიული საზღვრების დადგენაში ასეთ გაუგებრობას არ ექნებოდა ადგილი საკვლევ რეგიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მეტი ყურადღებით გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან ეთნოგრაფიული მონაცემები სავსებით უჭერენ მხარს მთიულეთის, გუდამაყრის და ხანდო–ჭართლის მიჯნების ვახუშტისეულ გაგებას.

1981 წლის ივლის–აგვისტოში, აგრეთვე 1982-83 წლების მაის–ივნისში, მთიულეთსა და გუდამაყარში (უფრო ადრე კი ხანდოში), ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთიულეთის სამხრეთ საზღვარი არ სცილდება შავი და თეთრი არაგვის შესაყარ ადგილს დაბა ფასანაურთან. ამ ადგილის აყოლებით, თეთრი არაგვის

ული გეოგრაფიის კრებული", გვ. 53-54, 56; მისივე, არაგვის ხეობა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქვემოთ ყველგან ქსე), I, თბ 1975, გვ. 533; მისივე თანაავტორობით, ხადის ხეობა, თბ; 1983, გვ.15; მისივე მთიულეთი, ქსე, 6, თბ; 1983, გვ. 673; გ. ხორნაული, მთები, და სახელები, თბ; 1983, გვ.7-9.

[3] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 10.



ხეობაში მთიულეთია მოქცეული, ხოლო შავი არაგვის ხეობაში–გუდამაყარი. მთიულეთის სამხრეთ საზღვრად მთხრობლები გვისახელებენ აგრეთვე სოფ. ქავთარაანთ–კარს (ქავთურთ-კარს), რომელიც ფასანაურის ჩრდილოეთით მდებარეობს მე-3 კმ-ზე. ორივე შემთხვევაში მთიულეთის სამხრეთ საზღვარს მიღმა რჩება ხანდო და მით უმეტეს ჭართალი, რომელთაც მთხრობლები მთიულეთის მეზობლად მდებარე ცალკე თემად თვლიან.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მთიულეთი ჩრდილოეთით ჯვრის უღელტეხილამდე და ღუდის ხევის სათავემდე (მთა ნეფისკალო) გრძელდება, რომლის გადაღმა თრუსო და ხევია. თეთრი არაგვის ხეობაში, აგრეთვე მის გვერდით ხევებში (მაგ., ხადის-ხევი, ამირთ-ხევი, ჩოხელთ-ხევი, ხარხელთ-ხევი და ა.შ.), ლოკალიზდება მთიულეთის ძირითადი თემებიც, რომელთაგან ცნობილია ხადა (ისტორიულად მოიცავდა არაგვის გვერდით ხევს–ხადის ხევს, აგრეთვე დიდველს და ღუდას) და ცხავატი (სოფ. ქვეშეთსა და ფასანაურს შორის მდებარე ტერიტორია).

ამრიგად, ისტორიული წყაროებისა და ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მთიულეთი თეთრი არაგვის (ან მთიულეთის არაგვის) ხეობაში დაბა ფასანაურსა (ან სოფ. ქავთარაანსა) და ჯვრის უღელტეხილს (აგრეთვე ნეფისკალოს) შორის ლოკალიზებული მთის კუთხეა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრებით მტკიცედაა გამიჯნული მის მეზობლად მდებარე ტერიტორიული ერთეულებისაგან (ხანდო, გუდამაყარი, ხევი, ცხრაზმა). ფაქტია, რომ მთიულეთის უკიდურესი სამხრეთი საზღვარი არ ფარავდა ხანდოს ხევს და მით უმეტეს ჭართალს, რომლებიც მთიულეთში არც არასოდეს იგულის-



ხებოდნენ. ცხადია, კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას ქმნის მკლევართა მიერ გუდამაყრის გამოცხადება მთიულეთის თითქმის განუყოფელ ნაწილად[1], ან მათი გააზრება ერთ თემად[2] და ამის საფუძველზე საქართველოს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების აღმნიშვნელ რუკაზე გუდამაყრის შეყვანა მთიულეთის შემადგენლობაში[3].

ისტორიულ–ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზი და არსებული ლიტერატურის კრიტიკული განხილვა ნათელყოფს, რომ გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი მთიულეთის ფარგლებში არ შედის, გუდამაყარი შავი (გუდამაყრის) არაგვის ხეობას მოიცავს და აღმოსავლეთიდან ემიჯნება მთიულეთს, ხოლო ხანდოს ხევი წარმოადგენს რა დამოუკიდებლად არსებულ კუთხეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (და არა მთიულეთის ნაწილს, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული), სამხრეთიდან ემეზობლება მთიულეთს. რაც შეეხება ჭართალს, მას ტერიტორიულად არაგვის ხეობის ერთი განსაზღვრული მონაკვეთი უჭირავს ხანდოს ხევსა და ანანურს შორის.

ყოველივე ამის შემდეგ საჭირო არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ არაგვის ხეობის კუთხეთა ლოკალიზაციის საფუძვლად მივიჩნიე ვახუშტის, ისტორიული წყაროებისა და ჩემს მიერ ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მონაცემები. ამ მონაცემების ფონზე გამოვლინდა ზემოხსენებულ

[1] გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[2] ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ; 1955; ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ე. ვირსალაძისა.

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ; 1981, გვ. 63.



მკვლევართა მიერ დაშვებული შეცდომებიც. ლოკალიზაციასთან დაკავშირებით შემდგომი მუშაობის შედეგები აისახა ჩემს სამ მონოგრაფიაში[4] და სამეცნიერო ორგანოებში გამოქვეყნებულ არაერთ გამოკვლევაში (მათ აქ აღარ ჩამოვთვლი). აღნიშნულის მიუხედავად რ. თოფჩიშვილმა ბრალად დამდო ი. დოლიძის, ჯ. გვასალიას და თავისი კვლევის შედეგების იგნორირება. მისი "ობიექტურობის" სამხილებლად ვიმოწმებ გამონათქვამს ჩემი ერთ-ერთი წიგნის ("აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან") შესახებ: "როდესაც ვ. ითონიშვილი საუბრობს ხადის შესახებ და წერს, რომ "დროთა განმავლობაში "მთიანეთის" იდენტური შინაარსით ხმარებულმა სახელწოდება "მთიულეთმა" სწორედ ძველი ჰადისა და ცხავატის ტერიტორიაზე განიცადა დავიწროება ამჯერად უკვე ერთი განსაზღვრული ისტორიულ–ეთნოგრაფიული მხარის აღმნიშვნელი კუთხური გეოგრაფიული ტერმინის სახით, რის შედეგადაც "ჰადელნი" და "ცხავატელნიც" "მთიულებად" სახელდებას დაექვემდებარნენ" (გვ.6), არ უთითებს იმ სათანადო ლიტერატურას, რომელიც ამ საკითხზე არსებობს. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ი. დოლიძისა და ჯ. გვასალიას ნაშრომები, რომლებმაც პირველებმა მოახდინეს ცხავატის ისტორიული თემის ლოკალიზაცია და ჩვენს ნაშრომს, რომელშიც მსჯელობა გვაქვს იმაზე, რომ დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ–გეოგრაფიული რეგიონი მიღებულია ორი ადრინდელი ისტორიულ–გეოგრაფიული რეგიონის ხადისა და

[4] ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ; 1986; მისივე, არაგვი და არაგველები, თბ; 1989; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ; 1992.

ცხავატის გაერთიანებით" (უთითებს: **რ. თოფჩიშვილი**, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ–ეთნოგრაფიული საკითხი, "მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №2, გვ. 101-102)".[1]

რ. თოფჩიშვილს უწინარეს ყოვლისა უნდა შევახსენო, რომ არაგვის ხეობის კუთხეთა ლოკალიზაციაზე მუშაობა დავიწყე ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში. "ხანდოს ხევი და მთიულეთი (ლოკალიზაციის საკითხი)" მოხსენების სახით წავიკითხე სსრკ მე-60 წლისთავისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდა მეცნიერთა საიუბილეო კონფერენციაზე (იხ. მოხსენებათა თეზისები, 1981 წლის 20-25 აპრილი). შემდეგ დავწერე სადიპლომო ნაშრომი – "ხანდოს ხევი – ისტორიულ–ეთნოგრაფიული ნარკვევი" (1980წ.) რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში.[2] 1983 წელს კი დასაცავად წარვადგინე ზემოხსენებული მონოგრაფია, რომელშიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, კრიტიკულადაა შეფასებული ყველა არსებული ნაშრომი. გამომდინარე აქედან, თავად რ. თოფჩიშვილი იყო ვალდებული მიეთითებინა ჩემს ნაშრომებზე, რომელთა დაწერა–გამოქვეყნების ქრონოლოგია მოიცავს 1980–1985 წწ და არა მე მევალებოდა მის მიერ 1985 წელს დაბეჭდილ ნაშრომზე მითითება.

რაც შეეხება ი. დოლიძეს და ჯ. გვასალიას, მათ ვაკრიტიკებ როგორც ამ ნაშრომში (დისერტაცი-

[1] **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ; 1997, გვ. 48-49.
[2] **ვახტ. ითონიშვილი**, ხანდოს ხევი (ლოკალიზაცია, ეთნონიმიკა, განსახლება, კრ. "ისტორიულ–ეთნოგრაფიული შტუდიები", II, თბ; 1985.



აში), ისე ზემოხსენებულ მონოგრაფიებში. მათ მიერ დაშვებული უხეში შეცდომების საილუსტრაციოდ იკმარებდა იმის აღნიშვნა, რომ ი. დოლიძე მთიულეთის ფარგლებში მოაქცია გიორგი ბრწყინვალის "ძეგლის დადების" მოჭმედების ტერიტორია, ე. ი. არაგვის ხეობის მონაკვეთი სოფ. მენეს-სოდან ჯვართაყელამდე. ფაქტიურად მან მთიულეთი უწოდა საკუთრივ მთიულეთს (ხადასა და ცხავატს), გუდამაყარს, ხანდოს და ჭართალს. მისივე გაგებით, "ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მთიულები",[3] ნაცვლად იმისა, რომ მთიულებთან ერთად დაესახელებინა გუდამაყრელები, ხანდოელები და ჭართლელები.

ანალოგიური ხარვეზებით ხასიათდება ჯ. გვასალიას შრომებიც, რაც შეფასებული მაქვს როგორც დისერტაციაში, ისე არაგვის ხეობის ისტორიულ–ეთნოგრაფიული შესწავლისადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ შრომებში. ყოველივე ამას აქ აღარ გავიმეორებ, მაგრამ ამჟამად მაგალითისათვის დავიმოწმებ მის ნათქვამს: "თითქმის ყოველთვის მთიულეთ–გუდამაყარი ერთ თემად გაიაზრებოდა და გაიაზრება".[1] აქვე შეიძლება გავიხსენოთ ისეთი კურიოზი, როგორიცაა ხადასადმი წილკნის შერქმევა და ა. შ.

როგორც რ. თოფჩიშვილის ნაშრომის ერთი ადგილის გადასინჯვამ დაგვანახა, მისი ავტორი შეპყრობილია დაუფარავი ტენდენციურობით და სინამდვილის უტიფარი გაყალბების წყურვილით. აღ-

[3] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ; 1957, გვ. 24.
[1] **ჯ. გვასალია**, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. V, გვ. 56.



ნიშნულის დამადასტურებელია კიდევ ერთი ბრალდება, თითქოს ჩემს მიერ ასევე იგნორირებულია მისი ნაშრომი ("მაცნე", 1985, №2) ლუდაში ოსური მოსახლეობის გაჩენის შესახებ.

თავის ხერხლე შრომებზე უზომოდ შეყვარებულ მოკამათეს, რომელსაც ჰიპერტროფირებული წარმოდგენა აქვს საკუთარ მეცნიერულ ღირსებებზე და ნიჭიერებაზე, კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო, რომ ისტორიული წყაროებისა და ადგილზე მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე ეს საკითხი ვრცლად მაქვს განხილული ნაშრომში – "არაგვის ხეობა" (თბ; 1986, გვ. 91-97), რაც გამომცემლობა "მეცნიერებას" ჩაბარდა 1985 წლის დასაწყისში და წარმოებას (სტამბას) გადაეცა 1985 წლის 31 ივლისს.

საკითხავია, როგორ უნდა მესარგებლა მისი წერილით, რომელიც ჩემი წიგნის რედაქტირებისა და წარმოებაში გადაცემის პერიოდისათვის გამოქვეყნებული არ იყო (ისიც ცნობილია, რომ ჟურნალი "მაცნე" დიდი დაგვიანებით გამოდიოდა). თანაც, ლუდის ხევზე მან რა დაწერა ისეთი და ჩემთვის უცნობი და ხელმიუწვდომელი რა წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა გამოიყენა? – მას უნდა ახსოვდეს, რომ არაგვის ხეობაში მასალებს ერთხანს ერთდროულად ვიწერდით ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს. ჩემს კრიტიკოსს იმასაც შევახსენებ, რომ ჩემი დისერტაციის აპრობაციის დროს წინასწარი დასკვნა მან დაწერა (ინახება დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციაში) და ნაშრომს დადებითი შეფასება მისცა. ამ რეცენზიაში მას ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს სხვა მკვლევართა ნაშრომების იგნორირების შესახებ.



* * *

რ. თოფჩიშვილი პლაგიატობაში მდებს ბრალს ფშავის ტერიტორიული სივრცისა და მის შემადგენლობაში შემავალი ნაწილების (თემების) ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. იგი აღშფოთებულია, რომ მე გვერდს ვუვლი მის „მეცნიერულ დებულებას" და ამის საილუსტრაციოდ იქვე აციტირებს ჩემი წიგნიდან ამოგლეჯილ ფრაზებს ასეთი სახით: „როგორც ჩვენს ხელით არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს თავდაპირველად ფშავი თანამედროვე უკანა ფშავის ტერიტორიას მოიცავდა და „ფშავის ჭევად" იყო წოდებული. მიგრაციული პროცესების ძალით „ფშავის ჭევმა" მნიშვნელოვანი ტერიტორიული გაფართოება განიცადა სამხრეთის მიმართულებით. ფშავის არაგვის ხეობის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის ჩაფლავის ხარჯზე" (მითითებულია ჩემი წიგნის გვ. 109; უნდა მიეთითებინა გვ. 107-108).

შემდეგ ამას უპირისპირებს 1984წ. გამოცემული თავისი წიგნის ადგილს: „მთის მოსახლეობის ირგვლივ არსებული ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ, რომ ფშავი ისტორიულ-გეოგრაფიულად (გ. წ. მოიცავდა არა დღევანდელი გაგებით ფშავს), რომლის სამხრეთ საზღვრად წინაფშავი და უკანაფშავი ჟინვანს და გუდრუხს სდებენ, არამედ მხოლოდ უკანაფშავს, ფშავის არაგვის ხეობას ორწყალს ზემოთ. უკიდურეს შემთხვევაში სამხრეთით ფშავი კართანამდე და სოფელ წინკარამდე უნდა გავრცელებულიყო. დღევანდელ წინაფშავში (მაღაროსკარის სასოფლო საბჭო) ფშაველები ფშავის არაგვის ხეობიდან არიან გადმოსახლებული" (მისი წიგნი, გვ. 124). იქვე ოდიოზური ბრალდება: „აქ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო ადრე სხვის

მიერ გამოთქმული მოსაზრების მითვისებას მეცნიერებაში პლაგიატობა ჰქვია" (გვ. 48).

ვიდრე რ. თოფჩიშვილის პრეტენზიებზე რამეს ვიტყოდეთ, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ფშავის ლოკალიზაციას მისი წიგნის გამოქვეყნებამდე მრავალი მკვლევარი შეეხო (ვახუშტი, მ. მაჩაბელი, ნ. ხიზანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე . . .). მათ შორის ყურადღებას იქცევს ვ. ბარდაველიძის შემდეგი განმარტება: „ძირითადი ფშავი, რომელიც ფშავის არაგვის ხეობაშია, შედგება 12 თემისაგან. ამათგან, საკუთრივ ფშაველების გარდა მეთორმეტე თემს შეადგენდნენ პირიქითელი ხევსურები - ფშავის ლაშარის ჯვარში ყმად გაყიდული ხახაბოელნი. ფშავის თემები შედეგია: 1. ქისტაურნი, 2. უძილაურნი, 3. გოგოჭურნი, 4. გოგოლაურნი, 5. წოწკოლაურნი, 6. ზურაბაულნი, 7. გაბიდაურნი, 8. ჭიჩოელნი, 9. გოდერძაულნი, 10. წითელაურნი და 11. უკანაფშაველნი." შემდეგ ჩამოთვლის სათემო ხატებს და აღნიშნავს: „ბუდე ფშავში ზემოდასახელებულ სათემო ხატებთან ერთად არსებობდა საერთო საფშავლო ხატები". . . (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974, გვ. 11-12).

ვ. ბარდაველიძე როდესაც წერს, რომ ძირითადი ფშავი ფშავის არაგვის ხეობაშია, ფშავის არაგვის ხეობად იგულისხმება ტერიტორია მდინარე ორწყლამდე–ამის ქვემოთ კი მდინარეს ჟინვალამდე ეწოდება ფშავ-ხევსურეთის არაგვი.

ვ. ბარდაველიძის წიგნი რ. თოფჩიშვილის წიგნის გამოცემამდე 10 წლით ადრე გამოქვეყნდა, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ საკითხში რ. თოფჩიშვილის პირველობას. მან, ალბათ, ისიც შეიცხადა, რომ ვ. ბარდაველიძემ „ძირითადი ფშავის" შეხატ-



ყისად ახსენა „ბუდე ფშავი", რაც ჩემი აზრით, სავსებით კანონზომიერია „ბუდე ხევსურეთის" თუ „ბუდე დვალეთის" ანალოგიურად. ისიც გამორიცხულია, რომ ნებისმიერმა მკვლევარმა მკითხველს საკუთარი დაკვირვება შესთავაზოს. ცხადია, ამ [illegible]ლებით სარგებლობდა რ. თოფჩიშვილიც, რომლის წიგნის ციტირებული ადგილის მიხედვით უკანა ფშავი მოიცავდა ფშავის არაგვის ხეობის ნაწილს ორწყალიდან ზემოთ, ხოლო წინა ფშავი ვრცელდებოდა ორწყალიდან ჟინვალამდე.

რ. თოფჩიშვილი პრეტენზიას აცხადებს, რომ გამეთვალისწინებინა მის მიერ მოცემული აშკარად მცდარი ლოკალიზაცია. მე კი ზედმეტად ჩავთვალე წიგნში მისი დამოწმება კრიტიკული შენიშვნებით და ვამჯობინე საკუთარი დაკვირვებით შემოვფარგლულიყავი, რაც შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „როგორც ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, თავდაპირველად ფშავი თანამედროვე უკანა ფშავის ტერიტორიას მოიცავდა და ფშავის ჴევად იყო წოდებული, რომლის უკანა მხარე საკმაოდ შორეულ წარსულში ჩანს ფორმირებული საორიენტაციო მიზნით უკვენა ფშავად სახელდებულ და 9 სოფლისაგან (ბოთანა, სანადო, ცოხისგვერდი, ულიაგზა, ჩალახევი, ჭიდალი, ვაკე, გოგქი, ქაგარა) შემდგარ ერთ-ერთ ლოკალურ თემად. ამგვარი ნომინაციის ტრადიცია არ მოშლილა მას შემდეგაც, რაც მიგრაციული პროცესების ძალით ფშავის ჴევმა მნიშვნელოვანი ტერიტორიული გაფართოება განიცადა სამხრეთის მიმართულებით, ფშავის არაგვის ხეობის ხარჯზე და ფართოდ გაგებული ფშავის ორი მომიჯნავე ნაწილი (1. თავად ბუდე ფშავი, 2. მოგვიანებით ფშავის შემადგენლობაში შესული ფშავის არგვის ხეობის გან-



სახლებული ნაწილი ორწყალიდან ვიდრე თვალამდე) შესაბამისად უკანა ფშავად და წინა ფშავად სახელდებას დაექვემდებარა. ამდენად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნომინაციის სფეროში სახეზე გვაქვს ორგვარი გაგებით ხმარებული ცნება უკანა ფშავი (1. ბუდე ფშავის უკანა მხარის, ფშავის ჴევის სათავეების აღმნიშვნელი და შემდგომში აქ ფორმირებულ ტერიტორიულ თემზე გავრცელებული სახელწოდება უკვენა ფშავი და 2. ფართოდ გაგებული ფშავის ძირძველი ნაწილისათვის - ბუდე ფშავისათვის – შერქმეული აღწერილობითი სახელწოდება – უკანა ფშავი, რომელიც ფშავის შემადგენლობაში მოგვიანებით შესული ახალი მიწაწყლის აღსანიშნავად ხმარებაში დანერგილ სახელწოდება წინა ფშავთან შეპირისპირებაში იქნა შემოტანილი მიმოქცევაში), რომელთა მაშინალური იდენტიფიკაცია, ცხადია, სერიოზული გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს." (ჩემი წიგნი, გვ. 107-108).

აქედან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ფშავის ხევად იწოდებოდა თანამედროვე ნომინაციით სახელდებული უკანა ფშავი, მაგრამ ადგილზე გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ თავდაპირველად ფშავის არაგვის ხევის ეს მონაკვეთი – ორწყალიდან სათავეებამდე კი არ იყო უკანა ფშავი, არამედ ისტორიული ფშავის ხევის უკანა მხარე ზემოთ ჩამოთვლილი 9 სოფლით, ე. ი. ის, რაც ძირითადი ანუ ისტორიული ფშავის ხევის ტერიტორიაზე განსახლებულ თემების ჩამონათვალში ვ. ბარდაველიძემ მე-11 თემად დაასახელა სახელწოდებით – უკანაფშაველნი.

ზემოთქმულის საფუძველზე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ფშავის მხარეთა ლოკალიზაციაში არსებითი განსხვავებაა ჩემსა და რ. თოფჩიშვილს შორის. გამომდინარე აქედან, ბრალდება იმისა, რომ



გაუგებრობაზე დამყარებული მისი „მოსაზრება" მითვისე, მტკნარი სიცრუეა. რ. თოფჩიშვილი უნდა მადლობდეს, რომ მისი „აღმოჩენა" საკადრისად არ შევაფასე. უბრალოდ, საჭიროდ არ მივიჩნიე წიგნის გადატვირთვა მისი დაუფიქრებლობის მხილებით. ახლა კი, რაკი ასე უტიფრად გამომიწვია, მასზე რეაგირებაც საჭიროდ ჩავთვალე.

* * *

რ. თოფჩიშვილს ნორმალურად მიაჩნია მოგვცეს თრუსო-ს ეტიმოლოგია ისე, რომ არ გაითვალისწინოს ჩემი ინტერპრეტაცია. როგორც ჩანს, ასეთ საქციელს კვლავ იმითი ამართლებს, რომ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებამდე თავისი ნაშრომი ხელნაწერის სახით, კარგა ხნის დაწერილი ჰქონია (გვ. 46). ალბათ, მე „დამნაშავე" ვარ, რომ თრუსოს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მისი ხელნაწერი ვერ გავითვალისწინე, როდესაც დავწერე: „მაკროტოპონიმი თრუსო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხევის დასავლეთით ლოკალიზებულ და დღესდღეობით თრუსოდ წოდებულ ტერიტორიულ ერთეულს ფარავს, რომელიც მდ. პირიქითა არაგვის (თანამედროვე თერგის) ხეობის საწყის მონაკვეთს მოიცავს სათავიდან ვიდრე ს. მნამდე და მოგვიანებით აქ დამკვიდრებულ ოსთა მიერ თირსი ქომ - ად (тырсы ком) არის სახელდებული. საყურადღებოა, რომ „ძეგლი ერისთავთა"-ს გარდა საკვლევი ტოპონიმი არაერთგზის იხსენიება XV – XIX სს წერილობით ძეგლებშიც, ოღონდ ამჯერად როგორც თრუსო (სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნი, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ.II, თბ., 1974, გვ-

II. გორგასალ ხელმწიფიშვილთა საბუთი (XVს.), ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV – XVIII სს.) „მ.ც." ნაკვ.30, თბ., 1954, გვ. 272; ახალი ქართლის ხელრთვება, მეორე ტექსტი, „ქც." II, გვ. 444, გახუშვა. აღწერა . . . , გვ. 357, 363, 634, 644, 648; გახუშვა. სოფელთა ხია, გვ. 200; 1732წ. პირობის წიგნი მიცემული ერთობლივ მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახორიშვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან," I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ.233; История Юго-Осетии в документах и материалах, т. III стр.39, 243, 246, 343, 346, 347), ხოლო ძველთაძველი ნომინაციის ტრადიციის სრული დომინირების პარალელურად XVIIIს-ის წყაროებში თრუსოს ნაცვლად უკვე ფიქსირდება თრუსი ან თირსაუ – Tirsau. პაპუნა ორბელიანის ნაშრომისა და ი. ბაგრატიონის „აღწერაში" ფიგურირებს თრუსი, თრუსის ხეობა (პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1981, გვ. 111; ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ.35), ხოლო გიულდენშტედტის თხზულების სხვადასხვა ადგილას იხსენიება როგორც თრუსო (Truso), ისე თირსაუ (Tirsau) (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 65, 173), რაც თვალნათლივ ცხადყოფს ძირძველი ტოპონიმის მცირეოდენი ფონეტიკური სახეცვლილებისა და ოსური სახელდების ფორმის ხმარებაში დანერგვის ფაქტს.

თრუსუს (ან თრუსოს) ეტიმოლოგიის გარკვევასთან დაკავშირებით აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ქიზიყში თრუსო ეწოდება ცელის პირის ასაწყობ ქვას (სალესავ ქვას), ხოლო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „დრუსო – არს ზღუდე ქვისა, მაღალი, კეთილად ნაგები კოშკ – კოშკოვანი" . . . „თურში – ქვის საზღვარი მარქილი"; „თირი არს კლდე ლბილი და ადვილი საჩეჩელი."



თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საგულისხმო დეტალს, რომ თრუსოს ხეობის შესასვლელი (ასახელდებული) ტიპიურ კლდეკარს წარმოადგენს, მოხევეები კი ცელის პირის ასაწყობ ქვებით წარსულში თრუსოდან მარაგდებოდნენ, თრუსოს (ან თრუსოს) გააზრება სწორედ სიტყვა თრუსოსგან ან ტერმინ დრუსოსგან მომდინარე რელიეფის თვისების (ქვიანი, კლდიანი ალაგის) ამსახველ ტოპონიმად, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში ამგვარი ახსნა უფრო დამაჯერებელი ჩანს, ვიდრე თრუსოს ნაჩქარევად გამოცხადება – სო სუფიქსის მქონე ვაინახურ გეოგრაფიულ სახელწოდებად (თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 203; შდრ. ჩემი წიგნი, გვ. 152-153).

როგორც ჩანს, რ. თოფჩიშვილმა ჩემი ნაშრომიდან ეს ვერ „შენიშნა," ან თავისი „მაღალი მეცნიერული" გადმოსახედიდან არაფრად ჩააგდო და საკუთარი განმარტება შემოგვთავაზა: „ტოპონიმი „თრუსო" იხსნება ძველი ქართული ენის საშუალებით. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილად ნაგები კოშკ – კოშკოვანი" (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 292). იგივე განმარტებას აძლევს ამ სიტყვას დავით ჩუბინაშვილი: „დრუსო – ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ – კოშკებად. Ограда, стена каменная с башнями (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ – რუსული ლექსიკონი, თბ., 1984). თრუსო, სხვა მთის კუთხეებთან ერთად ისეთი რეგიონი იყო, სადაც სწორედ ასეთი კოშკოვანი ზღუდეები იგებოდა. რაც შეეხება იმას, რომ



რეგიონს სახელად „თრუსო" ჰქვია და ზღუდის სახელობას - „დრუსო", აქაც ისეთივე მონაცვლეობა გვაქვს „დ" და „თ" თანხმოვნებისა, როგორც „დვალეთისა" და „თუალეთის" შემთხვევაშიც. იმავე დ. ჩუბინაშვილს თუ მოვიშველიებთ „გარნა მთიულურად ნაცვლად დ ხმარობენ თ. ქიზიყში კი „თრუსოს" ცელის ასაწყობ სალეს ქვას უწოდებდნენ. ასეთ ქვას, რომელიც მოლურჯო იყო, ქიზიყში მშრალად და დაუსველებლად ხმარობდნენ (იხ. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი). ივ. წიკლაურის მონაცემებით თერგის ხეობა სწორედ ასეთი სალესავი ქვებით არის მდიდარი". (გვ. 18-19).

სხვისი შეხედულების იგნორირებას მე მიყენებს, რაც მხოლოდ უტიფარი ცილისწამების დემონსტრირებაა და ფაქტიურად ამისი მაგალითი ციტირებული ადგილების ურთიერთშედარებიდანაც ნათლად გამოჩნდა. შეიძლება რ. თოფჩიშვილმა თავი იმართლოს იმ მოტივით, რომ ჩემგან დამოუკიდებლად მოგვცა თრუსოს ეტიმოლოგია. და თუ ის უფლებამოსილია ჩემი კვლევის შედეგების იგნორირებით, მე რატომ მეკრძალება წყაროების მონაცემების ანალიზი ზოგიერთი ჩემთვის მიუღებელი შეხედულების მიუთითებლად და თანაც ისეთ ვითარებაში, როდესაც დამოუკიდებელი კვლევისათვის წყაროებიც უფრო ფართოდ მაქვს მოხმობილი და კვლევის შედეგებიც განსხვავებული.

* * *

ჩემი ნაშრომების უგულვებელყოფა მოხდა არა მარტო ლოკალიზაციასთან (არაგვი, ფშავი) და ეტიმოლოგიასთან (თრუსო), არამედ ენობრივი კუთვნილების შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულ შეხე-



დულებათა შეფასებასთან დაკავშირებითაც. რ. თოფჩიშვილი განიხილავს რა ნ. ვოლკოვას თვალსაზრისს ალანებთან მიმართებაში დვალებისა და დვალური ენის საკითხებზე, შენიშნავს: ნ. ვოლკოვასთვის „არაა სრული საფუძველი დაინახოს რეალური ეთნო-ლინგვისტური განსხვავება დასახელებულ ორ ეთნოსს შორის. შესაძლოა იგი გამოხატავდეს მთელი ეთნოსის (ოსის) და მისი ლოკალური ჯგუფის (დვალის) ურთიერთმიმართებასო" (გვ. 43) მითითებულია: Н. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 114.

ამასთან დაკავშირებით რ. თოფჩიშვილი გვერდს უვლის ჩემს ნაშრომს, რომელშიც ბ. კალოევისა და ნ. ვოლკოვას მისამართით ვწერ: „გაუმართლებელია აშკარად არაირანული ძირის ტოპონიმების „შემომქმედი" დვალების ნაჩქარევად გამოცხადება სწორედ უძველეს ირანულენოვან ან XIII საუკუნისათვის (თუ გაცილებით უფრო ადრინდელ ხანაში) უკვე საბოლოოდ ირანიზირებულ ტომად, რისი სერიოზულად მტკიცების გამბედაობა ჰყოფნის არაერთ მკვლევარს." სქოლიოში გრძელდება: „ასე, მაგალითად, ბ. კალოევი დვალებს ჯერ კიდევ ახ.წ. I-II სს-თვის საბოლოოდ ირანიზირებულ ტომად აცხადებს, ხოლო ძველთაძველ ტოპონიმს - „დვალეთი" და ეთნონიმს - "დვალი" ოსური „თუალთა"-ს და „თუალ"-ის შესატყვის ეგზოეთნონიმად და ეგზოტოპონიმად თვლის, რითაც სადავოს ხდის სახელწოდების „დვალი", „დვალეთი" პირველადობის და ოსური სახელდების ფორმების („თუალთა", „თუალ") მოგვიანებით ხმარებაში დანერგვის უტყუარ ფაქტს (Б. А. Калоев, Осетины, М., 1967, с. 26, 48; მისივე, Осетины, изд.2-ое, М., 1971, с.52-53). მართალია, ნ. ვოლკოვა ოსი სწავლულისაგან განსხვავებით, დვალთა ენობრივი ასიმილაციის (ირანიზაციის)

პროცესს მთელი 11 ს-ით „აგვიანებს", როდესაც უყოყმანოდ შენიშნავს, თითქოს XIII-XV სს-ის ქართულ წერილობით წყაროებში „ოსების" და „დვალების" ერთმანეთისაგან განცალკევებით მოხსენიების მიუხედავად დვალები ხაზგასმულ პერიოდში უკვე ოსურად ლაპარაკობდნენ (Н. Г. Волкова, Эн-тонимы . . . с.114), მაგრამ ვითარების ასეთნაირი შეფასებაც სინამდვილის დამახინჯების ტოლფასია, ვინაიდან არსებული მონაცემების მიხედვით XIII–XV სს-თვის დვალთა ირანიზაციის დამამტკიცებელი ფაქტობრივი მასალა ნამდვილად არ არსებობს" (ჩემი წიგნი გვ. 166).

რ. თოფჩიშვილს ჩემი წიგნის ეს ადგილი „გამორჩა" ან, ალბათ, იმ მოტივით არ დაიმოწმა, რომ მის გამოქვეყნებამდე თავისი ნაშრომი „კარგა ხნის დაწერილი" ჰქონია. როგორც ჩანს, გამოქვეყნების თარიღით დამისწრია, თორემ ყველაფერი ჩემზე ადრე უთქვამს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: „დასანანია", რომ მისი ხელნაწერი, როგორც „დვალოლოგიური კვლევის ეტალონი", ჩემთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა.

ჩემი ნაშრომების გამოყენების შემთხვევაში რ. თოფჩიშვილი ასევე თავიდან აიცდენდა მცდარ კვალიფიკაციას „სამხრეთ ოსეთის" სახელწოდების წარმოქმნის შესახებ. მას მიაჩნია, რომ წინამორბედ მკვლევართა მიერ შეცდომა იყო დაშვებული „სამხრეთ ოსეთის" ფორმირების ქრონოლოგიაში, რასთან დაკავშირებითაც წერს: „გ. თოგოშვილი და ი. ხაბალაშვილი წერენ, რომ „1831–1832 წლებში ჩატარდა მესამე კამერალური აღწერა, მაგრამ იგი სამხრეთ ოსეთს არ შეხებია" (მითითებულია მათი ნაშრომი - „ოსეთის მოსახლეობა – მოკლე ისტორიულ – დემოგრაფიული მიმოხილვა, ცხინვალი, 1988, გვ. 23) და შემდეგ აგრძელებს: „რანაირად უნდა



შეხებოდა სამხრეთ ოსეთს 1831 წლის კამერალური აღწერა, როდესაც ასეთი ცნება („სამხრეთ ოსეთი") საერთოდ არ არსებობდა?" (რ. თოფჩიშვილი, გვ. 199).

შემდეგ, იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში ოსებით დასახლებული ტერიტორია ოსეთად არ იწოდებოდა, იმოწმებს 1791 წლის საბუთს ("განწესებანი საქართუჱლოჲსა მეფის ირაკლისანი ქეთა თჳსთადმი სამეფოჲსათჳს საქართუჱლოჲსა" – "საქართველოს სიძველენი", II, გვ. 211) და აღნიშნავს: "დოკუმენტიდან აშკარაა, რომ ოსებით დასახლებული ტერიტორია ოსეთად არ იწოდებოდა" (გვ212). უმეცრებით ნაკარნახევი ასეთი შეძახილების შემდეგ "გვაცნობიერებს", რომ "სამხრეთ ოსეთის" ცნება საქართველოს მტრებმა შემოგვაპარეს და ბოლოს, XX ს-ის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა ასეთი სახელწოდებით ავტონომიური ოლქი "შექმნეს" (გვ. 211).

გ. თოგოშვილისა და ი. ხაბალაშვილის მიერ "სამხრეთ ოსეთის" ხსენება შემთხვევითი არ არის. როგორც ჩანს, რ. თოფჩიშვილმა არ გაითვალისწინა XVIII ს-ის ზოგიერთი ავტორის (პაპუნა ორბელიანი, სეხნია ჩხეიძე, გიულდენშტედტი) მიერ პირაქეთელი ოსებით დასახლებული რეგიონების მისამართით "ოსეთის" გამოყენება, აგრეთვე ის, რომ რუს მოხელეთა ძალისხმევით ეს რეგიონები ასევე "ოსეთად" იქნა სახელდებული, ხოლო XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის ისტორიულ–გეოგრაფიულ ლექსიკონში ჩაინერგა უცხო ტოპონიმიური წყვილი – "Северная Осетия" და "Южная Осетия". საქართველოს ონომასტიკურ ველზე ტერმინების "ოსეთის" და "სამხრეთ ოსეთის" დამაგრებას დიდად შეუწყო ხელი ლიახველი და დვალეთელი მთიელი ოსებისათვის თბილისის გუბერნიაში შემავალი ე. წ. "ოსეთის ოკრუ-



გის" გახსნამაც (1843წ.), რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი (კერძოდ "ნარის უბანი", ანუ ისტორიული დვალეთის ტერიტორია) 1858 წელს თერგის ოლქს გადაეცა. ასე და ამრიგად, საქართველოს ადმინისტრაციულად მოწყვიტეს დვალეთის მხარე (დაახლ. 500კმ²) და შორსგამიზნული ტოპონიმიური დივერსიით ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს "ოსეთად" ან "სამხრეთ ოსეთად" მონათლულ ძველთაძველ ქართულ მიწა-წყალზე ოსთა ტერიტორიული პრეტენზიების და "ორი ოსეთის" სამერმისო გაერთიანების იდეის შემდგომ მუტაციას, რამაც XX საუკუნეში უკვე აგრესიული ოსური სეპარატიზმის სახით იჩინა თავი (ვახტან ითონიშვილი, სამხრეთ ოსეთი ცენტრალურ საქართველოში? კრებულში: "ოსთა საკითხი", 1996, გვ. 16).

ესოდენ სავალალო ვითარება უძღოდა წინ "სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის" შექმნას და სახელდებას. ყოველივე ეს წყაროების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ჩემს შრომებში ოსეთისა და ოსების შესახებ, რაც გამოქვეყნდა ჯერ რუსულად კრებულში –"Осетинский вопрос", 1994 г; ხოლო შემდეგ ქართულად (ზემოხსენებულ გამოკვლევასთან ერთად იხ. ვახტ. ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, 1995წ.), რაც ისეა მიჩქმალული რ. თოფჩიშვილის მიერ, თითქოს ეს შრომები არ გამოქვეყნებულა; საერთოდ სხვა ავტორების ხსენებაც არ არის, ვინც ამ კრებულში მიიღო მონაწილეობა. რ. თოფჩიშვილს რომ ამ ნაშრომებში ჩაეხედა, ასეთი "რიხით" არ განაცხადებდა, რომ ბოლშევიკების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამდე ოსთა სამოსახლო ტერიტორია საქართველოში "ოსეთად" თუ "სამხრეთ ოსეთად" არ იწოდებოდა.



* * *

თოფჩიშვილისეული მსჯელობის "სამკაულია" ჩემი გამოკვლევების იგნორირებასთან ერთად მათში ჩამოყალიბებულ შეხედულებათა დასახიჩრებული სახით წარმოჩენა. საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვყოთ სვანურ-დვალური ენობრივი ურთიერთობის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც ჩემს წიგნში ითქვა: "თუ ჩვენ დვალურ ენაზე, ვითარცა დვალთა ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ფიზიონომიის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანზე, მათი ოდინდელი განსახლების არეალში ფიქსირებული და სწორედ დვალური ენის პროდუქტად მიჩნეული ტოპონიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საძიებელი ენა, უწინარეს ყოვლისა, ქართველურ ენებს ენათესავებოდა, რის კვალობაზე სრულიად კანონზომიერად იბადება აზრი ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომად დვალთა წარმოდგენის მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან, ძველი დვალური ტოპონიმიური ნომენკლატურა, როგორც დვალური ენის მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების ერთადერთი უტყვი მოწმე, განსაკუთრებით ბევრ საერთოს პოულობს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (კერძოდ, სვანეთ – რაჭა – ლეჩხუმის) ტერიტორიაზე ფიქსირებულ სვანური ძირის მაკრო და მიკროტოპონიმებთან, რაც ძალაუნებურად აღძრავს ინტერესს დვალებში პირველ რიგში სწორედ სვანებთან ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით დაახლოებული ტომის ამოცნობის შესაძლებლობისადმი" (ჩემი წიგნი, გვ. 186 ).

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ დვალური ენის პროდუქტად მივიჩნევ ტოპონიმებს, რომელთა მიხედვით ვაყენებ დვალური ენის ქართველურ ენებთან ნათესაობის შესაძლებლობის საკითხს. ამის

საფუძველზე „იბადება აზრი ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომად დვალთა წარმოდგენის მიზან-შეწონილობის შესახებ.“ ვაკონკრეტებ იმასაც, რომ ძველი დვალური ტოპონიმიკური ნომენკლატურა, როგორც დვალური ენის მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების ერთადერთი უტყუი მოწმე, განსაკუთრებით ბევრ საერთოს პოულობს სვანური ძირის ტოპონიმებთან, რაც ძალაუნებურად აღძრავს ინტერესს დვალებში პირველ რიგში სწორედ სვანებთან ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით დაახლოებული ტომის ამოცნობის შესაძლებლობისადმი.“

ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ ენობრივი ნათესაობის შესაძლებლობის საფუძველია მხოლოდ ტოპონიმები. ამის მიხედვით შეუძლებელია კატეგორიული დასკვნების გაკეთება, მაგრამ რ. თოფჩიშვილს ასეთი მეთოდით კვლევა არ აკმაყოფილებს. მან, როგორც სჩვევია, გაამრუდა ჩემი აზრი და ვითარება ისე წარმოსახა, თითქოს „ვ. ითონიშვილის დასკვნით დვალები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყო“ (რ. თოფჩიშვილი, გვ. 46). უფრო მეტიც, მან შემდეგ კიდევ უფრო გაამუქა თავისი სიცრუე, თითქოს ჩემი “შეხედულებით დვალები სვანები, სვანურ ენაზე მოლაპარაკენი იყვნენ” (რ. თოფჩიშვილი, კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, “ანალები”, 1999, №2).

ასეთნაირი გამონათქვამები ჩემი წიგნიდან არ ამოიკითხება. პირიქით, მასში მხოლოდ ქართველურ ენებთან დვალურის მონათესაობის შესაძლებლობის შესახებ ითქვა. ჩემს მსჯელობაში ასევე სვანურთან დვალური ტოპონიმების სიახლოვეზეა ლაპარაკი და არა დვალების სვანობაზე. რ. თოფჩიშვილს კი მიაჩნია: „თუ ვამტკიცებთ დვალური ენის სვანურობას, მაშინ ჩვენთვის გაუგებარია ფრაზა, რომ დვალური ენა „ქართველურ ენებს ენათესავება.“



თანაც რეკომენდაციასაც გვთავაზობს: „ალბათ, უნდა თქმულიყო, რომ დვალური ენა ერთ-ერთი ქართველური ენა იყო. დვალური ენა თუ ქართველურ ენებს ენათესავებოდა, ის არაქართველური ენა ყოფილა“ (გვ. 47).

რ. თოფჩიშვილი ისეთ კატეგორიულ მოთხოვნებს აყენებს, თითქოს დვალური ენა ცოცხლად იყო შემონახული სვანურის თუ მეგრულის მსგავსად და ლამის მისი გრამატიკული წყობაც უნდა მეჩვენებინა. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც მხოლოდ ტოპონიმების მიხედვით ემსჯელობთ, ასეთი კატეგორიულობა მეცნიერული განსჯის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ამიტომ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ენობრივი ნათესაობის საფუძვლად მხოლოდ ტოპონიმიკური მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა გაგვაჩნია, კატეგორიულობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ჩემს მიერ მოცემულ კვალიფიკაციას.

დვალური ენის შესახებ მსჯელობასთან დაკავშირებით რ. თოფჩიშვილს კიდევ ერთი ღვარძლიანი შენიშვნა გასჩენია. იგი აციტირებს ჩემს ნათქვამს, რომ „დვალური ენის პროდუქტად საგულვებელი ძირძველი ტოპონიმიური ნომენკლატურა დამაჯერებლად ლაპარაკობს ქართველურ ენებთან (უწინარეს ყოვლისა კი სვანურთან) ძველი დვალურის ნათესაობის დაშვების სასარგებლოდ“ (ჩემი წიგნი, გვ. 167) და იქვე შენიშნავს: „ვ. ითონიშვილის მიხედვით არსებობდა ˙ძველი დვალური ენა (ე. ი. ახალი დვალურიც). საინტერესოა, რა მონაცემებზე დაყრდნობით“? (რ. თოფჩიშვილის წიგნი, გვ. 63).

მეწვრილმანე ბუნების კაცის გარდა ვის გაუჩნდებოდა ასეთი ნაცარქექიობის სურვილი? რ. თოფჩიშვილმა განა არ იცის, რომ „ძველ დვალურში“ იგულისხმება ვახუშტის ცნობა: „ენა აქუთ



ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად“ (ვახუშტი, „აღწერა“. . . ქც. IV, გვ. 639), ე. ი. „ძველი დვალური“ დვალთა მშობლიური ენის შესატყვისია და არა ახალ დვალურთან შეპირისპირების საფუძველი.

* * *

დვალეთის ლოკალიზაციის გაუკუღმართებასთან ერთად ქართულ-ოსურ ეთნიკურ სახელწოდებათა განსაზღვრასთან დაკავშირებითაც გაუგებრობამ იჩინა თავი. რ. თოფჩიშვილის აზრით, „მოსულმა ოსებმა დმხვდური ადგილობრივი ტომის სახელწოდება საკუთარ სახელწოდებად აქციეს“ (გვ. 21), რამაც თურმე გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ მათ დვალეთს უწოდეს „თუალეთი,“ ხოლო დვალს – „თუალი.“ მისივე განმარტებით, „თუალი“ დვალის ოსური სახესხვაობა კი არ არის, არამედ აღნიშნულ ეთნონიმსა და ტოპონიმში („დვალი“ – „თუალი,“ „დვალეთი“ – „თუალეთი“) მხოლოდ ქართული ძირი ჩანს. „თუალი“ – ასეთი სახელწოდებით ტოპონიმები საქართველოში სხვაგანაც გვხვდება“ (გვ. 23).

საქართველოს სხვა კუთხეებში მსგავსი ტოპონიმების ძებნა მისი საქმეა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დვალეთს და დვალებს ოსებმა თავიანთი ენობრივი ნორმების შესაბამისად შეარქვეს თუალთა და თუალ. და თუ წარმოვიდგენდით, რომ ოსებმა ადგილობრივი სახელწოდებანი საკუთარ სახელწოდებად აქციეს, მაშინ მათ ლექსიკაში უნდა შენარჩუნებულიყო დვალეთი და დვალი და არა თუალთა და თუალ. მაშასადამე, დვალეთი და დვალი ოსებმა საკუთარ სახელწოდებად კი არ აქციეს, არამედ ოსურად შეცვალეს.



ეთნონიმ „დვალის“ ოსურ ტრანსფორმაციასთან კავშირში განიხილება ე.წ. „ეთნოსების შეცვლის“ საკითხი, რის შესახებაც რ. თოფჩიშვილი წერს: „შეიცვალა ქართული ეთნიკური ერთეული არაქართული ეთნიკური ერთეულით . . . მოხდა ეთნოსების შეცვლა“ ან „ეთნიკური ცვლა“ (გვ. 7). ამ არაკვალიფიციური ფორმულირების ნაცვლად უნდა აღინიშნოს, რომ „ეთნოსების შეცვლა“ ან „ცვლა“ კი არ მოხდა, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში მიგრაციის შედეგად დვალთა ერთი ნაწილი შეერწყა ქართულ მოსახლეობას, ხოლო საკუთრივ დვალეთში დვალებმა ასიმილაცია განიცადეს ოსთა მიერ. ამგვარ პროცესს არ შეიძლება ეწოდოს „ეთნოსების შეცვლა“ თუ „ცვლა.“

გარდა იმისა, რომ აქ თამამად არის ნათქვამი არა ქართველური, არამედ ქართული ეთნიკური ერთეულის შესახებ, საკითხავია – საკუთრივ დვალეთში რა სახით განიცადეს ასიმილაცია – დვალებმა ერთობლივად თუ დვალეთში მცხოვრებმა „ქართველურმა ტომებმა“ ცალ-ცალკე და ეტაპობრივად. ეს კითხვა იბადება იმის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ „დვალეთში ქართველური ტომები მკვიდრობდნენ“ (გვ. 124). ნათქვამი თავის მხრივ ბადებს მეორე კითხვასაც: დვალეთში, დვალებს გარდა, კიდევ სხვა „ქართველური ტომები მკვიდრობდნენ,“ თუ თვით დვალები აერთიანებდნენ „ქართველურ ტომებს.“ მისივე გაგებით, „დვალები დასავლურ-ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო“ (გვ. 127). ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებობდა დასავლურ – ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი? – ამ შემთხვევაში იმაზე კი აღარ არის ლაპარაკი, რომ ტოპონიმიკური და ონომასტიკური შეხვედრების ნიადაგზე დგება მონათესაობის საკითხი, არამედ იმის დამტკიცების მცდ

ლობაა, რომ დასავლურ-ქართული ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოსახლეობდა.

* * *

უნიჭო ფანტაზიის ნიმუშად წარმოგვიდგება წიგნის პირველ თავში „ნასიბრძნის" დამაგვირგვინებელი დანართი – გაურკვეველი ჟანრის თხზულება, რომელშიც ვკითხულობთ: „დვალეთი რომ ოსეთში არ შედიოდა და რომ დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით შეძლეს, კარგად ჩანს ერთ ქართულ (ზემო რაჭულ) ხალხურ ლექსში (სიმღერაში). აი, ეს ლექსი: „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი, თეთრი ფრინველი თეთრი ფრთიანი. ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი – ოსი და დვალი" (გვ. 231). ლექსში ასევე დახატულია სასტიკი ბრძოლის სურათი დამხვდურთა ტრაგიკული დასასრულით: „ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი, ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი."

ლექსის მიხედვით, შემოიჭრა ოსთა და დვალთა ლაშქარი, მაგრამ სად და ვის წინაარმდეგ? – ავტორის განმარტებით, „ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალებთან."

რისთვის დასჭირდა ამ სტრიქონების ავტორს თავდამსხმელთაგან დვალის ამოგდება? – მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ წარმოესახა დვალების წინააღმდეგ ოსების ბრძოლის სურათი. ლექსი ხომ ოსთა და დვალთა ერთობლივ მონაწილეობას ეხება ვიღაცის წინააღმდეგ. ეს ვიღაცა კი ყოფილა ადგილობრივი დვალური მოსახლეობა. ე.ი. ოსები, დვალებთან ერთად, თავს ესხმიან დვალებს? – ეს ხომ სიტუაციის აბსურდული შეფასებაა!



რ. თოფჩიშვილის გაგებით (თუ გაუგებრობით), ბრძოლა დამთავრებულა დვალთა დამარცხებით, გადარჩენილი დვალებისა და მათი ერთ-ერთი ლიდერის – ჯაფარის, ვითარცა კაკაბის, გაქცევით. მართალია, ლექსიდან არ ჩანს, რომ ჯაფარი („კაკაბი") დვალთა ლიდერი იყო, მაგრამ რ. თოფჩიშვილს ხომ გაქცეულის დვალად შეცნობის სურვილი ამოძრავებდა. იმის დასამტკიცებლად კი, რომ ბრძოლა დვალეთში მოხდა, მოწმედ დაასახელა ტოპონიმები – „მაღლა მთა" და „ჟღელე". „სწორუპოვარმა ანალიტიკოსმა" არ დააყოვნა და იქვე „ახსნაც" შემოგვთავაზა, რომ „მაღლა მთა" იგივე „მაღლა დვალეთია," ე.ი. იოანე ბაგრატიონის მიერ ხსენებული „მაღლა დვალეთი" (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 77).

სად შეიძლებოდა მომხდარიყო ეს ბრძოლა – ბუდე დვალეთში თუ მაღრან – დვალეთში? – თუ ლექსის ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, რომ თავდამსხმელები იყვნენ ოსები და დვალები და ისინი ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ დვალებს, ომის ასპარეზად ბუდე დვალეთის მიჩნევა წარმოუდგენელია. ოსებთან ერთად ბრძოლაში მონაწილე დვალებად ხომ იგულისხმებიან ბუდე დვალეთის დვალები? მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუდე დვალეთის დვალები ოსებთან ერთად დარაზმულან თვით ძირითადი დვალეთის მოსახლეობის გასაჟლეტად, ე.ი. დვალებს თვითგენოციდში მიუღიათ მონაწილეობა. ლექსიდან არც ის ჩანს, რომ ოსებისა და დვალების გაერთიანებული ლაშქარი მაღრან – დვალეთში შემოჭრილიყო. თუ ასეთ შესაძლებლობას დავუშვებდით, შეიძლება გვეფიქრა, რომ იოანე ბაგრატიონმა მაღრან-დვალეთის ნაცვლად შეცდომით „მაღლა დვალეთი" ახსენა, მაგრამ მას ხომ მხოლოდ



ტოპონიმი აქვს დასახელებული, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ბრძოლის პროცესთან.

ოსიანობის შესწავლასთან დაკავშირებით წერილობითი წყაროების, ხალხური გადმოცემებისა და ლექსების მონაცემების ანალიზის საფუძველზე მე შესაძლებლობა მომეცა მეჩვენებინა, რომ ხალხურ პოეზიაში ასახულია ოსთა მასობრივი თავდასხმების ფაქტები რაჭასა და მთიულეთში. რაჭულ ფოლკლორში („მაღლა მთას მოდგა". . . . „დიგორსა დასხდნენ ვეზირნი". . .) ოსთა თავდასხმის ობიექტად ხსენებულია რაჭის სოფლები: გლოლა, ღები, შქმერი . . . თავდამსხმელები იყვნენ დიგორელი და დვალეთელი ოსები. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებმა შემოგვინახეს თავდაცვისათვის მებრძოლთა სახელებიც: იასე გამყრელიძე, შალიკა სულთანიშვილი, თევდორე გიორგაშვილი. ანალოგიური სურათია დახატული მთიულურ გადმოცემებშიც ხადის თემზე ოსთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის თავდასხმისა და დამხვდურთა მიერ მათი განადგურების შესახებ. ამ შემთხვევაშიც გამოყოფილია თავდადებულ მებრძოლთა სახელები: ცხრა ძმა ბურდული, ჯანუყა ნაზღაიძე თავისი ვაჟებით, ბერ გაგაძე და სხვები. სხვათა შორის, ჯანუყა ნაზღაიძის ღვაწლი არაგვის ერისთავის მიერ გაცემული სიგელითაც დასტურდება (თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 115-116), რომელთან ერთად ვიმოწმებ არსებულ ფოლკლორულ მასალებსაც (ვახტანგ ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 60-61; მისივე, ოსიანობა, კრ. „ოსთა საკითხი," გორი, თბილისი, 1996, გვ. 254; უფრო ადრე რუსულ ენაზე დაიბეჭდა Осетинщина, сб. «Осетинский вопрос», Тб, 1994).

ეს ნაშრომები რ. თოფჩიშვილს საერთოდ არც უხსენებია, რაც მისი ბუნების ადეკვატური შესატ-



ყვისია, მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერული კვლევისათვის თოფჩიშვილისეულ ქმედებას არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩემი ნაშრომებიც მხოლოდ იმიტომ შევახსენე მკითხველს, რომ რ. თოფჩიშვილის ეტიმოლოგიურ მარჩიელობასთან შეპირისპირებაში ისტორიული რეალობა წარმომეჩინა. რეალობა კი იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ თავდამსხმელები იყვნენ ოსები, თავდასხმის ობიექტები საქართველოს მთიანეთის კუთხეები ( რაჭა, მთიულეთი), ხოლო თავდამსხმელთა ლაშქარში ხსენებულ დვალებში ამოიცნობიან არა გადაგვარებას გადარჩენილი დვალები, არამედ დიგორელ ოსებთან მონაწილე დვალეთელი ოსები, ანუ გაოსებული დვალები. ქართველ მთიელებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ იმის ცოდნა, რომ დვალეთში ადრე დვალები ცხოვრობდნენ, რის გამო აღნიშნული რეგიონის მკვიდრთა ეთნიკური სახელწოდებით იხსენიებდნენ გაოსებულ დვალებსაც.

ზემოხსენებული მონაცემებიდან აშკარაა, რომ ბრძოლის ასპარეზი იყო რაჭა და მთიულეთი. რ. თოფჩიშვილი კი დაჟინებით ცდილობს მკითხველის შთაგონებას, რომ ლექსში ხსენებული „უცხო ფრინველი," რა თქმა უნდა საომრად მოსული ოსები იყვნენ" (რატომღაც დაივიწყა ოსებთან მონაწილე დვალები) და ბოლოს დაასკვნის: „ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა დვალეთში" (გვ. 23 ).

ნათქვამთან დაკავშირებით ჯერ ერთი განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ ოსთა (თუ ოსებთან ერთად დვალთა ) თავდასხმის ობიექტი იყო რაჭა და მთიულეთი. ამის მიხედვით გამოდის, რომ აღნიშნულ რეგიონებში მომხდარა „მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა," ე.ი. რაჭა და მთიულეთი დვალეთი ყოფილა, ხოლო მათი მკვიდრნი – დვალები. საყუ-

რადლებოა მეორე „არგუმენტიც“: ერთი ბრძოლის
შედეგად განხორციელებულა დვალეთში ადგილობ-
რივი მოსახლეობის, ე. ი. დვალების ასიმილაცია.
გამომდინარე აქედან, დვალთა ასიმილაცია არა
ხანგრძლივი ეთნიკური პროცესის, არამედ ოსთა (თუ
ოსთა და დვალთა ) ერთი თავდასხმის შედეგი იყო.
ასიმილაციის ასეთ გაუგონარ შემთხვევას რანა-
ირად შეუფარდებს რ. თოფჩიშვილი თავისივე ნათ-
ქვამს ოსთა მიერ დვალთა ასიმილაციის შესახებ:
„ჩვენი ვარაუდით, ეს პროცესი, რა თქმა უნდა, აქ
ერთჯერად არ განხორციელდებოდა. ის ხანგრძლივი
პროცესი იყო და განხორციელდა მხოლოდ გიორგი
ბრწყინვალეს გარდაცვალების და ერთიანი ქარ-
თული სამეფოს დაშლის შემდეგ“ (გვ. 108). საკით-
ხავია, თუ ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, „თეთრმა
ფრინველმა“ ერთი თავდასხმით როგორ შთანთქა
დვალური მოსახლეობა?

გაოცებას იწვევს კიდევ ერთი გაუგებრობა.
თხზულების ავტორმა წარმოიდგინა, რომ „თეთრი
ფრინველი“ ოსის სინონიმი ყოფილა, ე.ი. ხალხის
ამოსაჟლეტად მომხდური მტერი თეთრი არსების
სახით დაინახა. ხომ უნდა დაფიქრებულიყო, რომ
თეთრი სიკეთისა და მშვიდობის სიმბოლოა და არა
სისხლიანი ბატალიებისა (ქეთი დოლიძის „თეთრი
მანდილი“ მაინც გახსენებოდა) და თუ მოლექსემ ეს
სიტყვა მხოლოდ გალექსებისათვის გამოიყენა თეთ-
რის სიმბოლური მნიშვნელობის გაუთვალისწინებ-
ლად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ხომ უნდა
მიმხვდარიყო, რომ ლექსის ეს ფრაზა იდიოტიზმის
მაჩვენებელია. რა უნდოდა იმის გააზრებას, რომ
მოლექსეს მოსისხლე მტერი „შავი ფრინველის“
სახით წარმოედგინა.

ბოლოთქმაში მოულოდნელად გაჩნდა კომ-
პოზიტი დვალ-წანები იმის დასამტკიცებლად, რომ



„დვალები წანარებთან ერთად ერთ-ერთი ქართვე-
ლური ტომი იყო“. . . და „თავის დროზე უფრო ფარ-
თოდ იყვნენ განსახლებული კავკასიის მთიანეთში,“
მაგრამ ამითი არ დაკმაყოფილდა და მათ სამო-
სახლოდ მოხაზა აფხაზეთი, სამეგრელო და ჩრდი-
ლო კავკასიიდან აბაზების ქვეყანა. მოიშველია
ცნობა, რომ ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს ეძა-
ხიანო და დაასკვნა, რომ „დვალები ზანებთან
ახლოს მდგომი ტომი იყო,“ რომ „ჩერქეზებისათვის
იმდენად არ განსხვავდებოდნენ დვალებისაგან ზა-
ნები (მეგრელები), რომ მათ ერთი ეთნიკური
ტერმინით („დოლ“) მოიხსენებდნენ. ამის დამწერმა
ერთმანეთში აურია გეოგრაფიული და ეთნიკური
სახელწოდება; ტოპონიმი „დოლ“ ეთნიკურ ტერმინად
მონათლა. მისივე წარმოსახვით, სამეგრელოს თუ
„დოლ“ ერქვა და „დოლ“ დვალეთის აღმნიშვნელი
ტოპონიმი იყო, ამის მიხედვით სამეგრელოს დვა-
ლეთი რქმევია. მაგრამ ერთი წუთით შეურიგდეთ ამ
უაზრობას და, ბუნებრივია, აქვე წამოიჭრას კითხვა
– როგორ თავსდება სამეგრელო კავკასიის მთი-
ანეთში, სადაც, მისივე თქმით, „დვალები და წანა-
რები (წანები) ადრე უფრო ფართო ტერიტორიაზე
იყვნენ განსახლებულნი, როგორც კავკასიონის აქეთ,
ისე იქით (ჩრდილოეთით).“ ეს არ იკმარა და გა-
ნაგრძო: „სწორედ ეს ორი მონათესავე ტომი
(დვალები და წანები – წანარები) უნდა ყოფილიყო
ყობანური კულტურის შემქმნელი და რომლებიც თა-
ვისი ეთნიკური იერსახით ახლოს იდგნენ სვანთა და
ზანთა ქართველურ ტომებთან.“ გამომდინარე ზემოთ-
ქმულიდან, დვალები და წანები – წანარები გან-
სახლებულნი ყოფილან არა მარტო საკუთრივ
დვალეთსა (ბუდე – დვალეთსა) და თერგის ხეობაში,
არამედ აფხაზეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში (აბაზები),
სამეგრელოში და თანამედროვე ოსეთში (ყობანის



ხონაში). თუ ასე მოაჩნდა, რაღას იკლავდა თავს
იმის მტკიცებით, რომ დვალთა სამოსახლოები,
როგორც დვალეთის შემადგენელი თემები, არ არ-
სებობდნენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ეტყობა,
ამგვარ მტკიცებათა შემდეგ გაახსენდა, რომ ყობანის
კულტურის შემქმნელი დვალები და წანარები თით-
ქმის მთელ კავკასიას მოიცავდნენ უძველესი დრო-
იდან.

აქვე თავი იჩინა შემდეგმა გაუგებრობამ. ამის
წინ წერდა, რომ თერგის ხეობიდან წანარების წას-
ვლისა და კახეთის მოსახლეობაში მათი შერწყმის
შემდეგ მიტოვებული სამოსახლოები დვალებმა
დაიკავეს. ე. ი. ქრონოლოგიურად წანარების ცხოვ-
რება წინ უსწრებს დვალთა აქ დამკვიდრებას. ამის
მიხედვით ისინი თურმე ყობანის კულტურის შემ-
ქმნელნი ყოფილან და კავკასიის მთიანეთის ფართო
ტერიტორიას მოიცავდნენ. როგორც ჩანს, რ. თოფ-
ჩიშვილი რამდენადმე ი. გაგლოითსაც დაესესხა, რო-
მელიც საკმაოდ თამამად ლაპარაკობს ყობანური
მატერიალური კულტურის შემომქმედი მოსახლეობის
არა იბერიულ-კავკასიურ, არამედ პროტოსკვითურ
წარმომავლობაზე და ცენტრალური კავკასიონის
ბრინჯაოს ბალთების გავრცელების არეალის ამიერ-
კავკასიელ დვალთა განსახლების ტერიტორიასთან
ზუსტ შეფარდებაში მოხაზვის კვალობაზე გამო-
აქვს დასკვნა, რომ ისინი „დვალური“ მატერიალური
კულტურის ნაშთს წარმოადგენს (Ю. С. Гаглоити,
Проблемы этнической историй южних осетин, Цхинвал,
1996, с. 54). მხოლოდ მხედველობაშია მისაღები ის,
რომ ი. გაგლოითისათვის დვალები იგივე ოსებია,
ხოლო რ. თოფჩიშვილისათვის – ქართველები.

ასე და ამგვარად, დვალოლოგ-დევოლოგ-
წანაროლოგ-ყობანოლოგმა რ. თოფჩიშვილმა მთელი
თავისი ნაცოდვილარი ამ „აღმოჩენით“ დააგვირგვინა



და ქართველ მეცნიერებს „ფართო პერსპექტივები“
დაუსახა უძველესი ეთნიკური ისტორიისა და არქეო-
ლოგიური კვლევის სფეროში. საოცარი მხოლოდ ის
არის, რომ არქეოლოგებმა ხმაური არ ატეხეს ყობა-
ნოლოგიაში მომხდარი ამ „სენსაციური გადატრი-
ალების“ გამო.

„აღმოჩენათა“ კატეგორიას განეკუთვნება აგ-
რეთვე ავტორის მიერ „ლინგვისტური ძიების“ შედე-
გად შემოტანილი ცნება – „გადაშენებული ენა“, რის
შესახებაც ნათქვამია: „დვალები ზანებთან ახლოს
მდგომი ტომი იყო, თუმცა ზანების (მეგრელების)
სრულ ასლს როდი წარმოადგენდნენ. ისინი ზანებსა
და სვანებს შორის მდგომი ერთ-ერთი ქართველური
ტომი იყო და ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, ერთ-
ერთ (აწ გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რო-
მელსაც ყველაზე მეტად საერთო ზანურთან (მეგ-
რულთან) ჰქონდა“ (გვ. 223).

ჯერ ერთი, რამდენად მისაღებია დავიწყებული
ენისადმი „გადაშენებული ენის“ წოდება. ამის დამწერმა
ერთი მაგალითი მაინც დაასახელოს ენათმეცნიერებაში
ამ ტერმინის ხმარების შესახებ. სულ სხვაა, როდესაც
საქმე ეხება ერთი ხალხის ძველსა და ახალ ენებს
(მაგალითად, ბერძნული, სომხური . . .). ასეთ
ვითარებასთან დაკავშირებით რანაირად შეიძლება
იმის სერიოზულად მტკიცება, რომ დვალები ლა-
პარაკობდნენ მეგრულთან ახლო მდგომ „გადაშე-
ნებულ ენაზე.“ საინტერესოა, მარტოოდენ ტოპონიმე-
ბით შეიძლება სალაპარაკო ენის დადგენა? როგორც
ჩანს, რ. თოფჩიშვილს ეს შესაძლებლად მიაჩნია და
ჩვენც ვაცალოთ – ლინგვისტური ძიებით ეგების
სასწაული მოახდინოს „გადაშენებული ენის,“ ანუ
დვალურის და, ამდენად, მისი შესატყვისი ძველი
(მკვდარი) მეგრული ენის რეანიმაციით.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა რ.თოფჩიშვილს ეჩვენებინა – რა ენაზე ლაპარაკობდნენ ფხოვში, ინგუშეთში, აფხაზეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, სამეგრელოში თუ ყობანის ზონაში განსახლებული და ყობანური კულტურის შემქმნელი „დვალ-წანები“ (წანარები და დვევებად სახელდებული დვალები). თვით მისი „ლოგიკით,“ იმის გამო, რომ დვალები „ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ზანურთან (მეგრულთან) ჰქონდა“ (გვ. 69), ალბათ ფიქრობს, რომ ზემოხსენებულ რეგიონებში მცხოვრები დვალები მეგრულად მეტყველებდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ „ლინგვისტურ აღმოჩენას“ უყურადღებოდ არ დატოვებენ კავკასიურ ენათა მკვლევარნი.

* * *

ვამთავრებ რა ჩემს მიმოხილვას, ვფიქრობ, რომ ობიექტური მკითხველისათვის ძნელი არ იქნება იმის დანახვა, თუ რას ვწერ მე და ჩემი კვლევის შედეგები რანაირი მანიპულაციებით დაამახინჯა ჩემდამი უსაზღვრო და თანაც უსაფუძვლო სიძულვილით შეპყრობილმა მანიაკმა, რომელსაც საოცრად ჰიპერტროფირებული წარმოდგენა აქვს საკუთარ მეცნიერულ ღირსებებზე და ნიჭიერებაზე. მისი ალვირახსნილი სითამამის შემხედვარეს ანაზდად მახსენდება ვაჟას გენიალური სიტყვები: „რეგვენი, უმეცარი ადამიანი მსაჯულობაში მუდამ თამამია, გაბედული.“ მასზეა მორგებული ვაჟას მეორე გამონათქვამიც: „რაც უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს, როშვა მაინც როშვაა, ქვემძრომელობა და სულით დამპლობა.“ ეტყობა, ეს ჰქონდა მხედველობაში



გ. ხორნაულს, როდესაც რ. თოფჩიშვილის საპასუხოდ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით – „ქვებუდანი (წითელი ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენელი რ. თოფჩიშვილი,“ გაზ. „კოლხური კოშკი,“ 1996, №20). მისივე კვალიფიკაციით, „როლანდ თოფჩიშვილობა“ „ნაძირალობის“ ტოლფასია (გ. ხორნაული: „ეს ერთიც შევცდი და თუ კიდევ ამის შემდეგ საპასუხო რაიმე დავწერო, მე ვიყო თოფჩიშვილი,“ გაზ. „საქართველო,“ 1997, №114).

„მეცნიერებაში არ არის მარადიული თეორიები“ (ალბერტ აინშტაინი), მაგრამ „ადამიანი ძლიერია, სანამ კეთილზნიანია“ (უილიამ ფოლკნერი). აქვე მახსენდება უისტონის ნათქვამი: „მეცნიერული კვლევის გზები ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ადამიანთა ხასიათები.“ შთამაგონებელია პქტრე კაპიცას სიტყვებიც: „შეცდომები კიდევ არაა ცრუ მეცნიერება. ცრუ მეცნიერება მაშინაა, როცა შეცდომებს არ აღიარებ.“ მაგრამ რანაიარად უნდა შეასმინო ყოველივე ეს „ჭეშმარიტების მაძიებელს,“ რომელსაც „გაქნილობა რომ გაუდის, ჭკუის ხმა აქვს დავარდნილი“ (ილია). მან უკვე ფართოდ გაითქვა სახელი, როგორც ქართული გვარსახელების “უბადლო სპეციალისტმა,“ მეტადრე არაქართული გვარების ქართულად გადაკეთების დიდოსტატმა, აგრეთვე დისერტაციებზე ობსტრუქციულ მიხდომაში გაწაფულმა ინტრიგანმა (გ. ხორნაული). ის იმდენად გათავხედდა, რომ ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის დამწერადაც კი წარმოიდგინა თავი. მას ჰგონია, რომ ეს პრობლემა, რომლის სრულფასოვანი შესწავლის პრეტენზია არც ერთ დიდ ქართველ ისტორიკოსს არ ჰქონია, გვარსახელების ფიქსაციით შემოიფარგლება. ესოდენ უზომო ამბიციებით შეპყრობილმა რ. თოფჩიშვილმა თავისი თავი დააჯერა, რომ მხოლოდ მას ხელეწი-



ფება ამ ურთულესი პრობლემის კვლევა. ამ ავადმყოფური განწყობით გაბოროტა ის ჩემმა გამბედაობამ, რომ საქართველოსა და კავკასიის ზოგიერთი რეგიონის ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლით დავინტერესდი. პათოლოგიური პატივმოყვარეობით დამუხტულმა პროვოკატორმა თავისი მკრეხელობა დიდი გულმოდგინებით გამოავლინა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც თვალნათლივ გამოჩნდა წარმოდგენილ მიმოხილვაში. ეს მაშინ, როდესაც მისი ზერელე შრომების მიმართ ჩემი დამოკიდებულება არასდროს არ გამომიხატავს არც წერილობით და არც ზეპირად თუნდაც იმიტომ, რომ „ჩიტი ბდღვნად არ ღირდა.“

დასასრულ მინდა გულწრფელად ვაღიარო, რომ დასანანია ნაშრომად სახელდებული სუროგატის მხილებისათვის დახარჯული დრო იმის ღრმა რწმენით, რომ რ. თოფჩიშვილის მონჯღრეული ფსიქიკა და აკვიატებული თვითდაჯერება, თითქოს მან გამოკვლევა დაწერა, მაინც არ შეიცვლება. ამიტომ, საკუთარი თავის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ რ. თოფჩიშვილს თავი გავუყადრე, მაგრამ მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობამ განსაზღვრა ჩემი მხრიდან რეაგირების ლოგიკურობა.





## ᲗᲠᲣᲡᲝ



## ᲮᲔᲕᲘ



ფ-27.298

## ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ (ᲗᲔᲠᲒᲘᲡ) ᲮᲔᲝᲑᲐ

